ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 დეკემბერი სამშაბათი 2012 №287 (13 893) ფასი 80 თეთრი

## წყალწყალა ბურთი

გასარკვევი[illegible]
პირველი [illegible]
მესამე ადგილი

წინათქმა

5

# ჟოზე ამოიწურა

### სამეფო კლუბში სამეფო განქორწინებაა – მოურინიო ივნისში წავა



9

## ესეც წილისყრა!

ზელანდია
არგენტინა
ტონგა
აფრიკა 1

RUGBY WORLD CUP 2015 ENGLAND

ესენი ჩვენი მეტოქეები იქნებიან...
თუ ერთა თასს მოვიგებთ

13







## უკრაინის ჩემპიონობისთვის

გიორგი ცინცაძე:
### კარიერის საუკეთესო წლები წინ მაქვს

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი



გრიგორი სურკისი (მარცხნივ) თბილისის "დინამოს" დიღმის ბაზას ესტუმრა, სადაც კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ უმასპინძლა
ფოტო: fcdinamo.ge

# სურკისის ვიზიტი, აჟიოტაჟი და რეალობა

## უეფა სახელმწიფოსგან გარანტიებს ითხოვდა და მიიღო

გუშინ თბილისში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი **გრიგორი სურკისი** გვესტუმრა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის გავრცელებულ ინფორმაციაში ხაზგასმული იყო, რომ სურკისს ხანგრძლივი საქმიანი და პირადი ურთიერთობები აკავშირებდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, ვიზიტის მიზანი კი სახელმწიფოსგან გარანტიების მიღება იყო:

1 - თბილისში 2015 წელს სუპერთასის მატჩთან დაკავშირებით უეფას აღმასკომის წევრი მოსამზადებელი ეტაპების დაგეგმვასა და არსებული ვითარების შემოწმებასაც აპირებდა. სურკისი მთავრობის წარმომადგენლებსაც უნდა შეხვედროდა იმაში დასარწმუნებლად, რომ საქართველოს წინა მთავრობისგან გაცემული გარანტიები ახლაც ძალაში რჩებოდა.

2 - ოქტომბერში ფუტსალში საქართველოს ჩემპიონი თბილისის "იბერია სტარი" უეფას თასის ფინალურ ეტაპზე, ანუ ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხთა ფინალში გავიდა და კლუბმა მასპინძლობისთვის ბრძოლა გადაწყვიტა. სურკისი ამ ტურნირის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევასაც აპირებს.

მოკლედ, სურკისი სამთავრობო წრეებთან შეხვედრასა და გარანტიების მიღებას აპირებდა. გუშინ კი აეროპორტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** დახვდნენ.

თავდაპირველად სურკისი ფედერაციის დაქირავებულ მანქანაში ჯდებოდა, მაგრამ საბოლოოდ **კახა კალაძის** გამოგზავნილში გადაჯდა, მერე "თბილისი მერიოტში" კალაძესა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს **ლევან ყიფიანს** პროგრამა "ჰეთ-თრიქის" მენეჯერთან, **დავით პეტრიაშვილთან** ერთად შეხვდა – ამ დროს ფედერაციის თავკაცები იქ არ იმყოფებოდნენ.

თუმცა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ განაცხადა, რომ წინასწარ შედგენილ გეგმაში მათი ერთად შეხვედრა არც იგეგმებოდა. მაგრამ "მანქანების" და მასთან დაკავშირებულმა თემებმა გუშინდელი შეხვედრების მნიშვნელობა ლამის გადაფარა.

ვითარება მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, როდესაც სურკისი საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილს** შეხვდა და განაცხადა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრა ნებისმერ დროს შეუძლია და ამჯერად, სხვა გარანტიები სჭირდებოდა, რომელიც სახელმწიფოსგან უნდა მიეღო. ანუ ითქვა ის, რაც ფედერაციის პრესრელიზში წინასწარ ეწერა, მაგრამ უკრაინელი სტუმრის ჩამოსვლისას მომხდარმა მაინც გაუგებრობა გამოიწვია. თუმცა, ეს ხელოვნურად ატეხილ აჟიოტაჟს უფრო ჰგავდა.

სურკისმა აღნიშნა, რომ 2015 წელს ევროპის სუპერთასის მასპინძლობის პროექტის განსახორციელებლად ივანიშვილმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა. გასაკვირი არც არის - ახალი მთავრობა ფეხბურთის უფრო აქტიურ დახმარებას გეგმავს. მაგრამ უკრაინელმა სტუმარმა არ დამალა, რომ თბილისში ინფრასტრუქტურის მხრივ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

სურკისმა საარჩევნო საკითხზე უეფას პოზიციაზე მიანიშნა: *„იმედია, მთავრობა ფედერაციის საქმიანობაში არ ჩაერევა, ვინაიდან ფიფა-სა და უეფა-ს წესდებას ასეთი ქმედებები კატეგორიულად ეწინააღმდეგება. იქნება ეს საქართველო, უკრაინა თუ ინგლისი, უეფა ვალდებულია ამ ქვეყნების წინააღმდეგ სანქციები გაატაროს. იმედია, ვითარება არ დაიძაბება და მთავრობა ფედერაციასთან საერთო ენას გამონახავს"*.

მერე უეფას აღმასკომის წევრი თბილისის "დინამოს" დიღმის ბაზას ესტუმრა, სადაც კლუბის პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** უმასპინძლა და სტუმარმა განახლებული ბაზით აღტაცება არ დამალა.

საქართველოში ვიზიტი კი აეროპორტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიადი სიჭინავასთან და გენერალურ მდივან რევაზ არველაძესთან შეხვედრით დაასრულა.

სურკისის გამგზავრების შემდეგ, სიჭინავამ განაცხადა, რომ სახელმწიფო მზად არის 2015 წლის ევროპის სუპერთასთან არებული ვალდებულ;ებები შეასრულოს, რაშიც პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ სურკისი კიდევ ერთხელ დარწმუნდა. მეტიც, გაირკვა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან დღევანდელი შეხვედრების შემდეგ 19-წლამდელთა ან 17-წლამდელთა ელიტ-რაუნდის და შესარჩევი ტურნირების მასპინძლობის საკითხიც დაისვა. 6 დეკემბერს კი შევიტყობთ, ფუტსალში უეფას თასის ფინალურ ტურნირს ვუმასპინძლებთ თუ არა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# რომან ფიფია პრემიერლიგაზე კლუბის წინააღმდეგობას უარყოფს

## ჩისკო საქართველოს ნაკრებს სჭირდება და დროა, შანსი მივცეთ

**საჩხერეს "ჩიხურასთან" მოგებული მატჩის შემდეგ "ლელო" თბილისის "დინამოს" მეპატრონესა და პრეზიდენტს, რომან ფიფიას დაელაპარაკა – გუნდის დღევანდელობაზე, პერსპექტივაზე, პრემიერლიგაზე, ამ ორგანიზაციის ფუნქციონერებისთვის აუცილებელ პირობებზე...**

**- ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. თბილისის "დინამო" პირველ ადგილზეა, თუმცა კონკურენტებთან უპირატესობა არც ისე დიდია.**

- სხვათა შორის, ძლიერი კონკურენტები გვყავს და ეს ძალიან მახარებს. მაგალითად, დღეს საჩხერეს "ჩიხურა" ძალიან მომეწონა – სიმპათიური, მებრძოლი და საინტერესო გუნდია. ასეთ ბრძოლაში მოპოვებულ ოქროს მედლებს უფრო მეტი ფასი ექნება და იმედია, "დინამო" ჩემპიონობას დაიბრუნებს. ჩვენ ყველა ამის იმედად ვცხოვრობთ.

სხვათა შორის, აქვე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ჩისკოს თამაში. იცოდით, რომ დღეს ტრავმირებული ფეხით თამაშობდა და უკვე მეხუთე შეხვედრაა, რაც ასე გრძელდება? მიუხედავად ამისა, ერთი არ დაუწუწუნია, რადგან გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს ახტება. ჩისკო ჩვენი ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მოთამაშე და ნამდვილი პროფესიონალია, ყველა შეხვედრაში შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი მაღალი დონის მოთამაშე არ აწყენდა.

**- ამაზე ლაპარაკი ადრეც იყო, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ ყურადღება არ გამოიჩინა.**

- მეეჭვება, თემურ ქეცბაიამ არ იცოდეს, ჩისკო რა დონის მოთამაშეა და რა კარგ სეზონს ატარებს. არც ის მგონია, რომ მსგავსი დონის მოთამაშის ნაკრებში დამატება არ სურდეს. ჩისკო არის ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, უთამაშია პრიმერადივიზიონის რამდენიმე კლუბში, "ვალენსიაში" უეფას თასის მფლობელი გახდა და საკმაოდ დიდი საერთაშორისო გამოცდილება გააჩნია. დარწმუნებული ვარ, მისი დონის ფეხბურთელს ბევრი ევროპული ნაკრები ისურვებდა. ამ კაცს კი თავად სურს საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში და თუ ქეცბაია მის მიწვევას გადაწყვეტს, მოთამაშის ნატურალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას შევეცდებით.

**- "დინამოს" მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის მუშაობის შესახებ რას იტყვით?**

- დუშან უჰრინი ძალიან კარგი მწვრთნელი გამოდგა. ჩეხი სპეციალისტის ხელში გუნდი აშკარად გაძლიერდა, წინსვლა დაეტყო და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემტევ და ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს.

**- "დინამოს" გაძლიერებას აპირებთ?**

- აუცილებლად! ძალიან ამბიციური გეგმები გვაქვს და საამისოდ 3 ძლიერი ფეხბურთელის დამატება გვჭირდება.

**- უცხოელებს გულისხმობთ?**

- ქართველებსაც და უცხოელებსაც. "დინამო" არა მხოლოდ საქართველოში უნდა იყოს წარმატებული, არამედ, ევროთასებზეც. ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, ზოგი ერთ პარტიას ემხრობა, ზოგიც მეორეს თუ მესამეს, მაგრამ არის ლირებულება, რომელშიც ყველა ერთიანია – ჩვენს ხალხს სჭირდება წარმატებული ფეხბურთი და მისგან მინიჭებული დიდი სიხარული. ამას კი თბილისის "დინამოსგან" ელიან. დროც არის, ხალხმა დავიწყებული სიხარულის გემო იგრძნოს. სამწუხაროდ, საამისო რესურსს დღეისათვის საქართველოში ვერ ვხედავთ.

**- პრემიერლიგის თაობაზე რა სიახლეა?**

- ჯერ მინდა ხაზი იმას გავუსვა, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საქმიანი ლაპარაკი იგეგმებოდა. სულ სხვა ფორმატში გვსურდა დალაპარაკება და ეს გახდა გაუგებრობის მიზეზი. არადა, დაგვბრალდა, თითქოს, მედიასთან ურთიერთობა არ ვისურვეთ. ჟურნალისტებთან პრობლემა ნამდვილად არ გვქონია. უბრალოდ, დალაპარაკება არა



ყრილობის დარბაზში, არამედ მრგვალ მაგიდასთან კონკრეტულ საქმესა და პროექტებზე გვსურდა.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ ამ ეტაპზე, პრემიერლიგის ჩამოყალიბებაზე ხელი არ მოუწერიათ „ტორპედოს", „დილას", „კოლხეთს", „ბათუმს ", „ზუგდიდს", „ზესტაფონს", „სიონს"... უცნობია, მოაწერა თუ არა ხელი „ჩიხურამ".**

- ასე ნამდვილად არ არის, არასწორი ინფორმაციაა, დოკუმენტზე ხელი 6-მა კლუბმა მოაწერა. პრემიერლიგა დაფუძნებულია, ნოტარიულად დამოწმებულია და პრემიერლიგის დაფუძნებაზე უარი არც ერთ კლუბს არ უთქვამს. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: თუ მის დაფუძნებას ხელი კლუბების ნაწილმა მოაწერა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვები ჩემპიონატში არ ითამაშებენ. არც სხვა კლუბების ხელმოწერები არის პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრებზე არავის უთქვამს, რომ პრემიერლიგის დაარსება არ სურს.

**- ჩემპიონატის უფლებების გადასაცემად, ფედერაციის პრეზიდენტი წინაპირობას აყენებს და ითხოვს მყარ ფინანსურ გარანტიებს, გაზრდილ საპრიზო ფონდს, სატელევიზიო კონტრაქტებსა და მსაჯების მეტ ანაზღაურებას.**

- ფედერაციამ არ უნდა მოითხოვოს იმაზე უკეთესი პირობები, რასაც თავად აკეთებდა. რაც უნდა მოხდეს, ჩემპიონატის ორგანიზაციის უფლებას უმაღლესი ლიგის 12 კლუბის ნებართვის გარეშე ვერავის გადასცემენ. ფედერაციამ უნდა მიხედოს ეროვნულ ნაკრებებს, საერთაშორისო ურთიერთობებს, კლუბებმა კი - ეროვნულ პირველობას. ეს ლოგიკურიც იქნება და საქმისთვის უკეთესი. ახლა ჩვენ პრემიერლიგის ფუნქციონერებისთვის აუცილებელ სახსრებს ვეძებთ.

**- სპონსორები ჯერ ვერ მოიზიდეთ?**

- მოლაპარაკებები მიმდინარეობს და იმედიანად ვართ. გარდა ამისა, 12-ივე გუნდი საწევროს ხომ იხდის? და კიდევ - სახელმწიფოს მიერ ფეხბურთის ფედერაციისთვის გადაცემული თანხები სწორედ ჩემპიონატს უნდა მოხმარდეს. ეს სახსრები ხომ არ გაქრება?

**- სახელმწიფოს იმედად ხართ? ეს სახსრები ხომ ნაკრებების საჭიროებისთვის არის გამიზნული.**

- კარგია, ეს კითხვა რომ დამისვით, რადგან არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ჩვენ ნაკრების თანხებს არ ვეხებით, მხოლოდ იმ ნაწილის გადმოცემას ვითხოვთ, რაც დასრულებულ სეზონში ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდისთვის დაიხარჯა.

**- ანუ ლაპარაკია მილიონ ლარზე?**

- დიახ, გააჩნია, სახელმწიფო რა თანხას გაითვალისწინებს. წინ არის ნახევარი წელიწადი, ბევრს ვიმუშავებთ, ჩემპიონატის პოპულარიზაციის ძალიან საინტერესო პროექტები გვაქვს. უმნიშვნელოვანესია ტელეტრანსლაციების საკითხის მოწესრიგებაც, რადგან ქართულ ფეხბურთს სატელევიზიო სივრცის გონივრულად ათვისება ჰაერივით სჭირდება. მჯერა, რომ ამ საკითხებს თავს გავართმევთ, რადგან ახალი სეზონის დაწყებამდე დიდი დრო არის დარჩენილი და ჩემპიონატს მაღალ დონეზე ჩავატარებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

# ხუთასეულში სამი კლუბით

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHშ) მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, ეს რეიტინგი ყოველთვიურად დგება და მასში ფიფას წევრ ყველა კონფედერაციაში შემავალი 500-მდე კლუბი ხვდება.

რეიტინგში საქართველოს ამჯერად სამი წარმომადგენელი ჰყავს, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიცია გორის "დილას" უკავია. **გიორგი დარასელიას** გუნდი წინა თვეში 154-ე პოზიციაზე იყო, ახლა კი 149-ემდე აღზევდა; 312-ე ადგილზეა რუსთავის "მეტალურგი", რომელიც წინა რეიტინგში 288-ე იყო, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონი" კი 303-ედან 335-ე საფეხურზე დაქვეითდა.

რეიტინგში ჯერჯერობით არ ფიგურირებს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი "დინამო", რისი მიზეზიც ის არის, რომ დედაქალაქელებს ამ სეზონში ევროტურნირებზე არ უასპარეზიათ.

საუკეთესო ათეულში ყველაზე მეტი, ოთხი წარმომადგენელი, ესპანეთს ჰყავს, ლიდერობას კი დიდი ხანია, "ბარსელონა" არავის უთმობს.

**ზეათეული ასე გამოიყურება:**

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. ატლეტიკო (ესპანეთი)
3. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
4. ჩელსი (ინგლისი)
5. ბაიერნი (გერმანია)
6. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
7. რეალი (ესპანეთი)
8. კორინთიანსი (ბრაზილია)
9. ბილბაო (ესპანეთი)
10. ლიონი (საფრანგეთი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVIII ტურის მიმოხილვა



დინამო-ჩიხურა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




# ბომბარდირი ორი დინამოელია, ვიტ ჯორჯია ისევ გვაოცებს

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, პასუხგაუცემელი კითხვები კი კვლავ მრავლად გვაქვს. უპირველესად, ის არის საინტერესო, ვინ გახდება "ზამთრის ჩემპიონი", არანაკლები ყურადღება კი საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად გაჩაღებული ბრძოლისკენ გვაქვს მიპყრობილი. ამ მხრივ გასულმა ტურმა ვერაფერი გაარკვია და ყველაფერი უახლოეს მატჩებში გადაწყდება. უშუალოდ მე-18 ტური კი უაღრესად შინაარსიანი და საინტერესო მოვლენებით დახუნძლული გამოდგა.**

## უთანასწორო მეორე ტაიმი

ტურის ცენტრალური მატჩი "დინამო არენაზე" გაიმართა, სადაც ჩემპიონატის ლიდერმა მესამეადგილოსანს უმასპინძლა. შეხვედრის პირველი ტაიმი ძალიან მიმზიდველი სანახავი გამოდგა – "ჩიხურას" სწრაფი გოლი "დინამომ" უმალ გაქვითა, შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ და სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს. მოკლედ, პირველ ტაიმში საჩხერელებმა დედაქალაქელებს ტოლი არ დაუდეს და არანაკლებ დრამატული მეორე ნახევრის მოლოდინიც გაგვიჩინეს.

თუმცა შესვენების შემდეგ თანაბარი ბრძოლა აღარ ყოფილა – "დინამოს" უფრო მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და **დუშან უჰრინის** გუნდმა ყოჩაღ მეტოქეს უშანსოდ სძლია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის გამარჯვებაში ლომის წილი ესპანელებმა დაიდეს, რაც ამ სეზონში უკვე ჩვეული მოვლენაა. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, **ჩისკოს** ჰეთ-თრიქი უნდა გამოვყოთ, რისი წყალობითაც იგი ჩემპიონატის საუკეთესო **ბომბარდირთა** დავაში თანაგუნდელ **ჯაბა დვალს** გაუტოლდა. თითო გოლი დვალისა და **მიკელ ალვაროს** ანგარიშზეა. მოედანი უგოლოდ დატოვა **გიორგი მერებაშვილმა**, სამაგიეროდ, მან მოედანი ძალიან შთამბეჭდავი სტატისტიკური მონაგარით, სამი საგოლე პასით დატოვა, რაც, ვფიქრობთ, ჩისკოს ჰეთ-თრიქზე არანაკლებ გამოსარჩევი ამბავია.

ასე მოუგო "დინამომ" მორიგ კონკურენტს და "დილასთან" სამქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. "ჩიხურა" კი ამ მარცხმა არ უნდა გატეხოს – **სოსო ფრუიძის** გუნდმა, მართალია, მესამე ადგილი "ტორპედოს" დაუთმო, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ არის, ზემოიმერლები კი უდავოდ იმსახურებენ ნეიტრალური ქომაგების დიდ სიმპათიას.

## გამარჯვება კლასის ხარჯზე

ტურის მეორე ცენტრალური დაპირისპირება რუსთავის "ფოლადზე" გაიმართა, სადაც ერთმანეთს უაღრესად მოტივირებული გუნდები შეხვდნენ – "მეტალურგი" ზეექვსეულში მოსახვედრი ერთ-ერთი უკანასკნელი შანსის გამოსაყენებლად იბრძოდა, "დილას" ამოცანა კი "დინამოსთან" სამქულიანი დისტანციის შენარჩუნება იყო. მასპინძლებს ურიგოდ არ უთამაშიათ და საკმაოდაც აქტიურობდნენ, მაგრამ სტუმართა უფრო მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და სამი ქულა "დილას" ერგო.

ამ მარცხით "მეტალურგი" საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში რჩება, თუმცა ქვემოქართლელებს ჯერ კიდევ აქვთ დარჩენილი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის გარკვეული შანსი.

აღვნიშნოთ, რომ რუსთავში ერთმანეთის პირისპირ მწვრთნელად ისრაელში ჩამოყალიბებული ორი სპეციალისტი, **გიორგი ყიფიანი** და **გიორგი დარასელია** წარსდგა.

## ფავორიტთა რისხვა

მიმდინარე სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" არაერთი ფავორიტი გაამწარა, გასულ ტურში კი მორიგი ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა. "ზესტაფონს" საუკეთესო დროება აშკარად არ უდგას, მაგრამ "დავით აბაშიძეზე" გამარჯვება მხოლოდ ვეტერინართათვის კი არა, ნებისმიერი გუნდისთვის შესანიშნავი შედეგია.

ასე რომ, კიდევ ერთხელ მივუძღვნათ საქებარი სიტყვები "ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდულ შემადგენლობას, რომლისთვისაც ავტორიტეტები ნამდვილად არ არსებობს. შეგახსენებთ, წინა ტურში ვიტელებმა მცხეთაში "დინამოს" ქულა აართვეს. "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი **მერაბ კოჭლაშვილი** კი ზედიზედ მეორედ მოხვდა "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

"ზესტაფონზე" კი ახალი რა უნდა ვთქვათ – ფეროელების არასტაბილურ ასპარეზობას ბოლო არ უჩანს და მოქმედ ჩემპიონს ჯერაც სათუოდ აქვს ზეექვსეულში შესვლის საკითხი, უფრო მაღალ მიზნებზე საუბარი კი დღეს საერთოდ უსაფუძვლოა.

"ზესტაფონმა" "მეტალურგის" მარცხით ვერ ისარგებლა, არადა, იმერლებს ახლავე შეეძლოთ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის ამოცანის სათავისოდ გადაწყვეტა. თუმცა რუსთაველთა მსგავსად, ზესტაფონელებიც ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურებიან და დარჩენილი ოთხი ტური გაარკვევს, რომელი მათგანი მოხვდება ზეექვსეულში. ამ ბრძოლაში დღეისთვის ფავორიტად ხუთქულიანი უპირატესობის მქონე "ზესტაფონი" გამოიყურება, მაგრამ ჩემპიონს თავი ქუდში აშკარად არ აქვს.



მეტალურგი-დილა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

აი, ასეთი უსიამოვნო სიურპრიზები მოუტანა მიმდინარე სეზონმა ზესტაფონელ და რუსთაველ გულშემატკივრებს – წინა ჩემპიონატში მათი საყვარელი გუნდები ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, ახლა კი ამაზე ბევრად მოკრძალებულ ამოცანებს შესჭიდებიან.

## ფავორიტი მასპინძლების დომინირება

ტურის ექვსი მატჩიდან ორი სტუმრებმა მოიგეს, ოთხიც – მასპინძლებმა. "ზესტაფონის" საშინაო მარცხის გარდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა მატჩებში კანონზომიერი შედეგები დაფიქსირდა.

"ტორპედომ" აუტსაიდერ "კოლხეთთან" საშინაო შეხვედრა მძიმედ დაიწყო და სწრაფი გოლი მიიღო, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება შეძლო და სამი ქულა მოიპოვა. აღსანიშნავია **ელგუჯა გრიგალაშვილის** შედეგიანი თამაში, რომლის ანგარიშზეც გოლი და საგოლე პასია.

**გია გეგუჩაძის** გუნდისთვის ეს მეტად დროული და საჭირო გამარჯვება იყო. ბოლო დროს "ტორპედომ" გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა და დღევანდელი გადასახედიდან, ნაკლებად აქვს საჩემპიონო შანსი, მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი სავსებით შესაძლებელია.

რაც შეეხება "კოლხეთს", ფოთელები ყველა მატჩში თავდადებით იბრძვიან, მაგრამ ეს მათ მონაგარზე არ აისახება. ნული გამარჯვებითა და სამიოდე ქულით ზღვისპირელები უკვე განწირულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. სამშვიდობომდე ხომ დღეისთვის "კოლხეთს" მთელი 14 ქულა აშორებს.

მძიმე მდგომარეობაშია მეორე ზღვისპირელი უმაღლესლიგელიც. ბათუმის "დინამომ" მარტვილში განცდილი მარცხით კიდევ უფრო გაირთულა საქმე, "მერანმა" კი დაგეგმილი საშინაო სამი ქულა არცთუ რთულად მოიპოვა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეს.

ზეექვსეულში მოხვედრის ამოცანა საბოლოოდ გადაჭრა "ზუგდიდმა", რომელმაც "სიონთან" გამარჯვებით თითქმის გაინაღდა საუკეთესოთა შორის ადგილი. ბოლნისელთათვის კი ეს მარცხი კატასტროფა არ არის, "სიონისგან" ქულების დაგროვებას სხვა ტიპის შეხვედრებში უფრო უნდა ველოდოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

ლეგიონი

# ყენია არის გენია!



უკრაინის ჩემპიონატის მე-18 ტურში ლვოვში „კარპატიმ" პოლტავის „ვორსკლას" 2:0 მოუგო. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა, **ლევან ყენიამ** და **ბუბა დაუშვილმა** ლვოველთა შემადგენლობაში 90-90 წუთი ითამაშეს და მასპინძელთა წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს. ეს განსაკუთრებით ყენიაზე ითქმის.

ორივე გოლი სწორედ ქართველის პლეიმეიკერის აქტიური მონაწილეობის შედეგად გავიდა. ლევანმა პირველი ჩინებული გადაცემა 22-ე წუთზე შეასრულა, მეკარესთან პირისპირ **ოლექსანდრ გლადკი** დატოვა, მაგრამ მან მეკარეს ვერ აჯობა.

35-ე წუთზე ყენიამ **იგორ ხუდობიაკის** მოძრაობა შენიშნა, ორ მცველს ბურთი თავზე გადაუგდო და ლვოველთა თავდამსხმელი კვლავ მეკარესთან პირისპირ დატოვა, მას კი ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია – 1:0.

72-ე წუთზე მოედნის ცენტრში ლვოველები ბურთს ათამაშებდნენ, მაგრამ კარისკენ მისასვლელ გზას ვერ პოულობდნენ, როდესაც ლევანმა თამაში გაშალა – მარცხენა ფლანგზე, ორ მცველს შორის შეტევა უმეთვალყურეოდ დარჩენილ **სტეპან გირსკის** გაუგრძელა, მან კი ბურთი საჯარიმოში ჩაახვია და გლადკიმ პოლტაველთა კარი მეორედ აიღო.

საინტერესო იყო უკრაინელი კომენტატორის სიტყვები: *"ხუდობიაკის გოლი ყენიას დამსახურებაა. სიტყვები არ მყოფნის, რა გენიალური გადაცემა იყო... ისეთი, სერგეი რებროვმა ანდრეი შევჩენკოს მადრიდის "რეალთან" რომ გაატანინა. ჯერ რა ტექნიკურად გააკეთა, მცველები ერთი შეხებით უსაქმოდ დატოვა. ასეთი პოზიციიდან გატანა ხუდობიაკისთვის პრობლემას არ წარმოადგენს...*

*ყენია, გირსკი, გლადკი და - 2:0. და კვლავ ყენია! დღეს ლვოველთა ქართველი ლეგიონერი მშვენიერ შეხვედრას ატარებს".*

უკვე გავრცელდა მატჩის შემდეგ ლევან ყენიას გაკეთებული კომენტარი, სადაც ის ამბობს, რომ კარგ ფორმაშია, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ კიდევ უფრო მოვუმატებო.

ლევან ყენიას პროგრესი აშკარა და ძალიან სასიამოვნო ფაქტია. ქართველი გულშემატკივარი სწორედ ამას ელის – ნაკრებს სწორედ ასეთი ფეხბურთელი თუ დაუბრუნებს აზრს, სახეს და იმ ფეხბურთს, რაც ასე მოგვენატრა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# მწვრთნელის წინათგრძნობა და ჯადო გოლი

## გიორგი კორიფაძე: არც ისეთი გამოუცდელი გუნდი ვართ...

ბოლო ორი ტურია, "ვიტ ჯორჯია" მძლავრად რომ თამაშობს და სახელიან მეტოქეებს ნერვებს უშლის – ჯერ "დინამო თბილისს" დააკარგინა ორი ქულა, მერე კი "ზესტაფონს" სტუმრად 2:1 მოუგო.

ისე, არც "ვიტ ჯორჯიაა" უსახელო კლუბი, საქართველოს ჩემპიონიც ყოფილა და თასის მფლობელიც, სუპერთასიც აუწევია და არაერთხელ გასულა საპრიზო ადგილზე ეროვნულ ჩემპიონატში.

ახლა "ვიტ ჯორჯია" მერვე ადგილზეა და ზედა ექვსეულში მოხვედრის მისხალი შანსი აქვს დარჩენილი, თუმცა, როცა იშტაზეა, ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია.

ვიტჯორჯიელ გიორგი კორიფაძეს ბოლო მატჩები კარგად წაუვიდა, "დინამოსთან" საგოლე გადაცემა შეასრულა ლაშა გაბრიჭიძის მისამართით, "ზესტაფონთან" კი გამარჯვების გოლი გაიტანა შორეული დარტყმით.

კორიფაძე 23 წლის გახლავთ, ტიპურად ფლანგზე მოთამაშე შემტევია, თამაშის გამწვავება და კარის გასწვრივ ჩაწოდება მისი ხელობაა, უკვე ოთხი წელია, რაც ვიტჯორჯიელია, ამ კლუბში ჩამოყალიბდა უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ერთ-ერთ საინტერესო ფეხბურთელად.

კორიფაძესთან საუბარი "ზესტაფონთან" მატჩით დავიწყეთ...

**- ზესტაფონში თამაში ყველა გუნდს უჭირს და იქიდან სამი ქულის წამოღება პატარა საქმე არ არის. რა დავალება გქონდათ ფეხბურთელებს მწვრთნელისგან?**

- კონტრშეტევებზე უნდა აგვეგო თამაში, მოწინააღმდეგისთვის ტერიტორიული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა უნდა შეგვეზღუდა. საბოლოო ჯამში, კარგი შეხვედრა გამოვიდა, მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ უფრო ჩვენ გაგვიმართლა.

**- "ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლები, თუმცა "ზესტაფონთან" ჯერ სათადარიგო იყავი და შეცვლაზე მოგიწია თამაშმა – რა იყო ამის მიზეზი?**

- ჩვენი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი მელაპარაკა ამ ყველაფერზე თამაშის წინ. მითხრა, დაღლილობის ფონს ვამჩნევ და ამიტომაც ვერ იქნები სასტარტოში, მეორე ტაიმში კი აუცილებლად დაგვჭირდებიო. "ზესტაფონთან" ორი გამკვეთილი თავდამსხმელით ვითამაშეთ, წინ ლობჯანიძე და გაბრიჭიძე იყვნენ, 5-3-2 განლაგება ავირჩიეთ და მეც შეცვლაზე მომიწია გამოსვლა.

**- როცა შეცვლაზე შედიოდი, მერაბ კოჭლაშვილმა რა დარიგება მოგცა?**

- გოლი უნდა გაიტანოო. თამაშის წინ კი მერაბ კოჭლაშვილი მეუბნებოდა, ამ თამაშში გოლი გაგაქვს, ასე მაქვს ნანახიო.

**- გოლის ეპიზოდზეც ვთქვათ, - ისე დაარტყი, რომ "ზესტაფიინის" მეკარემ ჯეროვანი რეაქცია ვერ მოახდინა, რაც ალბათ იმის ბრალი იყო, რომ შენგან დარტყმაზე უფრო ჩაწოდებას ელოდა...**

- მეც ჯერ ჩაწოდებას ვაპირებდი, ერთი მეტოქე მოვატყუე, ბურთი გავისწორე, უნდა ჩამეწოდებინა, მაგრამ 'ზესტაფონის" საჯარიმოში ვიტჯორჯიელთაგან არავინ იყო და მეც კარში დარტყმა გადავწყვიტე, რასაც "ზესტაფონის" მეკარე რონინ კვასხვაძე ალბათ არ ელოდა.

**- "ზესტაფონამდე" მცხეთაში "დინამოს" 1:1 ეთამაშეთ – იმ შეხვედრაზე რას გვეტყოდი?**

- პირველ წრეში "დინამოსთან" 0:5 წავაგეთ და როცა დინამოელები მცხეთში მოედანზე გამოვიდნენ, ეგონათ, რომ ნაღდი სამი ქულა ჰქონდათ. ჩვენ კი არც ისეთი გამოუცდელი გუნდი ვართ, რომ მეტოქის ასეთი დამოკიდებულება არ გამოგვეყენებინა. "დინამოსთანაც" ასე იყო – ორივე გუნდს შეეძლოა მოგება, 1:1 რომ იყო ანგარიში, ლობჯანიძე "დინამოს" მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა...

**- "ვიტ ჯორჯია" ხელოვნურ მოედანზე ვარჯიშობს და საშინაო მატჩებსაც ამავე მოედანზე ატარებს – ეს გარკვეულ უპირატესობას არ გაძლევთ მეტოქეებთან?**

- მასეა, როცა შინ ვთამაშობთ, ამ ფაქტორის გამო რაღაც უპირატესობა გვაქვს და როცა სტუმრად მინდორზე ვთამაშობთ, უკვე მოწინააღმდეგეს აქვს გარკვეული უპირატესობა.

**- "ვიტ ჯორჯიადან" გიორგი ჯანელიძის წასვლის შემდეგ ვინ არის გუნდის ლიდერი?**

- ჯანელიძე მართლაც ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო "ვიტ ჯორჯიაში", ამ დროისთვის კი გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს, თერთმეტივე ბოლომდე იბრძვის და მაქსიმუმს დებს მოედანზე.

**- "ვიტ ჯორჯია" წლობით ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურად მოწინავე გუნდი იყო საქართველოში, ახლა კი...**

- უკეთესობა აუცილებლად იქნება, სასიკეთო ძვრები არის და მომდევნო სეზონში "ვიტ ჯორჯია" უკვე სულ სხვა მიზნებისთვის იბრძოლებს.

**- საკუთარ თავს რას ატყობ, კარიერის პიკს უახლოვდები?**

- ალბათ მაქვს წინსვლა, ყველაფერს ვარჯიში და მონდომება სჭირდება.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი კორიფაძე დინამოსთან მატჩში

პირველი ლიგა. XVI ტური

### A ჯგუფი

**სულორი — სქური 1:1**

29.11. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 150 მაყურებელი

1:0 ნოდ. გიორგაძე (38), 1:1 გ. სართანია (70)

სულორი: დ. ოდიშარია, ზ. ენდელაძე, ლ. ...ბუნია, ა. ქებულაძე, გ. ბრეგვაძე (62. გ. ნიკოლეიშვილ), დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, ნოდ. გიორგაძე, თ. ძაგნიძე (59. გ. ბალდავაძე), თ. მაღლაკელიძე, შ. ბაბუნაშვილი

სათადარიგოები: ბ. სულაბერიძე, გ. გიგაშვილი, მ. დვალიშვილი, ნიკ. გიორგაძე, შ. ლვინიანიძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია (80. ი. ქარდავა), ჯ. ყურუა, ზ. ლარიბაშვილი, რ. ცობეხია (46. გ. კვირკვია), ლ. მორგოშია, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, რ. ჩიტაია, ნ. ლვინჯილია (62. ვ. შეროზია)

სათადარიგოები: გ. ლუკავა, ნ. არახამია, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: ნოდ. გიორგაძე; რ. ჩიტაია, გ. ლუკავა

გაძევება: ლ. მორგოშია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**გაგრა — ბეთლემი 1:0**

29.11. თბილისი. „მერანი". 200 მაყურებელი

1:0 ი. ხუციძე (67)

გაგრა: ა. ადამია, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია, გ. ფალავანდიშვილი, გ. ჯგერენაია, გ. გადრანი, გ. ერისთავი (32. უ. მაგაჯი), ს. მალანია (46. ნ. ხოჯაშვილი), ლ. ჩიფჩიური, ჯ. ჯერემია, დ. ვოლკოვი

სათადარიგოები: გ. ალავიძე, გ. სანიკიძე, ლ. სეთურიძე, რ. რადინა, რ. წანწრიალაშვილი

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

ბეთლემი: კ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე (80. ი. ბარამიძე), ნ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია (75. თ. თედორაძე), ი. ჩხაიძე, ი. ნაჭყებია, ვ. დარჩიძე, დ. ჯალაღანია, გ. კახიანი, მ. დავითაძე

სათადარიგოები: ჯ. გიორგაძე, ვ. რუხაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

გაფრთხილება: გ. პაჭკორია; ი. ჩხაიძე, ნ. გოგუაძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**იმერეთი — სასკო 0:0**

29.11. ხონი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. გოდერიძე (74. დ. სულაბერიძე), ა. ტყეშელაშვილი (83. დ. სვანაძე), გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, ნ. ჩიხლაძე, მ. აშვეთია (85. ზ. სადილიანი), გ. მანაგაძე

სათადარიგოები: დ. ხაბურძანია, გ. ხვიჩია, თ. ვაშაკიძე, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

სასკო: ა. ნონოსი, გ. პაპუნაშვილი, ჯ. იამანიძე, კ. ახალაია (81. გ. ჯინიკაშვილი), შ. ფირუზაშვილი (71. თ. ქორჩილავა), თ. მოგელაძე, გ. არახამია (85. ე. ეგიაზარიანი), ბ. ქარდავა, ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე

სათადარიგოები: დ. აბესაძე, თ. ჩარგეიშვილი, თ. გაფრინდაშვილი

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: დ. კუხალაშვილი, გ. გოდერიძე; თ. მოგელაძე

გაძევება: ჯ. იამანიძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**მეშახტე — სტუ 3:0**

29.11. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 ლ. შავგულიძე (45), 2:0 ლ. შავგულიძე (60, პენალტით), 3:0 ი. მოისწრაფიშვილი (73).

მეშახტე: ი. ორბელაძე, ი. გვეტაძე (78. ლ. მაჩალაძე), გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე (79. თ. ჭელიძე), ნ. უგრეხელიძე, მ. კოპალიანი, თ. გოგიჩაძე, გ. ჩხეტიანი, ბ. კოლუაშვილი, ი. მოისწრაფიშვილი (74. ა. სახელაშვილი), ბ. ჯიშიაშვილი

სათადარიგოები: გ. ბერძენაძე

სტუ: გ. ელბაქიძე, დ. ყაველაშვილი, ა. კიკვაძე, ო. გაგნიძე, გ. თვალავაძე, მ. გოგატიშვილი, გ. არახამია (62. ზ. აბესაძე), კ. კახაბრიშვილი (62. გ. გვაზავა), ა. გოდუაძე, დ. კოხრეიძე, ჯ. კოლუა

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ლ. შავგულიძე; ა. კიკვაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ჭიათურა — რაჭა 1:2**

30.11. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 100 მაყურებელი

1:0 თ. ხარებავა (7), 1:1 ლ. ნეფარიძე (37), 1:2 ლ. მიქაბერიძე (61)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, გ. მეცხოვრიშვილი (49. იაკობ დეისაძე), ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ზ. ნოზაძე, ი. კილაძე, ა. ბაბლიძე (468 იაგო დეისაძე), ლ. კუჭაშვილი, ს. გაბაძე (81. თ. ჯაჯანიძე), დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ი. ცერცვაძე, დ. მოდებაძე, ბ. ჭუმბაძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

რაჭა: ნ. ჯოხაძე, ი. ვეკუა, დ. ბაქრაძე, გ. შარაბიძე, ლ. ნეფარიძე, გ. ბაგალიშვილი (46. ლ. მეტონიძე), ვ. ჭაბუკიანი, ლ. მიქაბერიძე, ი. ჭანკვენაძე, გ. მაისაშვილი, თ. კოხრეიძე

სათადარიგოები: ა. გურაბანიძე, ი. ხვედელიძე, კ. გოგრიჭიაყი

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

გაფრთხილება: ზ. ნოზაძე; ი. ვეკუა, ი. ჭანკვეტაძე, ვ. ჭაბუკიანი, ლ. მეტონიძე, ნ. ჯოხაძე

არბიტრი: ზ. ტულუში

**დინამო-2 — გურია 1:5**

30.11. თბილისი. დილმის ბაზა. 300 მაყურებელი

0:1 ა. გოგობერიშვილი (6), 0:2 გ. თოდუა (51), 0:3 გ. კვერენჩხილაძე (78), 0:4 ზ. კვარაცხელია (80), 1:4 ბ. ზივზივაძე (82), 1:5 გ. კვერენჩხილაძე (86)

დინამო-2: ტ. ხაინდრავა, თ. კაკულია, გ. გაგნიძე, ა. მანაგაძე, დ. ხოჭოლავა, ო. კაკაბაძე (34. თ. კიტოვანი), გ. პაპავა, ბ. მუმლაძე (78. ჭ. ჭეჭელაშვილი), ბ. რუხაძე, ბ. ზივზივაძე, კ. გაბაშვილი (67. ვ. ოილოსანი)

სათადარიგოები: ლ. ისიანი, ს. ლობჟანიძე, კ. ხიზანეიშვილი, გ. ჯავახიშვილი

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, ბ. წერეთელი, დ. მაისაშვილი, გ. მაჩაიძე, ტ. კუკულაძე, ა. გოგობერიშვილი, ლ. ვართაგავა (83. ჯ. გოგიბერიძე), ა. შენგელია (55. ზ. კვარაცხელია), გ. თოდუა (79. დ. რაფავა), გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ა ლალაძე, გ. შენირული, ლ. იაშვილი

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: დ. ხოჭოლავა; ბ. წერეთელი, ლ. ვართაგავა, გ. ძაძამია

არბიტრი: ო. ხეცაძე

### XVII ტური

| | |
|---|---|
| მეშახტე – ჭიათურა | 2:0 |

### ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| გიორგი ქვილითაია (სასკო) | 21 |
| გიგა კვერენჩხილაძე (გურია) | 16 |
| ბუდუ ზივზივაძე (დინამო-2) | 12 |

### მომდევნო ტური

4 დეკემბერი: სქური — იმერეთი, ბეთლემი — სულორი, სტუ — გაგრა, რაჭა — გურია, 5 დეკემბერი: სასკო — დინამო-2

### B ჯგუფი

**შუქურა — ლოკომოტივი 2:0**

30.11. ქობულეთი. „ჩელო-არენა". 500 მაყურებელი

1:0 ლ. ჩაფიძე (16), 2:0 მ. კოპალიანი (57)

შუქურა: თ. კაკალაძე, მ. ფუტკარაძე (83. გ. დევაძე), ჯ. ბრაჭული, ლ. მახარაძე, გ. შონიძე, დ. გაბელია, გ. ჩელებაძე, მ. კაკალაძე (65. ი. ხუჭუა), ლ. ჩაფიძე (85. ლ. ანანიძე), ი. ტაკიძე, მ. კოპალიანი

სათადარიგოები: ვ. ცენტერაძე, ნ. გოგიტიძე, მ. ქათამაძე, ა. გოგიტიძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

ლოკომოტივი: ბ. ტყემალაძე, დ. მთიულიშვილი, გ. მაკასარაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, დ. მიქავა, ა. გუგუშვილი (82. ლ. ზარანდია), მ. ცინცაძე, ე. სულთანიშვილი, ჯ. ყანჩაშვილი (46. ა. მზევაშვილი), დ. დარციმელია, დ. გუჯაბიძე (60. გ. ბაქრაძე)

სათადარიგოები: დ. ლეგაშვილი, გ. გურეშიძე, ლ. კიკაბიძე, ო. პატარკაციშვილი

მწვრთნელი: გ. სანაია

გაფრთხილება: ი. ტაკიძე, ლ. ანანიძე; დ. მთივლიშვილი, მ. ცინცაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**მერცხალი — სპარტაკი 1:3**

30.11. ოზურგეთი. „ცენტრალური". 300 მაყურებელი

1:0 ვ. ჯაყელი (10. პენალტით), 1:1 ზ. მეტრეველი (31), 1:2 უ. ბურძენაძე (61), 1:3 დ. გელაშვილი (68)

მერცხალი: გია გოგუა, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ვ. ტუტოიანი, ზ. ტულუში 70. ი. კალაჯიშვილი), ზ. ხურციძე, გ. კაშია (46. ი. ბაჯელიძე), ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. მალაზონია, ლ. კოტრიკაძე (74. გ. პაპკოვი), ვ. ჯაყელი

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, გ. გოგუა, ლ. ათუაშვილი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე, დ. ჭაჭიოძე, უ. ბურძენაძე, ლ. თვალავაძე, თ. შონია, თ. თუხარელი (86. თ. მაქაცარია), ვ. კილასონია (88. გ. ვაშაკიძე), ლ. ლემონჯავა, დ. გელაშვილი (77. კ. კაკაშვილი), ზ. მეტრეველი

სათადარიგოები: გ. ხარაზიშვილი, ა. ხალიევი

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

გაფრთხილება: ვ. ტუტოიანი, ს. გ. ჩიგოგიძე, ი. ბაჯელიძე; ვ. კილასონია

არბირი: ზ. ასკარ-ოღლი

**კოლხეთი (ხ) — ლიახვი 2:0**

30. 12. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 დ. ციცხვაია (27), 2:0 თ. ღლონტი (83)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი7 გ. ქირია (85. ლ. ქაშიბაძე), გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, გ. ფარფალია, ვ. ფირცხელავა (75. კ. ალანია), ლ. მეფიშვილი, ლ. ჯიქიძე(82. თ ღლონტი), მ. ჭკადუა, დ. ციცხვაია

სათადარიგოები: პ. გაბრავა, მ. ძიძიგური, კ. გოგენია, ი. გერგაია

მწვრთნელი: ბ. შეროზია

ლიახვი: ლ. ეზიეშვილი, გ. მინდორაშვილი, ვ. კეკელია, მ. ჯიქია, თ. შუბითიძე, ა. ქელიხაშვილი, გ. კუხალაშვილი (66. ლ. კომლაძე), გ. ლობჟანიძე (77. ზ. ჭადაშვილი),.გ. თოლორდავა, ზ. ქანთარია, თ. აზიკური (55. ლ. კოპალიანი)

სათადარიგოები: ა. ბარნაბიშვილი, ი. ჯველაური, ნ. ლიპარიშვილი

მწვრთნელი: უ. ქანთარია

გაფრთხილება: ლ. ჯიქიძე; თ. შუბითიძე

არბიტრი: დ. სანოძე

**ჩხერიმელა — სამგურალი 1:7**

30. 11. ხარაგაული. „ს. აბაშიძე". 100 მაყურებელი

0:1, 0:2 მ. ჩხარტიშვილი (18, 34), 0:3 თ. კაპანაძე (40), 1:3 გ. ბ. თურმანიძე (52), 1:4 ი. ხვადაგიანი (53), 1:5 ვ. ფანცხავა (66), 1:6 თ. კაპანაძე (72), 1:7 ვ. ფანცხავა (87).

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, ც. ხარაბაძე (68. ლ. ლონლაძე), გ. მეტრეველი, თ. კიკნაძე, გ. ბ. თურმანიძე, ვ. აფციაური, ო. ჩინჩალაძე, ი. ჩუბინიძე, ნ. ბერაძე (61. გ. არევაძე), შ. სვანიძე (58. ლ. კიკნაძე), გიორგი კიკნაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, მ. ჩხარტიშვილი, ზ. ჩიხლაძე (46. ლ. ყიფიანი), ზ. სალინაძე, თ. კაპანაძე, ხ. უგრეხელიძე (72. ნ. ბაბუნიძე), ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, გ. თევდორაძე (60. ვ. ფანცხავა)

სათადარიგოები: ბ. მემარნიშვილი, ლ. ნავერიანი, ო. ტორაძე, ზ. კუხალაშვილი

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: გ. მეტრეველი, გ. თურმანიძე;

არბიტრი: შ. ქუხილავა

**ადელი — ზოოვეტი 1:2**

30. 11. ბათუმი. „ადელი". 100 მაყურებელი

1:0 მ. მამულაძე (18), 1:1 გ. ტუხაშვილი (79), 1:2 ზ. ტიელიძე (82)

ადელი: გ. შერვაშიძე, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი, ვ. სიორდია, თ. ნადირაძე, გ. მამულაძე (72. გ. ქოქოლაძე), ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე (46. გ. სირაბიძე), ბ. ჯუგაშვილი. თ. ხაბელაშვილი (82. თ. გიორგაძე), ლ. კოშაძე

სათადარიგოები: გ. რომანაძე, თ. მჟავანაძე, ზ. კონცელიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

ზოოვეტი: ზ. გოგრიჭიანი, ლ. ლონლაძე ი. ალასანია (21. მ. მერეჩკო), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ლ. დათუნაშვილი (46. გ. ტვილდიანი), გ. ტუხაშვილი, გ. ჯორჯიკია (46. უ. მამულაშვილი), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ზ. ტიელიძე

სათადარიგოები: ი. ჯოჯიშვილი, მ. მახათაძე, ს. ჭიკაიძე

მწვრთნელი: ე გუგუშვილი

გაფრთხილება: მ. მამულაძე, ლ. კოშაძე; ლ. დათუნაშვილი, გ. ტუხაშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

### ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| თორნიკე კაპანაძე (სამგურალი) | 15 |
| დავით ჯიქია (ლოკომოტივი) | 11 |
| დავით გელაშვილი (სპარტაკი) | 10 |

### მომდევნო ტური

5 დეკემბერი: მერცხალი — შუქურა, ლოკომოტივი — სამტრედია, სპარტაკი — კოლხეთი, ლიახვი — ჩხერიმელა, სამგურალი — ადელი

### ლიგის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | |
|---|---|
| მერანი – დინამო (ბთ) | 0:2 |
| მეტალურგი – დილა | 0:1 |
| ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| დინამო (თბ) – ჩიხურა | 3:3 |
| ტორპედო – კოლხეთი | 2:1 |
| ზუგდიდი – სიონი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 18 | 12 | 2 | 4 | 48-22 | 38 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 3 | 4 | 43-22 | 36 |
| 3. ზესტაფონი | 18 | 10 | 5 | 3 | 54-30 | 35 |
| 4 .ზუგდიდი | 18 | 10 | 4 | 4 | 32-17 | 34 |
| 5. ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 28-22 | 28 |
| 6. მეტალურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 31-33 | 25 |
| 7. ჩიხურა | 18 | 7 | 4 | 7 | 21-23 | 25 |
| 8. დილა | 18 | 7 | 3 | 8 | 20-23 | 24 |
| 9. დინამო (ბთ) | 18 | 6 | 2 | 10 | 25-31 | 20 |
| 10. კოლხეთი (ფ) | 18 | 6 | 2 | 10 | 19-38 | 20 |
| 11. მერანი | 18 | 4 | 2 | 12 | 10-39 | 14 |
| 12. სიონი | 18 | 0 | 5 | 13 | 14-45 | 5 |

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სამშაბათის მატჩების წინ

# თითიდან გამოწოვილი ინტრიგა

## გასარკვევია ორი პირველადგილოსანი და ორი მესამეადგილოსანი

პირველ ოთხ ჯგუფში მთავარი ამბები გადაწყვეტილია: ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობა ცნობილია. გასარკვევი დარჩა მხოლოდ ორი პირველადგილოსნის და ორი მესამეადგილოსნის ვინაობა, თუმცა ეს, დაგვეთანხმებით, თითიდან გამოწოვილი ინტრიგაა. რეალურად საინტერესო წესით პსჟ-ს და „პორტუს" დაპირისპირება უნდა გამოვიდეს – ეს გუნდები ერთმანეთს პირველ ადგილს ეცილებიან.

### A ჯგუფი

**პსჟ-პორტუ 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსჟ (4-3-2-1):** სირიგუ – ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი – შანტომი, ვერატი, მატუიდი – მენეზი, ლავეცი – იბრაჰიმოვიჩი.

**პორტუ ():** ელტონი – დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო – დეფური – ლუჩო, მოუტინიო – ვარელა, მარტინესი, როდრიგესი.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

**დინამო (ზ)-დინამო (კ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო /ზ/ (4-2-3-1):** კელავა – ვრსალკო, ვიდა, შიმუნიჩი, პივარიჩი – კოვაჩიჩი, ადემი – ბეჩირაი, ბროზოვიჩი, ჰალილოვიჩი – სამირი.

**დინამო /კ/ (4-2-3-1):** შოვკოვსკი – სილვა, მიხალიკი, ხაჩერიდი, ტაიო – ვუკოიევიჩი, ველოზო – მეჰმედი, გარმაში, რაფაელი – იდეიე.

**არბიტრი:** სტანისლავ ტოდოროვი (ბულგარეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. პსჟ | 5 | 4 | 0 | 1 | 12-2 | 12 |
| 3. დინამო (კ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 0-13 | 0 |

### B ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-არსენალი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლიმპიაკოსი (4-3-1-2):** კეროლი – ტოროსიდისი, მოდესტო, მანიატისი, ჰოლებასი – მაჩადო, ფუსტერი, აბდუნი – იბაგასა – მიტროლლუ, ჯებური.

**არსენალი (4-3-3):** შჩესნი – ჯენკინსონი, ჯურუ, ვერმაელენი, სანტოსი – კოკელინი, როსიცკი, რემსი – ოქსლეიდ-ჩემბერლეინი, ჟირუ, არშავინი.

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**მონპელიე-შალკე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მონპელიე (4-2-3-1):** ლიგალი - კონგრე, იანგა-მბივა, ჰილტონი, ბედიმო - სტამბული, ესტრადა - კაბელა, ბელჰანდა, უტაკა - შარბონიე.

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ფუხსი - ნოიშტედტერი, კოლასინაცი - ობასი, ჰოლტბი, დრაქსლერი - ჰუნტელაარი.

**არბიტრი:** ანტონიო მატეუ ლაოსი (ესპანეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 4. მონპელიე | 5 | 0 | 1 | 4 | 5-11 | 1 |

### C ჯგუფი

**მილანი-ზენიტი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – საპატა, იეპესი, აკერბი, დე შილიო – ფლამინი, ამბროზინი, ნოჩერინო – კ.-პ. ბოატენგი – ბოიანი, ემანუელსონი.

**ზენიტი (4-3-3):** მალაფეევი – ანიუკოვი, ჰუბოკანი, ლომბერტსი, კრიშიტო – ფაიზიულინი, შიროკოვი, ვიტსელი – ბისტროვი, კერჟაკოვი, ჰალკი.

**არბიტრი:** ტონი შარპონი (საფრანგეთი)

**მალაგა-ანდერლეხტი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო – გამესი, სანჩესი, ველიგტონი, ელიზეუ – ტულალანი, კამაჩო – პორტილიო, ისკო, ხოაკინი – სავიოლა.

**ანდერლეხტი (4-2-3-1):** პროტო – ჟილე, კუიატე, ჯუჰაში, საფარი – ბილია, კლიესტანი – ბრუნო, პრო, იოვანოვიჩი – მბოკანი.

**არბიტრი:** დენიზ აითექინი (გერმანია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. ზენიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 4. ანდერლეხტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |

### D ჯგუფი

**ბორუსია (დ)-მანჩესტერ სიტი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი, ლაიტნერი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - შიბერი.

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** პანტილიმონი - საბალეტა, ლესკოტი, ნასტასიჩი, კოლო ტური - ხავი გარსია, ბერი - მილნერი, ნასრი, სინკლერი - ჯეკო.

**არბიტრი:** მილორად მაჟიჩი (სერბეთი)

**რეალი-აიაქსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – რამოსი, ვარანე, პეპე, კოენტრაო – მოდრიჩი, ხედირა – კალეხონი, კაკა, რონალდო – ბენზემა.

**აიაქსი (4-3-2-1):** ვერმეერი – ვან რინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი – პოულსენი, ენო, ერიკსენი – დე იონგი, ბურიგტერი – ჰოსენი.

**არბიტრი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 2. რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 |
| 3. აიაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 4 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 5 | 0 | 3 | 2 | 7-10 | 3 |



შალკეს მწვრთნელი ჰუბ სტევენსი (მარცხნივ) და მონპელიეს თავკაცი რენე ჟირარი ერთმანეთს ვერ იტანენ

### A ჯგუფი:
### ვინ იქნება პირველი? გადაურჩება ზაგრები ორმაგ ანტირეკორდს?

A ჯგუფში ბოლო ტურის წინ უპასუხოდ მხოლოდ ერთი კითხვაა დარჩენილი: რომელი ადგილებით გავლენ მერვედფინალში „პორტუ" და პსჟ – ანუ, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს? კიდევ კარგი, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან – ეს იმას ნიშნავს, რომ მატჩი საინტერესო უნდა გამოვიდეს. ხუთი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე პორტუგალიური გრანდია (13 ქულა) და ფრანგულ ვიზავის 1 ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და კომპანიას მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ ფრანგული პრესა პსჟ-ს თავკაც **კარლო ანჩელოტის** და სპორტულ დირექტორ **ლეონარდოს** ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებს. მართალია, პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაში გაინაღდა, სამაგიეროდ, გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში ვერ ბრწყინავს. „ნიცასთან" 1:2-ის შემდეგ ანჩელოტი ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის რადიკალური ცვლილებებით დაიმუქრა. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ კარლიტო იბრაჰიმოვიჩს არ შეეხება – ზლატანმა „ნიცასთანაც" გოლი გაიტანა.

დღევანდელი შეხვედრის გენერალური რეპეტიცია წარმატებით ჩაატარა „პორტუმ" - **ვიტორ პერეირას** გუნდმა მესამეადგილოსანი „ბრაგა" 2:0 დაამარცხა. დღეს პერეირას ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, მაგრამ დიდი შანსია, 44 წლის სპეციალისტმა **აბდულაიე** დაასვენოს, რადგან ამ უკანასკნელს მორიგი გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ჯგუფის მეორე მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ხორვატული და უკრაინული „დინამოები" დაუპირისპირდებიან მხოლოდ და მხოლოდ პრესტიჟისაა. საქმე განსაკუთრებით ზაგრებელთა პრესტიჟს ეხება: ხორვატიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ბოლო ადგილზე უქულოდ და უგოლოდაა. თუკი ზაგრების „დინამო" დღესაც დამარცხდება, ეს ამ გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მე-12 წაგება იქნება და „ანდერლეხტის" ანტირეკორდს გაიმეორებს. გარდა ამისა, ზაგრებელებს მეორე ანტირეკორდის გამეორების საფრთხეც ემუქრებათ: აქამდე მხოლოდ ერთადერთი გუნდი დარჩა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში უგოლოდ – ეს 2009/2010 წლების სეზონში ჰაიფას „მაქაბის" დაემართა.

წინა კვირაში ხორვატიის ჩემპიონის ხელმძღვანელებმა მწვრთნელი შეცვალეს: **ანტე ჩაჩიჩის** ნაცვლად „დინამოს" თავკაცად **კრუნოსლავ იურჩიჩი** დაინიშნა და ანტირეკორდის წინააღმდეგ ბრძოლაც სწორედ მას დაევალა. პარადოქსი ისაა, რომ იურჩიჩი ზაგრების „დინამოდან" ზუსტად ერთი წლის წინ, „ლიონთან" 1:7-ის შემდეგ გაათავისუფლეს და გეხსომებათ, ზაგრებელებმა ჯგუფში ასპარეზობა მაშინ 0 ქულით დაასრულეს.

შეგახსენებთ, რომ კიეველებსაც ახალი მწვრთნელი ჰყავთ – **ოლეგ ბლოხინი**, რომელიც აქედანვე ემზადება ევროპალიგისთვის. კიევის „დინამოს" მესამე ადგილს ხომ ეშმაკიც ველარ წაართმევს...

### B ჯგუფი:
### შალკე თუ არსენალი?

B ჯგუფის ერთადერთი ინტრიგაც პირველი ადგილისთვის ბრძოლაა, ოღონდ აქ „შალკე" და „არსენალი" ერთმანეთს პარალელურ მატჩებში ებრძვიან. გელზენკირხენული კლუბი საფრანგეთის ჩემპიონ „მონპელიეს" სტუმრობს, „არსენალი" კი – „ოლიმპიაკოსს".

„მონპელიესთვის" „შალკესთან" მატჩს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბოლო ადგილზეა და ალარაფერი ეშველება. რაკი „მონპელიეს" საფრანგეთის ჩემპიონატშიც პრობლემები აქვს, **რენე ჟირარი** სავარაუდოდ ძირითადი შემადგენლობის არაერთ ფეხბურთელს დაასვენებს. ზოგადად, მწვრთნელები დღეს ყურადღების ცენტრში მოექცევიან – შეგახსენებთ: პირველი მატჩის დროს, რომელიც გელზენკირხენში 2:2 დასრულდა, ჟირარმა თავის ჰოლანდიელ კოლეგა **ჰუუბ სტევენსს** შუა თითი უჩვენა, რის გამოც უეფამ მაშინ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„შალკეს" ბუნდესლიგაში 4-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, რაც გელზენკირხენელთათვის პირველი შემთხვევაა მას მერე, რაც იქ სტევენსი დაბრუნდა. კითხვაზე, მიმართავს თუ არა დღეს როტაციას, 59 წლის სტევენსმა გუშინ უპასუხა, ჯერ არ ვიციო. თუმცა „შალკეს" თავკაცი გარკვეულწილად ვალდებულია, როტაციას მიმართოს, რადგან **ფარფანს**, **პაპადოპულოსს**, **ჰიოგერს** და **აფელაის** ტრავმები აწუხებთ და საფრანგეთში არ წასულან. შესაძლოა, სტევენსმა **მატიპი** და **ჯონსი** დაასვენოს, რადგან მათ დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრებათ.

ეროვნულ პირველობაზე „არსენალსაც" უჭირს: „სუონსისთან" 0:2-მდე ფეხბურთელებს საკუთარი ფანები მისდგნენ, მაგრამ „მეთოფეებს" ამანაც არ უშველა – ფაქტია, რომ „არსენალს" **არსენ ვენგერის** ხელში სეზონი ასე ცუდად არასდროს დაუწყია. შესაბამისად, ლონდონელთა ფრანგ თავკაცს უკვე ძალიან ხშირად აკრიტიკებენ. „ოლიმპიაკოსს" მესამე ადგილი განაღდებული აქვს და შესაძლოა, ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშოს.

### C ჯგუფი:
### ვინ გადაინაცვლებს ევროპალიგაზე: ზენიტი თუ ანდერლეხტი?

C ჯგუფში ლიდერისა და მეორეადგილოსნის ვინაობა გარკვეულია: „მალაგა" პირველია, „მილანი" - მეორე. დღეს ანდალუსიელები „ანდერლეხტს" მასპინძლობენ და **მარტინ დემიკელისი** არ ეყოლებათ. თუმცა **მანუელ პელეგრინი** ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ალბათ ისედაც დაასვენებს და სათადარიგოებს მისცემს თავის გამოჩენის შანსს, რაც შეიძლება „ანდერლეხტის" შანსადაც მივიჩნიოთ – ბელგიელები ხომ მესამე ადგილისთვის იბრძვიან. თუმცა „ანდერლეხტი" პარალელურ მატჩზეა დამოკიდებული...

...რადგან ბელგიის ჩემპიონს „ზენიტის" დარად 4 ქულა აქვს, მათ შორის უშუალო დუელებში ფრეა (1:0, 0:1) და თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მესამეადგილოსანი ბურთების შეფარდებამ უნდა გაარკვიოს. მეექვსე ტურის წინ ამ მხრივ რუსეთის ჩემპიონს მცირე უპირატესობა აქვს (+1).

### D ჯგუფი:
### აქაც მესამე ადგილი...

„სიკვდილის ჯგუფშიც" მესამეადგილოსნის ვინაობაა გასარკვევი – ევროპალიგის საგზურისთვის „მანჩესტერ სიტი" და „აიაქსი" იბრძვიან. დორტმუნდის „ბორუსიას" ლიდერობა განაღდებული აქვს და „სიტისთან" დუელი **იურგენ კლოპის** გუნდისთვის მხოლოდ პრესტიჟის საქმეა. პირველ მატჩში დორტმუნდელებმა შესანიშნავად ითამაშეს, იგებდნენ და „სიტიმ" ანგარიში საეჭვო პენალტით გაათანაბრა. ფაქტია, რომ კლოპი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს. **რობერტო მანჩინის** გუნდს ხელს მხოლოდ გამარჯვება აძლევს. მართალია, „სიტი" „აიაქსს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მანჩესტერელებს ამსტერდამელებთან უშუალო დუელი წაგებული აქვთ (2:2, 1:3). აქვე ვთქვათ, რომ **იაია ტურე** ტრავმირებულია.

„აიაქსი" მადრიდში ჩადის და სტატისტიკიდან გამომდინარე, წაგებისთვისაა განწირული - ეს გუნდები ბოლო სამ წელიწადში ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ხუთივე თამაში „რეალმა" მოიგო (ბურთების შეფარდება 16:1). მაგრამ თუ „სიტი" დორტმუნდში ვერ მოიგებს, „აიაქსისთვის" წაგებასაც არა უშავს...

**გოტფრიდ ლენცი**

● ვალენსია



## ლამურებთან ვალვერდე მიუშვეს

გუშინდელი ვარაუდი მართალი გამოდგა - „ვალენსიამ" ოფიციალურად დაამტკიცა მთავარი მწვრთნელის პოსტზე 48 წლის მწვრთნელი **ერნესტო ვალვერდე**. 3 დეკემბერს მან „ლამურებთან" 6-თვიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ „ლამურებმა" მწვრთნელი მე-14 ტურის მერე დაკარგეს, როცა არგენტინელი **მაურისიო პელეგრინოს** გუნდმა „მესტალიაზე" ულვთოდ წააგო „რეალ სოსიედადთან" - 2:5. 14 მატჩის შემდეგ გუნდს, რომელიც ბოლო დროს პრიმერადივიზიონში მესამე ადგილი დაბევებული ჰქონდა, მხოლოდ 18 ქულა აქვს.

ვალვერდე ესტრემადურელია, ფეხბურთელობისას ის ფორვარდი იყო და ყველაზე მეტად ბილბაოს „ატლეტიკში" თამაშით დაგვამახსოვრა თავი. თუმცა მანამდე „ალავესში", „სესტაოში", „ესპანიოლში" და „ბარსელონაში" (8 გოლი 1988-1990 წლებში) უთამაშია. „ბილბაოს" მაისურით მან 170 მატჩში 44 გოლი გაიტანა, შემდეგ იყო „მალიორკა" და ვალვერდემ კარიერა დაასრულა (1 მატჩი ესპანეთის ნაკრებში).

მწვრთნელობა ვალვერდემ 2001 წელს „ბილბაოში" ასისტენტად, მერე კი სარეზერვო გუნდის მწვრთნელად დაიწყო. 2003-ში ვალვერდე უკვე მთავარი გუნდის თავკაცია და „ბილბაო" უეფას თასზე გაჰყავს. 2006-ში ვალვერდე „ესპანიოლში" გადავიდა, შემდეგ იყო „ოლიმპიაკოსი" (2008-09 წლები), „ვილიარეალი" (2009-10) და ისევ „ოლიმპიაკოსი" (2010-12).

როგორც ფეხბურთელს, ვალვერდეს თასების მფლობელთა თასი და კოპა დელ რეი აქვს მოგებული. როგორც მწვრთნელს, ბერძნული ლიგა სამჯერ და ბერძნული თასი 2-ჯერ. „ესპანიოლი" კი მან უეფას თასის ფინალში გაიყვანა (2007 წელს).

### არა ხალხის რჩეული

არადა, იმ კანდიდატებიდან, ვისი სახელიც დასახელდა, გულშემატკივრებს სულ სხვა სურდათ „ვალენსიას" თავკაცად. „მარკას" გამოკითხვის მიხედვით, 54%-ს (დაახლოებით, 12 ათას ადამიანს) უნდოდა მწვრთნელად **ლუის არაგონესი** ეხილა, ხოლო 17% გერმანელი **ბერნდ შუსტერის** კანდიდატურას ემხრობოდა. ვალვერდეს მწვრთნელობას გამოკითხულთა მხოლოდ 12% ითხოვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტური**

**სევილია-ვალიადოლიდი 1:2**

**გოლები:** 0:1 ებერტი (2), 0:2 ოსკარი (12), 1:2 მანუჩო (50 ს.კ.)

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - სისინიო (27. რაბელიო), ბოტია, კალა, ფ. ნავარო - მადურო (49. კონდობია), მედელი - ხესუს ნავასი, რეიესი, პეროტი (77. რუბიო) - ბ. დიავარა.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, რუედა (80. პენია), ვალიენტე, ბალენსიაგა - ვ. პერესი, რუბიო (73. სასტრე) - ებერტი, ოსკარი, ომარი (83. ბუენო) - მანუჩო.

**გაფრთხილება:** მედელი, ნავარო, კალა - რუკავინა, ებერტი, ერნანდესი, პენია, ბუენო, პერესი

**გაძევება:** მედელი (62)

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12-11 (5-6); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 14 | 13 | 1 | 0 | 48-16 | 40 |
| 2. ატლეტიკო | 14 | 11 | 1 | 2 | 29-13 | 34 |
| 3. რეალი | 14 | 9 | 2 | 3 | 34-10 | 29 |
| 4. ბეტისი | 14 | 8 | 1 | 5 | 23-24 | 25 |
| 5. მალაგა | 14 | 6 | 4 | 4 | 19-10 | 22 |
| 6. ხეტაფე | 14 | 7 | 1 | 6 | 17-19 | 22 |
| 7. ვალიადოლიდი | 14 | 6 | 3 | 5 | 20-15 | 21 |
| 8. ლევანტე | 14 | 6 | 3 | 5 | 16-21 | 21 |
| 9. სოსიედადი | 14 | 6 | 2 | 6 | 21-18 | 20 |
| 10. ვალეკანო | 14 | 6 | 1 | 7 | 18-30 | 19 |
| 11. სევილია | 14 | 5 | 3 | 6 | 19-20 | 18 |
| 12. ვალენსია | 14 | 5 | 3 | 6 | 18-23 | 18 |
| 13. სარაგოსა | 14 | 5 | 1 | 8 | 16-23 | 16 |
| 14. სელტა | 14 | 4 | 3 | 7 | 16-19 | 15 |
| 15. ბილბაო | 14 | 4 | 3 | 7 | 19-32 | 15 |
| 16. ოსასუნა | 14 | 3 | 4 | 7 | 12-15 | 13 |
| 17. მალიორკა | 14 | 3 | 4 | 7 | 14-23 | 13 |
| 18. გრანადა | 14 | 3 | 3 | 8 | 11-20 | 12 |
| 19. დეპორტივო | 14 | 2 | 5 | 7 | 21-31 | 11 |
| 20. ესპანიოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 13-22 | 10 |

უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A ბოლო ტური

# ბრაზილეირაო 2013 წლამდე დაგვემშვიდობა

**ფლამენგო-ბოტაფოგო 2:2**

**გოლები:** 0:1 სასა (5), 1:1 ნიქსონი (33), 1:2 ვიტორ ჟუნიორი (48), 2:2 ვაგნერ ლავი (56).

**სანტოსი-პალმეირასი 3:1**

**გოლები:** 0:1 მაიკონ ლეიტე (5), 1:1 ვიქტორ ანდრადე (14), 2:1 ნეიმარი (23-პენ), 3:1 ნეიმარი (39).

**ფლუმინენსე-ვასკო 1:2**

**გოლები:** 0:1 ედერ ლუიში (71), 0:2 ედერ ლუიში (80), 1:2 ტიაგო კარლეტო (86-პენ).

**სან პაულო-კორინთიანსი 3:1**

**გოლები:** 0:1 გერერო (13), 1:1 დუგლსი (15), 2:1 მაიკონი (24), 3:1 მაიკონი (77).

**ატლ. მინეირო-კრუზეირო 3:2**

**გოლები:** 1:0 ბერნარდი (5), 1:1 მარტინუჩიო (45), 1:2 ევერტონი (51), 2:2 მარსელო ოლივერია (60-საკ. კარში), 3:2 რევერი (75).

**კორიტიბა-ფიგეირენსე 3:0**

**გოლები:** 1:0 ევერტონ რიბეირო (10), 2:0 დენისი (64), 3:0 ევერტონ რიბეირო (88).

**ნაუტიკო-სპორტ რესიფე 1:0**

**გოლი:** 1:0 არაუჟო (65).

**ატლ. გოიანიენ.-ბაია 0:1**

**გოლი:** 0:1 რაფაელი (89).

**გრემიო-ინტერი 0:0**
**პორტუგეზა-პონტე პრეტა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 38 | 22 | 11 | 5 | 61-33 | 77 |
| 2. ატლ. მინეირო | 38 | 20 | 12 | 6 | 64-37 | 72 |
| 3. გრემიო | 38 | 20 | 11 | 7 | 56-33 | 71 |
| 4. სან პაულო | 38 | 20 | 6 | 12 | 59-37 | 66 |
| 5. ვასკო და გამა | 38 | 16 | 10 | 12 | 45-44 | 58 |
| 6. კორინთიანსი | 38 | 15 | 12 | 11 | 51-39 | 57 |
| 7. ბოტაფოგო | 38 | 15 | 10 | 13 | 60-50 | 55 |
| 8. სანტოსი | 38 | 13 | 14 | 11 | 50-44 | 53 |
| 9. კრუზეირო | 38 | 15 | 7 | 16 | 47-51 | 52 |
| 10. ინტერნასიონ. | 38 | 13 | 13 | 12 | 44-40 | 52 |
| 11. ფლამენგო | 38 | 12 | 14 | 12 | 39-46 | 50 |
| 12. ნაუტიკო | 38 | 14 | 7 | 17 | 44-51 | 49 |
| 13. კორიტიბა | 38 | 14 | 6 | 18 | 53-60 | 48 |
| 14. პონტე პრეტა | 38 | 12 | 12 | 14 | 37-44 | 48 |
| 15. ბაია | 38 | 11 | 14 | 13 | 37-41 | 47 |
| 16. პორტუგეზა | 38 | 10 | 15 | 13 | 39-41 | 45 |
| 17. სპორტ რესიფე | 38 | 10 | 11 | 17 | 39-56 | 41 |
| 18. პალმეირასი | 38 | 9 | 7 | 22 | 39-54 | 34 |
| 19. ატლ. გოიანიენ. | 38 | 7 | 9 | 22 | 37-67 | 30 |
| 20. ფიგეირენსე | 38 | 7 | 9 | 22 | 39-72 | 30 |

**ბომბარდირები:** 20 – ფრედი (ფლუმინენსე); 17 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბარკოსი (პალმეირასი), ნეიმარი (სანტოსი), ალოიზიო (ფიგეირენსე), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 13 – კიეზა (ნაუტიკო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო).



ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო ტურზე სასაუბრო არც ისე ბევრია და ეს მიუხედავად იმისა, რომ 38-ე ტურის ათი მატჩიდან 8 დერბი იყო. ბრაზილური ფეხბურთის მამები კალენდარს ისე ადგენენ, რომ უკანასკნელ ტურში ერთმანეთს ერთი ქალაქის ან უკიდურეს შემთხვევაში, ერთი შტატის გუნდები შეხვდნენ. იდეა საკმაოდ კარგია, რადგან ერთი მხრივ ბოლო ტურში უმოტივაციო მატჩებს და შესაბამისად ჩანყობებს გამორიცხავს და მეორე – სატურნირო ცხრილის გაუთვალისწინებლადაც, მაყურებელთა ინტერესი საკმაოდ დიდია.

ბოლო სათამაშო დღის წინ თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო. მხოლოდ ბოლო, მეოთხე უილბლოს ვინაობა არ იყო ცნობილი, მაგრამ ესეც ოფიციალურად, თორემ ყველა ხვდებოდა, რომ "სპორტ რესიფეს" შანსი არ ჰქონდა. საბოლოოდ ყველაფერი იოლად პროგნოზირებადი გამოდგა – "სპორტმა" თანაქალაქელ "ნაუტიკოსთან" წააგო, მაგრამ რომც მოეგო, ლიგიდან მაინც გავარდებოდა, რადგან თავიანთი მატჩები "ბაიამ" და "პორტუგეზამ" არ წააგეს.

## ბრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე

დერბებს რაც შეეხება: ორი ყველაზე დაძაბული მატჩი ბელუ ორიზონტეში და პორტუ ალეგრიში გაიმართა. "ატლეტიკო მინეირომ" "კრუზეიროს" უმასპინძლა, "გრემიო" კი "ინტერნასიონალს" ხვდებოდა. ამ ოთხი გუნდიდან სატურნირო მოტივაცია ორს, "ატლეტიკოს" და "გრემიოს" ჰქონდათ, რადგან ისინი ერთმანეთს მეორე ადგილისთვის ეცილებოდნენ. ამ პოზიციის დაკავება მხოლოდ პრესტიჟის საქმე როდი იყო- ვერცხლის მედალის მფლობელი მომავალი წლის ლიბერტადორესის თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მოხვდებოდა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორს ამ ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუწევდა ჩაბმა.

საბოლოოდ მეორე ადგილი **რონალდინიოს** გუნდს დარჩა, რომელმაც მოსისხლე მტერს 3:2 მოუგო. "კრუზეიროს" არბიტრმა ორი ფეხბურთელი გაუძევა (**ტინგა** 54 და **ანსელმო რამონი** 89), თავად რონალდინიომ კი 38-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა. ფეხბურთელი მასპინძლებსაც გაუგდეს (**ლეანდრო დონიზეტი** 55) და გუნდებმა თამაში 10-9-ზე დაასრულეს.

ასევე კაცნაკლულებმა ჩაამთავრეს თამაში გუნდებმა პორტუ ალეგრიში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თითქმის მთელი ნახევარი საათის განმავლობაში "ინტერნასიონალი" მოედანზე 9 კაცით იყო (მსაჯმა მეკარე **მურიელი** და **ლეანდრო დამიაო** გააძევა), ხოლო "გრემიოს" **საიმონს** მოედანი 95-ე წუთზე დაატოვებინეს. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს ორი ფეხბურთელი აკლდა, "გრემიომ" გოლის გატანა ვერ შეძლო და შეხვედრა 0:0 დასრულდა. ამის გამო, **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდი კოპა ლიბერტადორესზე ასპარეზობას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, სადაც თუ კენჭისყრაში არ გაუმართლა, შესაძლოა ბოლივიის ან ეკვადორის მალალმთიან რეგიონებშიც კი მოუწიოს მგზავრობამ, ხოლო როგორი რთულია იქ თამაში, ყველამ ძალიან კარგად ვიცით.

## შეჯამება

**აქვე მოკლედ შევაჯამოთ 2012 წლის "ბრაზილეირაო".**

**2013 წლის კოპა ლიბერტადორესზე ითამაშებენ:** "ფლუმინენსე" (ჩემპიონი, ჯგუფური ეტაპი), "ატლეტიკო მინეირო" (ვიცე-ჩემპიონი, ჯგუფური ეტაპი), "კორინთიანსი" (2012 წლის ლიბერტადორესის თასის მფლობელი, ჯგუფური ეტაპი), "პალმეირასი" (ბრაზილიის თასის მფლობელი, ჯგუფური ეტაპი), "გრემიო" (მესამე ადგილი, საკვალიფიკაციო ეტაპი), "სან პაულო" (მეოთხე ადგილი, საკვალიფიკაციო ეტაპი).

**"სერია ა" დატოვეს:** "სპორტ რესიფე", "პალმეირასი", "ატლეტიკო გოიანიენსე", "ფიგეირენსე".

**2013 წლის "სერია A"-ში იასპარეზებენ:** "გოიასი", "კრისიუმა", "ატლეტიკო პარანაენსე", "ვიტორია".

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ინდივიდუალური პრიზები ჩამოარიგა და სიმბოლური ნაკრებიც გამოავლინა. ნამდვილად არ არის გასაკვირი ის, რომ 2012 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ **ფრედი**, ხოლო წლის საუკეთესი მწვრთნელად "ფლუმინენსეს" დამრიგებელი **აბელ ბრაგა** დაასახელეს.

**2012 წლის "ბრაზილეირაოს" საუკეთესო ფეხბურთელი:** ფრედი (ფლუმინენსე).

**საუკეთესო მწვრთნელი:** აბელ ბრაგა (ფლუმინენსე).

**საუკეთესო დებიუტანტი:** ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო)

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები:**

**მეკარე:** დიეგო კავალიერი (ფლუმინენსე).

**მცველები:** მარკოს როჩა (ატლეტიკო მინეირო), ლეონარდო სილვა (ატლეტიკო მინეირო), რევერი (ატლეტიკო მინეირო), კარლინიოსი (ფლუმინენსე).

**ნახევარმცველები:** პაულინიო (კორინთიანსი), ჟეანი (ფლუმინენსე), რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), ლუკას მოურა (სან პაულო).

**თავდამსხმელები:** ნეიმარი (სანტოსი), ფრედი (ფლუმინენსე).

ალსანიშნავია, რომ **ნეიმარი** სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მესამედ მოხვდა, ხოლო იგივე ნეიმარი, ფრედი, რონალდინიო და **პაულინიო** სიმბოლურში შარშანაც იყვნენ. ბრაზილიელები ახლა ცოტა ხნით დაისვენებენ და მერე უკვე შტატების პირველობები დაიწყება, რომელთაგანაც ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, პაულისტა (სან პაულოს შტატის პირველობა) და კარიოკა (რიოს შტატის პირველობა) იწვევს.

მექსიკა. აპერტურა. ფინალი. საპასუხო მატჩი

# მექსიკელი კონკია

**ტოლუკა-ტიხუანა 0:2**

(პირველი მატჩი: 1:2)

**გოლები:** 0:1 რ. რუისი (70), 0:2 რიასკოსი (71).

დასრულდა მექსიკის მორიგი ჩემპიონატი, რომლის ფინალშიც ერთმანეთს "ტოლუკა" და "ტიხუანა" დაუპირისპირდნენ. ამ გუნდებმა რეგულარულ სეზონში, 34-34 ქულით პირველ-მეორე ადგილი დაიკავეს და ფავორიტის სტატუსი პლეი ოფის ეტაპზეც დაამტკიცეს. "ტოლუკამ" 1/4-ფინალსა და 1/2-ფინალში მექსიკის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, "გვადალახარა" (11-გზის ჩემპიონი) და "ამერიკა" (10-გზის ჩემპიონი) დაამარცხა, ხოლო "ტიხუანამ" ბრძოლას ჯერ "მონტერეი", შემდეგ კი "ლეონი" გამოთიშა, არადა, ამ უკანასკნელთან პირველი მატჩი სტუმრად 0:2 ჰქონდა ნაგებული, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში 3:0 მოუგო.

ფინალური მატჩების წინ ფავორიტად "ტოლუკა" მიიჩნეოდა, რომელსაც ტიტულების რაოდენობით "გვადალახარას" დაწევის შანსი ჰქონდა. პირველი შეხვედრა ტიხუანაში მასპინძელთა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა და საპასუხო შეხვედრის წინ ყველა "წითელი ეშმაკების" ("ტოლუკას" მეტსახელი) გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ სპეციალისტთა პროგნოზები არ გამართლდა და "ტიხუანამ" მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა. ყველაფერი ორწუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც 70-ე და 71-ე წუთებზე, **რიჩარდ რუისმა** და კოლუმბიელმა **დუვიერ რიასკოსმა** მასპინძლებს ორი გოლი გაუტანეს.

"ტიხუანამ" ისტორიაში პირველი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა, რაშიც უდიდესი წვლილი გუნდის არგენტინელ თავკაც **ანტონიო მოჰამედს** მიუძღვის, რომელმაც 2010 წელს "ინდეპენდიენტეს" კოპა სუდამერიკანა მოაგებინა.

ალსანიშნავია, რომ "ტიხუანა" 2007 წელს ჩამოყალიბდა და მას მექსიკის პრიმერა დივიზიონში დებიუტი 2011/12 წლების სეზონში ჰქონდა, შესაბამისად, 2012 წლის აპერტურა "ტიხუანასთვის" მხოლოდ მესამე ჩემპიონატი იყო. პირველ ორ ტურნირზე (2011 წლის აპერტურა და 2012 წლის კლაუსურა) გუნდმა მე-15 ადგილი დაიკავა და პლეი ოფში ვერ გავიდა, მესამე ცდაზე კი, როგორც მოგახსენეთ, რეგულარული სეზონი 34 ქულით მეორე ადგილზე დაასრულა ("ტოლუკას" ბურთების სხვაობით ჩამორჩა), ხოლო პლეი ოფში ყველას აჯობდა და ყველასთვის მოულოდნელად მექსიკის ჩემპიონი გახდა.



ეკვადორი

## ბარსელონა ჩემპიონია

დასრულდა ეკვადორის ჩემპიონატიც, სადაც 15-წლიანი პაუზის შემდეგ, გამარჯვება გუაიაკილის "ბარსელონამ" მოიპოვა. "ბარსელონას" ფეხბურთელებმა ორივე ეტაპი მოიგეს და ფინალური შეხვედრის გამართვა საჭირო აღარ გახდა. "ბარსამ" მე-14 ტიტული მოიპოვა და ამ მაჩვენებლით კვლავ ყველაზე ტიტულოვანი გუნდია - აქამდე 13-13 ჩემპიონობით პირველ ადგილს "ბარსელონა" და "ელ ნასიონალი" იყოფდნენ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

იტალია. სერია A XV ტურის გამოხმაურება

# გოლთა ცვენა

## პეტკოვიჩის შიშები და ზემანის ზღაპრები

XV ტურში სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფმა გუნდებმა ძირითადად დაამარცხეს მეტოქეები და აქედან გამომდინარე, ლიდერთა მარაქაში ვითარება დიდად არ შეცვლილა. ერთადერთი, "ფიორენტინამ" გაუყო ქულები "სამპდორიას", თუმცა ეს მეტ-ნაკლებად მოსალოდნელიც იყო... საქმე იმაშია, რომ "ვიოლას" გენუელებთან მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა და ამაზე ქვემოთ კიდევ მოგვიწევს საუბარი. "მილანმა" და "იუვენტუსმა" თავიანთი შეხვედრები პარასკევს და შაბათს გამართეს, ამ პაექრობებზე ისედაც ბევრი გვეწერა და ქვემოთ კვირას გამართული მატჩების ირგვლივ ვიტრიალებთ. თუმცა იქამდე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ XV ტური მეტად უხვგოლიანი გამოდგა - 10 შეხვედრაში 39 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში თითქმის 4 შედეგიანი დარტყმაა..

### კლოზეს ტრავმა

მიმდინარე სეზონში, "პარმა" საკმაოდ კარგად ასპარეზობს და მისი დამარცხება არცთუ იოლი საქმეა, რაც ემილიელთა "ინტერზე" ძლევით ნათლად დადასტურდა. ამიტომ, **რობერტო დონადონის** გუნდთან ჯახს რომაელები სიფრთხილით ეკიდებოდნენ. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა, 2:1. "ბიანკოჩელესტემ" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები. მოკლედ, "ლაციოს" კარგი დროება უდგას, მაგრამ "პარმასთან" მატჩში მოხდა ერთი ისეთი რამ, რამაც გულშემატკივართა შეშფოთება გამოიწვია - ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, **მიროსლავ კლოზე** დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მოედანზე **ლიბორ კოზაკი** შევიდა, გერმანელმა კი ლაზარეთში გადაინაცვლა. ბუნებრივია, "ბიანკოჩელესტეს" ქომაგთა მთავარი საფიქრალი ის გახლავთ, თუ რამდენხანს მოუწევს უქმობა კლოზეს - ამ საკითხზე კომენტარი თვით "ლაციოს" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** გააკეთა:

*"მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და მინდა შეგირდები შევაქო. ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს და გამარჯვება დაიმსახურეს. რაც შეეხება კლოზეს ტრავმას, ჩემი ინფორმაციით, მშვიდობაა. შესაძლოა, გეერმანელს ერთი თამაშის გამოტოვება მოუხდეს, მაგრამ მთლიანობაში მის ტრავმას მსუბუქი ეთქმის. მირო გუნდისთვის შეუცვლელი ფეხბურთელია და მისმა დაშავებამ ყველანი შეგვაშინა. გეთანხმებით, რომ მაღალი დონის გუნდში შეუცვლელი ფეხბურთელები არ უნდა იყვნენ, მაგრამ ეს რეალ;ობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ვაპირებთ და იქნებ, ამ გზით გადავჭრათ აღნიშნული პრობლემა".*

### ზემანი სკუდეტოს უმიზნებს

**ზდენეკ ზემანის** ხელში "რომას" სტაბილურობა აკლია, თუმცა ბოლო ხანს, ვითარება ამ მხრივაც გამოსწორდა. "ჯალოროსიმ" მიჯრით მოიგო რამდენიმე შეხვედრა და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. "რომა" ლიდერთა მარაქაშია და არსებული რეალობით ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ნამდვილად იბრძვის. თუმცა, აღმოჩნდა, რომ დედაქალაქურ გუნდში უფრო მეტის იმედიც აქვთ და ამის შესახებ **ფრანჩესკო ტოტიმ** განაცხადა:

*"კიდევ ერთხელ ვაგებდით და კიდევ ერთხელ შემოვატრიალეთ მატჩის ბედი ჩვენს სასარგებლოდ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, თუ რაოდენ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს. ახალ მწვრთნელს გუნდთან ადაპტაციისთვის გარკვეული დრო სჭირდებოდა და არ მიკვირს, რომ სეზონის სტარტზე სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვეთ და ვფიქრობ, რომ აღმავლობის გზას საფუძვლიანად დავადექით. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ნამდვილად ხელგვეწიფება, აი ზდენეკ ზემანი კი სულაც სკუდეტოზე ფიქრობს. დიახ, მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია".*

იტალიელი ჟურნალისტები უმალ ზემანს შეეხმიანენ და ჰკითხეს: მართლა გაქვთ იმედი, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას შეძლებთო - აქვე პასუხი: *"ყველაზე მეტად სტაბილურობა გვაკლდა და ამ მხრივ, დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. საკუთარი ძალების ვირწმუნეთ და ეს სიენაშიც კარგად გამოჩნდა. თუ ასევე გავაგრძელეთ, მაშინ გამორიცხული ნამდვილად არაფერი იქნება, მათ შორის, არც პირველობისთვის ბრძოლა. ზედმეტად ოპტიმისტი ვარ? - მე იდეალისტი ვარ".*

### ინტერის გარდამავალი პერიოდი

გამარჯვებათა შთამბეჭდავი სერიის შემდეგ, იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ბევრი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი "იუვენტუსს" სკუდეტოში შეეცილებოდა. თვითონ ახალგაზრდა მწვრთნელს ქებადიდება ხვდა წილად და ისიც თამამად აცხადებდა: დრო გვჭირდებოდა და ესეც ვიცოდი, რომ აღმავლობის გზას მალე დავადგებოდითო. მოკლედ, რამდენიმე მატჩის მიჯრით მოგება და სტრამაჩონის "ინტერი' ლამის **ჟოზე მოურინიოს** დროინდელ გუნდს გაუტოლეს.

მთლად ასე კარგად არ არის საქმე და ბოლო რამდენიმე ტურმა ეს კარგად დაგვანახვა. "ინტერმა" ქულებიც ბლომად დაკარგა და ვერც ხარისხიანი თამაში გვიჩვენა. კვირას, მილანელებმა "პალერმო" დაამარცხეს, მაგრამ ვაი ასეთ დამარცხებას - მილანელებმა მეტოქეს ისე მოუგეს, რომ გოლი არ გაუტანიათ... ბურთი ერთხელ გაეხვია კარის ბადეში და მისი ავტორი "პალერმოს" მცველი **გარსია** გახლდათ, რომელმაც ავტო-გოლი მიითვალა აქტივში. მოკლედ, "ინტერმა" მოიგო, მაგრამ უფერული შეხვედრა ჩაატარა და მილანელებს ისევ თავის მართლების პოზაში უწევთ ყოფნა. აქვე, ორი საინტერესო კომენტარი:

**ესტებან კამბიასო (ინტერი):** *"რამდენიმე ბრწყინვალე შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ თავი არ უნდა მოვიტყუოთ და არ უნდა ვიძახოთ, რომ ყველაფერი იდეალურადაა. ფაქტია, ჯერ კიდევ გარდამავალი ეტაპი გვაქვს და ყველა შეხვედრის თანაბარი წარმატებით ჩატარება გვიჭირს. "პალერმოსთან" გაგვიმართლა და ეს უნდა ვაღიაროთ".*

**მასიმო მორატი (ინტერის პრეზიდენტი):** *"კონკრეტულად "პალერმოსთან" თამაშით ვერ ვიქნები აღფრთოვანებული, მაგრამ მთლიანობაში, გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. ევროპის ლიგაზე წინ მივიწევთ, სერია A-ში კი სკუდეტოსთვის ვიბრძვით. მეტი რა არის საჭირო იმისთვის, რომ კმაყოფილი ვიყო? - ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აქტიურობას არ ვაპირებთ, თუმცა არის საკითხები, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. თუნდაც ვესლი სნეიდერის ამბავი ავიღოთ, რომელიც ვერ გარკვეულა, წასვლა სურს თუ დარჩენა. ჰოლანდიელს უახლოეს დღეებში დაველაპარაკები და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*



მიროსლავ კლოზემ "პარმას" გაუტანა და შემდეგ დაშავდა

### განრისხებული მაცარი

"ნაპოლიმ" "პესკარა" მიწასთან გაასწორა, 5:1 გაანადგურა და რას წარმოვიდგენდით თუ **ვალტერ მაცარი** ამ მატჩის შემდეგ განრისხებული იქნებოდა... სანამ სიტყვას ნეაპოლელთა თავკაცს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ სამხრეთელებმა "დელფინებთან" პაექრობა სრული უპირატესობით წარმართეს და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანგარიში უფრო დიდიც იქნებოდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ დუბლით გამოირჩა ტრავმამოშუშებული **ედინსონ კავანი**, რომელმაც წინა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა. კავანის დაბრუნება ნეაპოლელთათვის უმნიშვნელოვანესია, რაზეც მაცარიმაც ისაუბრა - დროა სიტყვა განრისხებულ მწვრთნელს გადავცეთ:

*"სიმართლე გითხრათ, ძალიან გაბრაზებული ვარ, რადგან ისეთი შეცდომა დავუშვით, რომელზეც შეგირდებს ყოველ დღე ველაპარაკები. მაშინაც არ უნდა მოთუნდე, როდესაც დიდი ანგარიშით იგებ, ჩვენ კი 2:0-ზე საერთოდ გაჩერდით. შედეგად, საპასუხო ბურთი გავუშვით და შესვენებას რომ წუთზე არ მიესწრო, ალბათ გაგვითანაბრებდნენ კიდეც. უნდა გენახათ, რა ამბავი ავტეხე გასახდელში, დასაწყნარებელი ვიყავი. სწორედ ამან გამოგვაფხიზლა და მეორე ნახევარში მეტოქეს კიდევ სამი გოლი გავუტანეთ. მთლიანობაში, უკმაყოფილო ვარ ჩვენი თამაშით, რადგან ასეთ უპატიებელ შეცდომებს არ უნდა ვუშვებდეთ. კარგია, რომ ედინსონ კავანი დაგვიბრუნდა, სწორედ მან გამოაცოცხლა გუნდი ანტრაქტის შემდეგ".*

### მონტელა: მეტი შეგვიძლია

ტურის უკანასკნელი შეხვედრა ფლორენციაში გაიმართა, სადაც "ფიორენტინამ" "სამპდორიას" უმასპინძლა. სატურნირო ცხრილიდან და ზოგადად, უკანასკნელი ტენდენციებიდან გამომდინარე, ფავორიტად "ვიოლა" იყო შერაცხილი, მაგრამ მეორე მხრივ, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ. თავად განსაჯეთ, გენუელთა წინააღმდეგ ფორვარდთა ტრიომ ვერ ითამაშა, რადგან **სტევან იოვეტიჩი, ლუკა ტონი** და **ადემ ლიაიჩი** დაშავებულნი გახლდნენ. ამიტომ, **ვინჩენცო მონტელას** ექსპერიმენტების ჩატარებამ მოუწია და შეტევის წინა ხაზზე **ელ ჰამდაუისთან** ერთად, ნომინალური ნახევარმცველი **მატი ფერნანდესი** გაამწესა. შედეგად, ტოსკანელებს ძალიან გაუჭირდათ შეტევის ხაზში და რომ არა მცველ **სტეფან სავიჩის** მიერ შესრულებული დუბლი, გენუელები სახლში სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდებოდნენ. ნამატჩევს, მონტელამ შემდეგი განაცხადა:

*"პრაქტიკულად ნახევარი გუნდის გარეშე გვიწევდა თამაში და არ მიკვირს, რომ სერიოზული პობლემები შეგვექმნა. მით უმეტეს, "სამპდორიამ" დაძლია კრიზისი და საკმაოდ კარგ ფორმაშია. ერთ-ერთი თამაშის შემდეგ განვაცხადე, რომ ფონს გასვლა სტევან იოვეტიჩის გარეშეც შეგვიძლია, მაგრამ როდესაც მას ლუკა ტონი და ადემ ლიაიჩი მიჰყვნენ, მართლა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე ვართ, რაც კარგი შედეგია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არც ქულის აღებაა ურიგო და მთავარია, რომ შემართება არ დავკარგოთ. ჩვენ შეგვიძლია სამეულში შესვლა, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

**ლაშა ნიკლაური**



ვალტერ მაცარი შეგირდთა გარჯით უკმაყოფილო დარჩა



ზდენეკ ზემანი იდეალისტია

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოფენჰაიმი



# ბაბელი გააგდეს!

## წავა ლიოვის ასისტენტი სოფელში?

ეს მოსალოდნელი იყო, გუშინ ოფიციალურად მოხდა და დადასტურდა: „ვერდერთან" ნაგება (1:4), რაც ზედიზედ მეოთხე მარცხი იყო, „ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელების მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა და „სოფლელების" ბოსებმა მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამრიგად, 40 წლის სპეციალისტმა ამ პოსტზე მხოლოდ 9 თვე გაძლო - მარკუსი „ჰოფენჰაიმში" 10 თებერვალს დაინიშნა და მაშინ **ჰოლგერ სტანისლავსკი** შეცვალა.

„ვერდერთან" განადგურების შემდეგ „ჰოფეს" მენეჯერმა **ადრეას მიულერმა** თქვა, ყველანი უკიდურესად იმედგაცრუებულები ვართ, დღევანდელმა მარცხმა კი ჩვენი მდგომარეობა უფრო დაამძიმაო. „ბილდის" ცნობით, მიულერი და მისი კოლეგები კვირას საღამოსვე შეიკრიბნენ და მწვრთნელზე მსჯელობა დაიწყეს, თუმცა საბოლოო სიტყვა „ჰოფენჰაიმის" მფლობელს, მილიარდერ მეცენატ **დიტმარ ჰოპს** უნდა ეთქვა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმაც ბაბელის გათავისუფლების განკარგულება გასცა: გუშინ „ჰოფენჰაიმმა" მწვრთნელის გაშვება ოფიციალურად დაადასტურა. მარკუსს „ჰოფესთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებდა.

ცნობილია, რომ 15 ტურის შემდეგ მე-16 ადგილზე მყოფ „ჰოფეს" პირველი წრის ბოლომდე 23-წლამდელთა თავკაცი **ფრანკ კრამერი** მიხედავს. 40 წლის ბუნდესლიგაში გამოუცდელი სპეციალისტი „ჰოფენჰაიმის" დროებითი დამრიგებელი იქნება. ამ უკანასკნელს ახლა ურთულესი მატჩები ელის ჰამბურგში და დორტმუნდის „ბორუსიასთან", ახალ დამრიგებელს კი „სოფლელები" პირველი წრის დასრულების შემდეგ წარადგენენ.

### კანდიდატები: ფლიკი, კურცი, ვან მარვიიკი...

„ბილდის" ინფორმაციით, „ჰოფენჰაიმში" ახლა ყველაზე აქტიურად გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვის** პირველი ასისტენტის, 47 წლის **ჰანსი ფლიკის** კანდიდატურა განიხილება. აღსანიშნავია, რომ ფლიკი „ჰოფეს" 2000-დან 2005 წლამდეც ავარჯიშებდა, თუმცა მაშინ „სოფლელები" გერმანული საკლუბო ფეხბურთის ქვესკნელში იყვნენ და ამ გუნდს არავინ იცნობდა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მასთან ერთად განიხილება **მარკუს გისდოლის**, **მარკო კურცისა** და **ბერტ ვან მარვიიკის** კანდიდატურებიც. 43 წლის გისდოლი „ჰოფეში" 2011 წლის მარტამდე 23-წლამდელთა გუნდის დამრიგებელი გახლდათ, მერე კი **რალფ რანგნიკმა** „შალკეში" წაიყვანა. ასევე 43 წლის კურცი 20 მარტამდე „კაიზერსლაუტერნის" დამრიგებელი იყო, ახლა კი უმუშევარია, ხოლო 60 წლის ვან მარვიიკი ამ კანდიდატებს შორის ყველაზე ცნობილი სპეციალისტია - ბოლოს (27 ივნისამდე) ჰოლანდიის ნაკრებს ედგა სათავეში.

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტურის შეჯამება

# შეუდარებელი რომანი და მარკო, სოფლელების რისხვა

## ვაიდენფელერი გერმანიის ნაკრებში თამაშს რომ იმსახურებს, ეს თვით ბაიერნელებმაც აღიარეს

„ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" წლის დუელად შერაცხილმა მატჩმა საფეხბურთო გერმანიას დაუკმაყოფილებლობის განცდა დაუტოვა და დორტმუნდელთა მეკარე რომან ვაიდენფელერი ხელახლა აღმოაჩენინა. აღიარეს „ბაიერნის" ბრაზილიელი მცველი დანტეც - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. აი, ხავი მარტინესს კი ტიპიური გერმანელებისთვის თავის მოწონება გაუჭირდება, რადგან ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი მოედანზე ისეთს ვერაფერს აკეთებს, რაც მასზე ათჯერ და ოცჯერ იაფფასიან საყრდენ ნახევარმცველებს არ გაუკეთებიათ. ბუნდესლიგის მე-15 ტურის ცნობად სახეებში სხვა ფეხბურთელებიც მოხვდნენ...

### რომან ვაიდენფელერი

თვე ისე არ გავა, საფეხბურთო გერმანიაში ერთხელ მაინც არ გაჩაღდეს დისკუსია იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩაუტარებია დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე **რომან ვაიდენფელერს** გერმანიის ნაკრებში თუნდაც ერთი მატჩი. ექსპერტებმა ამ თემაზე სჯა-ბაასი შაბათს საღამოსაც გააბეს, რადგან ვაიდენფელერმა „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" ტოპ-მატჩში თანაგუნდელები რამდენჯერმე იხსნა და თამამად ვიტყვით, ყველაზე მეტად სწორედ მისი დამსახურებაა, „ბორუსიამ" მიუნხენიდან ქულა რომ წაიღო. რომანმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ ის თვით „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმაც** კი შეაქო, ხოლო რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** კი თქვა, არ ვიცი, კიდევ რა უნდა გააკეთოს ამ ბიჭმა იმისათვის, რომ ბუნდესგუნდში ათამაშონო. დააკვირდით: გამოიძახონ კი არა, ათამაშონო! ფაქტია, **მანუელ ნოიერი** ამის გამო ნაწყენი დარჩებოდა.

ერთი სიტყვით, „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ რომანს მთელი გერმანია აქებს, თვითონ ვაიდენფელერი კი თვითკრიტიკული იყო - ოღონდ, არა საფეხბურთო კუთხით.

*„ყველაფერი შესანიშნავად იყო, მხოლოდ შარვლის არჩევისას შევცდი,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა მეკარემ. რაკი მიუნხენში ციოდა, პირველ ტაიმში რომანს გრძელი შარვალი ეცვა და როგორც ჩანს, კარგად ვერ მოირგო, რადგან მეორე ტაიმში ისევ მოკლე ჩაიცვა.

### დანტე

**დანტე** გლადბახის „ბორუსიადან" მიუნხენის „ბაიერნში" რომ გადავიდა, რეკორდმაისტერში ჯერ ერთი მატჩიც არ ჰქონდა ჩატარებული და მასზე უკვე ისე საუბრობდნენ, როგორც მიუნხენური გრანდის მორიგ ჩავარდნილ ტრანსფერზე და ბრაზილიელ მცველს „ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის წევრად არ განიხილავდნენ. ბუნდესლიგამ უკვე 15 ტური მოილია და ნახეთ: დანტემ ყველა მატჩში პირველიდან ბოლო წუთამდე ითამაშა!

ბრაზილიელი „დორტმუნდთან" ტოპ-მატჩშიც შეუდარებელი იყო და დღეს ბევრი გერმანელი ექსპერტი საუბრობს იმაზე, რომ „ბაიერნის" დაცვის ბურჯი არა **ჰოლგერ ბადშტუბერი**, არამედ სწორედ დანტეა!

### ხავი მარტინესი

**ხავი მარტინესიც** კარგი შენაძენია. რატომ „ც"? იმიტომ, რომ რეკორდმაისტერმა ესპანელ საყრდენ ნახევარმცველში 40 მილიონი ევრო გადაიხადა. რაკი მარტინესი აქამდე ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები მასზე ყურადღებას თითქმის ყველა ინტერვიუში ამახვილებდნენ და ამბობდნენ, მარტინესი გენიალური ფეხბურთელია, რაშიც სულ მალე დარწმუნდებითო. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ესპანელში ზუსტად იმდენი ფული გადაიხადეს, რამდენიც ბუნდესლიგის 1975/76 წლების სეზონის ყველა ფეხბურთელი ღირდა... ერთად!

ხავის „ბორუსიასთან" ცუდად არ უთამაშია, პირიქით, ძალიან კარგი იყო, მაგრამ მაინც: რა გააკეთა? ვნახეთ რამდენიმე ზუსტი პასი მარჯვნივ, ამდენივე ზუსტი პასი მარცხნივ და დავრწმუნდით, რომ ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს ზონების გადაკეტვის კარგი ნიჭი აქვს. ამდენი **იენს იერემისსაც** შეეძლო - აღარაფერს ვამბობთ **დიტერ შლინდვაინზე**, **ტორსტენ ლეგატსა** და **უვე ლაიფელდზე**...

### იგორ დე კამარგო

იმ მომენტში, როცა „შალკესთან" ანგარიში გახსნა, **იგორ დე კამარგო** წესით მოედანზე აღარ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ იმიტომ შემორჩა, რომ მის შესაცვლელად გამზადებულ **მაიკ ჰანკეს** ფეხის დამცავის მყარად შეკვრის პროცესი გაუგრძელდა. ამ დროში დე კამარგომ გოლის გატანა მოასწრო და ამ გოლმა არა მარტო მოედანზე კიდევ 18 წუთით დარჩენის საშუალება მისცა, არამედ მეორე წრემდე „გლადბახის" ძირითად შემადგენლობაში თამაშიც გაუნაღდა - მატჩის შემდეგ მიონხენგლადბახელთა თავკაცმა **ლუსიენ ფავრმა** თქვა, თავდასხმაში უკვე ბევრი ვარიანტი ვცადე, ახლა კი, ზამთრამდე აღარაფერს შევცვლიო.

### მარკო არნაუტოვიჩი

**მარკო არნაუტოვიჩი** ის ფეხბურთელია, რომელმაც ახლო წარსულში ბუცებზე „ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 2010" დაიწერა. მართალია, მაშინ მარკო სწორედ მილანის „ინტერის" ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში არც ერთი მატჩი არ ჰქონდა ჩატარებული!

ავსტრიელი დღესაც აროგანტი და თავისებური ტიპია - ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მუდმივად უნდა აკრიტიკო, როცა რაღაც არ გამოსდის და რომელიც ყოველთვის მოგენატრება, როცა არ თამაშობს.

კვირას არნაუტოვიჩმა თავის კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა და ახლა ცხვირი 2-დან 3 მეტრამდე აქვს აწეული, საფინალო სასტვენის შემდეგ კი ვამპირებზე მონადირის მიმიკა ჰქონდა და არ გამოვრიცხავთ, რომ პირად მეწაღეს უკვე დაავალა ბუცებზე ახალი წარწერის გაკეთება: „ჰოფენჰაიმის დამამარცხებელი 2012".

თუმცა ფაქტია, რომ ეს ფეხბურთელი ბუნდესლიგას უხდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



რომან ვაიდენფელერის „სეივებმა" ბაიერნის თავკაცი იუპ ჰაინკესიც აღაფრთოვანა

### საუკეთესო ფეხბურთელები

XV ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 10 | 2.00 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 15 | 2.17 |
| 3. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 15 | 2.27 |
| 4. აარონ ჰანტი | ვერდერი | 14 | 2.39 |
| 5. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 13 | 2.50 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 14 | 2.50 |
| 7. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 15 | 2.60 |
| 8. სებასტიან როდე | აინტრახტი | 15 | 2.60 |
| 9. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 15 | 2.70 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 15 | 2.71 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 14 | 8 | 9 | 17 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 15 | 9 | 3 | 12 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 14 | 9 | 3 | 12 |
| 4. ტონი კროოსი | ბაიერნი | 15 | 6 | 5 | 11 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 14 | 6 | 4 | 10 |
| 6. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 13 | 3 | 7 | 10 |
| 7. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 13 | 7 | 3 | 10 |
| 8. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 13 | 9 | 1 | 10 |
| 9. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 15 | 9 | 1 | 10 |
| 10. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 15 | 5 | 5 | 10 |

### XV ტურის გმირი

## მარკო არნაუტოვიჩი (ვერდერი)



ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „ვერდერის" 23 წლის ფეხბურთელ **მარკო არნაუტოვიჩს**, რომელიც მწვრთნელმა თომას შააფმა ამ სეზონში მარჯვენა გარემარბად აქცია, საუკეთესო დღე გაუთენდა: ავტრიელმა „ჰოფენჰაიმთან" კარიერის პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. არნაუტოვიჩის ანგარიშზე ახლა 5 გოლია და წესით, შარშანდელი მაჩვენებელი (6 გოლი მთელ სეზონში) უნდა გააუმჯობესოს. მარკომ ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თუ ნიჭს ჭკუასაც დააყოლებს, შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



რეალი






ფლორენტინო პერესსა და ჟოზე მოურინიოს შორის, ამბობენ, შავმა კატამ გაირბინაო

# მარკა: მოურინიო ივნისში წავა, ჩემპიონთა ლიგაც რომ მოიგოს

## მოუ: ჰკითხეთ თქვენს კოლეგებს

**ჟოზე მოურინიო** ძალიან არ უყვარს ყველაზე პოპულარულ ესპანურ გაზეთ „მარკას". ასე რომ, ეს შეიძლება თავისუფლად იყოს სპეკულაცია, მაგრამ... გუშინ „მარკა" იტყობინებოდა, რომ ჟოზე მოურინიოს ბედი გადაწყვეტილია - გამორიცხულია, მან ივნისის მერე „სამეფო კლუბი" გაწვრთნას. სულ რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს მისმა გუნდმაო. რა თქმა უნდა, „რეალის" საჩემპიონო შანსებზე ალარც ლაპარაკობენ - 14 ტურის გასვლის შემდეგ პორტუგალიელის გუნდი „ბარსელონას" 11 ქულით ჩამორჩება.

თუმცა, „მარკას" თუ დავუჯერებთ, ეს ჩამორჩენა კი არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც „განსაკუთრებული" წავა „რეალიდან" - თურმე მას და კლუბის პრეზიდენტ, **ფლორენტინო პერესს** შორის საბოლოოდ გაფუჭდა ურთიერთობა. ახლა ისინი ერთმანეთს ალარც კი ესალმებიან. 2013 წლის ივნისში მოურინიო „რეალის" წარმომადგენლებთან დაჯდება მოსალაპარაკებლად, როგორ შეწყდეს მისი კონტრაქტი.

„მარკა" ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც ამ გაზეთმა "პრივატულ" საუბარში მოიპოვა, თითქოს, ფლორენტინოს ეთქვას: მოურინიომ ყელი გამოიჭრაო. რომ ის აკრიტიკებს პორტუგალიელს, როგორც მენეჯერს და ასევე როგორც რთული ხასიათის ადამიანს.

ახლა კლუბის მთავარი ამოცანა მშვიდობიანი „განქორწინებაა". მოურინიომ წააგო ლა ლიგა, მისი დაწყებიდან სამი თვის გასვლის მერე. ეს კი საკმარისი იყო მისი კრიტიკის დასაწყებად. ამაზე კი მოურინიოს პრეზიდენტისთვის მიულებელი რეაქცია ჰქონდა.

### სერის მემკვიდრე?

დღეისათვის მოურინიოს მომავალი კარიერა მისტიკით მოცულია. „მარკა" ვარაუდობს სამ ვარიანტს: „პარი სენ ჟერმენს", მილანში დაბრუნებას და „მანჩესტერ იუნაიტედს", სერ **ალექს ფერგიუსონის** მემკვიდრედ.

ბუნებრივია, „მარკას" სტატიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ესპანეთში და ჟოზე მოურინიოსაც პრესკონფერენციაზე მხოლოდ ამაზე ეკითხებოდნენ და არა ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩზე.

აი, ჟოზეს პასუხები. ძნელია, ამ პასუხებისგან აზრი ჩამოგიყალიბდეს, რამდენად მართალია „მარკას" ინფორმაცია:

*„ჩემი მომავალი არის, მომდევნო შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაზე. როგორც იქნა, უეფამ აღიარა, რომ მე 101-ე მატჩს გავმართავ ლიგაზე".*

*„კმაყოფილი ვარ თუ არა ფლორენტინო პერესთან ურთიერთობით? მე პრობლემებს ვერ ვხედავ".*

*„მოჰკითხეთ პასუხები „მარკას", მე არაფერს ვიტყვი და დარწმუნებული ვარ, არც პრეზიდენტი იტყვის რამეს ამ საკითხზე. ასე რომ, მიმართეთ კოლეგებს, რომელთაც ეს „ჰედლაინი" მოიფიქრეს".*

*„ალექს ფერგიუსონის მემკვიდრეს ასე მალე არ აირჩევენ, ჯერ იქამდე ათი სეზონი რჩება".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბეილი ნასვლაზე დაფიქრდა

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, "ფულჰემთან" მატჩის შემდეგ "ტოტენჰემის" 23 წლის ნახევარმცველმა **გარეთ ბეილმა** მზადყოფნა გამოთქვა, არაინგლისური კლუბების წინადადებები განიხილოს. უელსელს ჩრდილოლონდონელებთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს, რომლიც წყალობით ის კვირაში 75 ათას ფუნტს ილებს. დიდი ხანია ცნობილია, რომ არაპრემიერლიგელთაგან ყველაზე მეტად მისით "რეალი" და "ბარსელონა" არიან დაინტერესებულნი. ესპანურ გრანდებში მას ორჯერ მეტი ხელფასის მილების შანსი აქვს და ცხადია, ძალიან ძნელია ახალგაზრდამ ასეთ ცდუნებას გაუძლოს. *"კარგი იქნებოდა, განსხვავებული კულტურის ქვეყანაში ცხოვრების გამოცდილებაც რომ მქონოდა. ნამდვილად არ მეშინია ასეთი პერსპექტივის. თუკი ოდესმე "ტოტენჰემი" ჩემს ტრანსფერზე ღირსეულ შეთავაზებას მიილებს, მზად ვიქნები, საკითხი სერიოზულად განვიხილო,"* – აცხადებს ბეილი.

"ტელეგრაფის" ჟურნალისტის თქმით, იმის გათვალისწინებით, რამდენად ჯიუტი შეუძლია იყოს ტრანსფერებზე მოლაპარაკებებისას "დეზების" პრეზიდენტ **დენიელ ლევის**, **ლუკა მოდრიჩის** "რეალში" გაყიდვამ დაადასტურა. რამდენიმეთვიანი დაძაბულობის შემდეგ სამეფო კლუბმა ხორვატში ზუსტად ის თანხა გადაიხადა (30 მილიონი ფუნტი), რამდენსაც "ტოტენჰემი" თავიდანვე ითხოვდა. ბეილის ვარსკვლავური სტატუსიდან გამომდინარე მისი გადაბირება მსურველს ყველაზე ცოტა 40-45 მილიონი ფუნტი დაუჯდება.



იქამდე, ვიდრე ბეილის ბედი გადაწყდებოდეს, იმას გეტყვით, რომ "ფულჰემთან" ბარძაყის ტრავმის მილების გამო ფეხბურთელი ხუთშაბათს, 6 დეკემბერს ევროპის ლიგაზე "პანათინაიკოსთან" მატჩს გამოტოვებს. ასევე ეჭვქვეშ დგას კვირას, "ევერტონთან" პრემიერლიგის XVI ტურის შეხვედრაში მისი ასპარეზობაც.

**ლევან ბიბილაშვილი**

არსენალი

# ტრანსფერი იდეაფიქსი არ არის



"არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** "სქაი სპორტსთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ იანვარში სატრანსფერო ბაზარზე გასვლა და ახალი ფეხბურთელების ყიდვა სულაც არ იქნება მისი გუნდის წარმატებების გარანტია. XV ტურში "ემირიტსზე" "სუონსისთან" დამარცხების შემდეგ "მეთოფეები" მე-10 ადგილამდე დაქვეითდნენ, რაც **არსენ ვენგერის** 16-წლიან სამწვრთნელო კარიერაში XV ტურის შემდეგ მიღებულ შედეგებში ყველაზე ცუდია. გულშემატკივრები ირწმუნებიან, რომ კლუბში კომერციულ წარმატებაზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე სპორტულ მიღწევებზე. მათ ბრალდებებს ვენგერი პასუხობს: *"ამ ეტაპზე ჩვენს ფანებს ყოველი მატჩის წინ ეპარებათ ეჭვი, მოვახერხებთ თუ არა მოგებას. არ ვიცი, რამდენად მოქმედებს მათი ამგვარი განწყობა ჩემს ფეხბურთელებზე, მაგრამ ცხადია, რომ გუნდის შიგნით სიტუაციის გაჯანსაღებაზე უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ. იანვრამდე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს დარჩენილი და სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე აუცილებელია, რაღაც გამოსავალი მოინახოს. დიახ, შეუძლებელია, რომ ჩვენი თამაშით კმაყოფილები ვიყოთ და ამის გააზრება, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ფეხბურთელებისთვის. შემადგენლობის გაძლიერებაში დიდი ფულის ჩადება არ არის სტაბილური თამაშის გარანტია. ამას პრაქტიკა სხვა კლუბებში ამტკიცებს".*

იმავე "სქაი სპორტსის" ცნობით, "არსენალი" იანვრისთვის შემდეგი ფეხბურთელების ტრანსფერზე ფიქრობს: **ვილფრიდ ზაჰა** (21 წლის. ვინგერი. კრისტალ პალასი), **ფრენკ ლემპარდი** (34 წლის. ნახევარმცველი. ჩელსი), პეპე რეინა (30 წლის. მეკარე. ლივერპული), **კლაას იან ჰუნტელაარი** (29 წლის. თავდამსხმელი. შალკე), **ადრიანი** (24 წლის. თავდამსხმელი. ატლეტიკო).

**ლევან ბიბილაშვილი**

### ინგლისი

### პრემიერლიგა. XV ტური

**ნიუკასლი–უიგანი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბა (13-პენ), 2:0 ბა (21), 3:0 ბიგირიმანა (71)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სანტონი (50. ფერგიუსონი), კოლოჩინი, უილიამსონი, სიმპსონი – მარვო, ტიოტე (46. ბიგირიმანა), ანიტა, ხონასი (76. შ. ამეობი) – ბა, სისე

**უიგანი** (3-4-1-2): ალ ჰაბსი – ბოისი, კოლდუელი (46. პისკუ), ფიგეროა – სტამი, მაკარტი, ჯონსი, ბოსეჟური – გომესი (22. მაკარტური) – კონე, დი სანტო (83. მაკმანამანი)

**გაფრთხილება:** შ. ამეობი - ბოსეჟური, კოლდუელი, დი სანტო

**გაძევება:** - ფიგეროა (13)

**კარში დარტყმა:** 18-5 (8-1) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 13-13 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 43 858

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 15 | 12 | 0 | 3 | 37-21 | 36 |
| 2. სიტი | 15 | 9 | 6 | 0 | 28-11 | 33 |
| 3. ჩელსი | 15 | 7 | 5 | 3 | 25-16 | 26 |
| 4. ტოტენჰემი | 15 | 8 | 2 | 5 | 28-23 | 26 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 15 | 8 | 2 | 5 | 24-19 | 26 |
| 6. ევერტონი | 15 | 5 | 8 | 2 | 25-19 | 23 |
| 7. სუონსი | 15 | 6 | 5 | 4 | 23-17 | 23 |
| 8. ვესტ ჰემი | 15 | 6 | 4 | 5 | 19-17 | 22 |
| 9. სტოკ სიტი | 15 | 5 | 7 | 3 | 14-12 | 22 |
| 10. არსენალი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-16 | 21 |
| 11. ლივერპული | 15 | 4 | 7 | 4 | 19-18 | 19 |
| 12. ნორვიჩი | 15 | 4 | 7 | 4 | 13-21 | 19 |
| 13. ფულჰემი | 15 | 4 | 5 | 6 | 25-26 | 17 |
| 14. ნიუკასლი | 15 | 4 | 5 | 6 | 17-21 | 17 |
| 15. ასტონ ვილა | 15 | 3 | 5 | 7 | 12-23 | 14 |
| 16. უიგანი | 15 | 4 | 2 | 9 | 15-28 | 14 |
| 17. სანდერლენდი | 14 | 2 | 7 | 5 | 13-18 | 13 |
| 18. საუთჰემპტონი | 15 | 3 | 3 | 9 | 21-32 | 12 |
| 19. რედინგი | 14 | 1 | 6 | 7 | 19-27 | 9 |
| 20. ქუინზ პარკი | 15 | 0 | 6 | 9 | 11-27 | 6 |

ამბები

### ადებაიორი აფრიკის თასზე [illegible]

ტოგოს ნაკრებისა და "ტოტენჰემის" თავდამსხმელმა **ემანუელ ადებაიორმა** დროებით უარი თქვა ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე. ფეხბურთელის თქმით, ის არ აპირებს 2013 წლის აფრიკის თასზე მონაწილეობას, რომელიც 19 იანვრიდან 10 თებერვლამდე სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. ამისთვის ემანუელს ორი მიზეზი აქვს. მასა და ფედერაციის მალალჩინოსნებს შორის ურთიერთობები რა ხანია დაძაბულია. 28 წლის ფეხბურთელი უკმაყოფილოა, რომ ტოგოს ნაკრების ფეხბურთელებს შეკრებაზე გამგზავრება საკუთარი სახსრებით უწევთ, პლუს ფედერაცია მათ შეპირებულ პრემიალურებს დიდი ხანია არ უხდის. ამას გარდა ადებაიორს პრობლემები დაუგროვდა ლონდონშიც. სეზონის სტარტზე მიღებული ტრავმის, დისკვალიფიკაციისა და **ჯერმეინ დეფოს** ბრწყინვალე თამაშის გამო ტოგოელს სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. ის ფორმაში შესვლასა და ძირითადში დასაბრუნებლად ბრძოლას აპირებს.

### ტერი თითქმის მზად არის

"ჩელსის" 31 წლის მცველმა **ჯონ ტერიმ** თითქმის ბოლომდე მოიშუშა 11 ნოემბერს "ლივერპულთან" შეხვედრაში **ლუის სუარესთან** შეჯახებისას ტრავმირებული მუხლი და მზადაა, სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლოს. გუშინ მას ჯერ კიდევ ექიმები უნდა დაკვირვებოდნენ და თუკი პროცესი ნორმალურად ჩაივლიდა, ფეხბურთელს საბოლოოდ "აუნთებდნენ მწვანეს". *"იმედი გვაქვს, ტერი რაც შეიძლება სწრაფად ჩადგება მწყობრში. თუმცა წინასწარ რამის თქმა, მით უფრო ტრავმირებულ მუხლზე, ძალიან რთულია,"* – განაცხადა **რაფა ბენიტესმა**.

მთავარ გუნდს უკვე დაუბრუნდა მეორე ტრავმირებული ვეტერანი, 34 წლის **ფრენკ ლემპარდიც**. თუმცა ის ნამდვილად არ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში "ნორდშელანის" წინაალმდეგ და ჯერ კიდევ არავინ იცის, "სანდერლენდთან" მატჩისთვის მაინც თუ იქნება მზად.

### ანდერსონი მთელი თვე დაისვენებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ანდერსონი** მუხლის მყესების პრობლემების გამო გუნდს იანვრის პირველ რიცხვებამდე დააკლდა. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ 24 წლის ფეხბურთელისთვის ეს პირველი მსგავსი ტრავმა არ არის.

### ლონგი ლივერპულის სამიზნეში

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის **ბრენდან როჯერსის** თქმით, კლუბი იანვარში "ვესტ ბრომვიჩიდან" ირლანდიელი თავდამსხმელის, 25 წლის **შეინ ლონგის** შეძენაზე სერიოზულად ფიქრობს. **ენდი კეროლის** "ვესტ ჰემში" იჯარით გაშვებისა და სეზონის სტარტზე **ფაბიო ბორინის** მძიმე ტრავმის შემდეგ ჩრდილოირლანდიელ სპეციალისტს თავდამსხმელების დეფიციტი აქვს. როჯერსს ესმის, რომ გუნდის ლიდერის ტრანსფერზე ალბიონელების დათანხმება რთული იქნება, მაგრამ "წითლები" მაინც ეცდებიან. სულ მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს ყველა ტურნირში ერთად 21 შეხვედრაში 8 გოლის გარდა 4 შედეგიანი გადაცემა აქვს. 2011 წელს "რედინგიდან" მისი გადაბირება "ვესტ ბრომვიჩს" 6,5 მილიონი დაუჯდა. ჩვენი ინგლისელი კოლეგების მტკიცებით, 12 მილიონი ფუნტი საკმარისი უნდა იყოს საკითხის გადასაწყვეტად.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. კანოს ტურნირი



ეს სპორტში, ახლა ჯერი საზოგადოებრივ სარბიელზეა

# ძიუდოისტებმა საქართველოს პირველობა გადადეს

## ძიუდოს ქართული ვნებები

**საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც 8-9 დეკემბერს ძიუდოს აკადემიაში უნდა გამართულიყო, ერთი კვირით გადაიდო და 15-16 დეკემბერს მოეწყობა იმავე არენაზე. ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში კი მიზეზად გვითხრეს, აჯობებს, ტურნირი ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაატაროსო.**

პირველობის გადატანა არანაირად არ იმოქმედებს ფედერაციის საარჩევნო ყრილობაზე, რომელიც დადგენილ ვადაში - 10 დეკემბერს გაიმართება. იმედია, ისიც მშვიდად, ქართული ძიუდოსთვის შესაფერის ღირსეულ ატმოსფეროში ჩაივლის და ქვეყნის ჩემპიონატსაც ეღირსება ჩატარება, თორემ ძიუდოში მოვლენები იმდენად წინაალმდეგობრივად ვითარდება, არაფერია გამორიცხული. დიდხანს ვიფიქრეთ, გამოგვეტანა თუ არა სააშკარაოზე ჩვენ ხელთ არსებული კულუარული ინფორმაცია, რადგან არ გვინდა, ვინმემ ვითარების დაძაბვა დაგვაბრალოს, თუმცა მაინც დაწერა ვამჯობინეთ - თუ მართლაც არაფერი ხდება, ჩვენი ინფორმაცია ჭორია და ჩემპიონატის გადადებაც ამ დაპირისპირების გამოძახილი არაა, მაშინ დაწერით არაფერი დაშავდება და პროცესები თავისი გზით განვითარდება, ხოლო თუ ეს ხმები მართალია, მაშინ დაწერა-არდაწერა სულ ერთია - დაუწერლობით არც შუბი დაიმალება ხალთაში და არც ჭირი დამალავს თავს. კულუარული ხმები კი ამბობენ, რომ ძიუდოს ოჯახი **დავით ქევხიშვილის** კანდიდატურაზე საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა და არაა გამორიცხული, 7 დეკემბრამდე სხვამაც შეიტანოს განაცხადიო. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურების წარდგენის ვადა 7 დეკემბერს, 18 საათზე იწურება, ქევხიშვილი კი ორად თუ მეტად გაყოფილი ძიუდოს სამყაროს გაერთიანებული კანდიდატი იყო. ღმერთმა ჰქნას, ჩვენ მიერ აღნიშნული შიში უსაფუძვლო გამოდგეს, თუმცა ამ შეჯიბრების გადადება კიდევ ერთხელ გვაფიქრებს. ძალზე ცუდია, რომ ძიუდო ისევ რჩება მხარეთა პინგ-პონგის საგნად. არადა, ის ხმები თუ გამართლდა, შეიძლება ზენოლად ალიქვან. ამასაც თავი დავანებოთ და ნაკრების მოსამზადებელი ციკლი ფერხდება, გუნდს ექმნება პრობლემები, რაც დაუშვებელია.

მაგრამ ვიმეორებთ, ეს ხმები მხოლოდ კულუარულია და ღიად არავინ საუბრობს. ამიტომ მართებულობაზე თავს ვერ დავდებთ. ჩემპიონატი რომ არ გადადებულიყო, ხმასაც არ ამოვიღებდით, ახლა კი ისეთი რეალობაა, როცა დუმილი დანაშაულის ტოლფასია. მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ არჩევნებიც მშვიდად ჩაივლის, პირველობაც და ქართულ ძიუდოსაც ეღირსება დაწყნარება, თორემ საზოგადოება მართლა დაიღალა. ამასობაში კი ქევხიშვილმა ოფიციალურად შეიტანა განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე.

### კანოს იაპონური წკიპურტები

დიდწილად ზემოხსენებული არეულობების გამო ქართველი ძიუდოისტები ამ უქმეებზე ტოკიოში სეზონის ბოლო „დიდ მუზარადზე" - ძიგორო კანოს მემორიალზე ვერ გამოვიდნენ, რომელიც, არსებითად, უფრო მომავალი სეზონისთვის განკუთვნილი შეჯიბრებაა, ვიდრე - წლევანდელისა. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მაყურებლისთვის მაინც საინტერესო იქნება ზოგადი შეფასება, თუნდაც იმ კუთხით, ვის უნდა ველოდოთ ჩვენებურთა სავარაუდო მეტოქეებად მომავალ სეზონში.

როგორც წინა წლებში, კანოს მემორიალმა ამჯერადაც აზიელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა - ვაჟებში 4 მედალი იაპონელებმა მოიპოვეს, 3 - სამხრეთკორეელებმა. როგორც ვხედავთ, ოლიმპიადის შემდეგ (სადაც ისტორიაში პირველად დარჩნენ ოქროს მედლის გარეშე) იაპონელებმა აქაც გააუარესეს შედეგები და შარშანდელ მონაგარს ერთი ოქროთი ჩამორჩნენ. ამჯერად ორ წონაში - 60 და 73-ში იაპონური ფინალი გაიმართა, ერთში - 90-ში კი იაპონურ-კორეული ფინალი შედგა და იქაც სტუმარმა იმარჯვა - მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა **კიუ ვონ ლეემ** ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **მასასი ნიშიამა** დააიპონა. იაპონელთაგან ჩემპიონები **ნაოჰისა ტაკატო** (60), მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჯუნპეი მორიშიტა** (66), **შოჰეი ონო** (73) და **დაისუკე კობაიაში** (100) გახდნენ, კორეელთაგან - ზემოხსენებული ლეე, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჯაე-ბუმ კიმი** (81) და **სუნ-მინ კიმი** (+100). სხვა ქვეყნების წარმომადგენელთაგან ფინალში გასვლა მხოლოდ ოთხმა შეძლო - ფრანგმა **დავიდ ლაროსემ** (66), რუსმა **ივან ვორობიოვმა** (81), ბერძენმა **ილიას ილიადისმა** (100) და ბრაზილიელმა **რაფაელ სილვამ** (+100). იაპონელებს ლონდონში ნაჭიდავები შემადგენლობიდან სამი ფალავანი აკლდათ, მსოფლიოს ჩემპიონები - **მასაში ებინუმა** (66), **ტაკამასა ანაი** (100) და ოლიმპიადისა მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსანი **ჰიროაკი ჰიროაკა** (60).

როგორც ვხედავთ, ჩვენმა გაბერძნებულმა თანამემამულე ილიადისმა ამჯერად 100-ში იჭიდავა და არცთუ ცუდად - ფინალამდე საკმაოდ ძლიერი ფრანგი **ტიერი ფაბრი** და ყაზახი მსოფლიოს ექსჩემპიონი **მაქსიმ რაკოვი** ჩამოიცილა. ახალ წონაში გამოვიდა კიდევ ერთი ძლიერი ფალავანი - მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი**. ის თავიდან 60-ში ჭიდაობდა და ოლიმპიური ბრინჯაოც იქ მოიპოვა ათენში, მერე 66-ში გადავიდა და 2009 წელს მსოფლიოზე ოქრო მოიგო, ახლა კი 73-ში მოგვევლინა. ვერ გეტყვით, აქ დამკვიდრებას აპირებს თუ ეს დროებითი მოვლენა იყო, თუმცა 73-ში მას ადრეც მოუსინჯავს ძალები. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მძიმე წონაში განვითარებული მოვლენები, სადაც მასპინძელთა მსოფლიოს ჩემპიონი **დაიკი კამიკავა** მეორე წრეში თანაგუნდელ **რუი შიჩინოჰესთან** იპონით დამარცხდა. ადრევე გავარდა გერმანელი მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრეას ტოლცერიც**, რომელსაც ფრანგთა მომავალმა მესამე პრიზიორმა **ჟან სებასტიან ბონვოისინიმ** აჯობა. ამჯერად არ ჭიდაობდა ფრანგთა მთავარი ვარსკვლავი, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ტედი რინერი**. მის არყოფნაში კორეელმა მსოფლიოს პრიზიორმა კიმიმ იმარჯვა, რომელმაც ფინალში ბრაზილიელ სილვას სძლია.

ახლა ძიუდოისტებს საერთაშორისო კალენდარში წლევანდელ სეზონში ერთადერთი მნიშვნელოვანი ტურნირი დარჩა - 6-7 დეკემბერს კორეულ ჯეჯუში მსოფლიოს თასი ჩატარდება.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# ორ ასაკში, 100-ზე მეტი მონაწილით

**თბილისის ჭიდაობის ფედერაციისა (პრეზიდენტი ავთანდილ მენაბდე) და დედაქალაქის მერიის დაფინანსებით ოლიმპიური ჩემპიონის - შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა თბილისის პირველობაში იასპარეზეს. შეჯიბრებაში ორი ასაკის (1996-1998 და 1999-2000 წ.წ.) 100-ზე მეტი მოზარდი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.**

- კარგა ხანია, 12-16 წლის ბიჭების მსგავსი ჭიდაობა არ მინახავს, - მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **დათო დავითაიამ**. - სიხარულის ცრემლს ვერ ვიკავებდი, ხალიჩაზე პატარების შემართებასა და მათ მიერ ჩატარებული ფანდების კორიანტელს რომ ვუყურებდი. ეს არის ჩვენი მომავალი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართულ ჭიდაობას ღირსეული ცვლა ეზრდება, ოღონდ ამ ყმაწვილებისთვის მსგავსი ღონისძიებები წელიწადში ორ-სამჯერ მაინც უნდა ჩატარდეს. უკეთესი საწვრთნელი პირობები უნდა შევუქმნათ, როგორც უწინ და მაშინ თითოეულ წონაში მეტი კონკურენცია იქნება, ვიდრე დღეს. დიდი მადლობა თბილისის მერიას და დედაქალაქის ჭიდაობის ფედერაციას, რომლებმაც მოზარდებს ასეთი ზეიმი აჩუქეს...

ახლა კი ასაკების მიხედვით გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

### 1999-2000 წლებში დაბადებული

**29 კგ.** 1. ნიკა ნინუა, 2. ზურაბ ფსიტიძე, 3. ბექა ზაქაიძე, მერაბ პაპიაშვილი; **32 კგ.** 1. ნიკა შერბაკოვი, 2. გიორგი ბაგაევი,.3. ნიკა გურული, ნიკა ნოზაძე; **35 კგ.** 1. გიგი ოთიაშვილი, 2. ნიკა ლაშქარავა, 3. ლაშა ლიპარტელიანი, ნოდარ ოქრომჭედლიშვილი; **38 კგ.** 1. ლუკა შანავა, 2. ნიკა შანავა, 3. რამაზ ლიპარტელიანი, მიხეილ მელაძე; **42 კგ.** 1. ბაჩო შავაძე, 2. გიორგი ბოძაშვილი, 3. ნოდარ ბელაშვილი, მიშიკო ზედგინიძე; **47 კგ.** 1. ნიკა მიქაძე, 2. ლუკა წერეთელი, 3. საბა შავაძე, ბექა ქავთარაძე; **53 კგ.** 1. დავით ქოჩქიანი, 2. შოთა სეფაშვილი, 3. ნიკა აფციაური, სერგო პოლოსიანი; **59 კგ.** 1. ხვიჩა ნაცვლიშვილი, 2. თამაზ ლაბაძე, 3. ნიკა ქოიავა, გიორგი ჭუმბაძე; **66 კგ.** 1. ზაზა სილაგაძე, 2. კოკა ლარიბაძე, 3. ნიკა მხატვრიშვილი, გიორგი მანჩხაშვილი; **73 კგ.** 1. დავით შაქარაშვილი, 2. ამირან ჩარგეიშვილი, 3. დავით წიტაიშვილი; **+73 კგ.** 1. ბიძინა ინაშვილი, 2. ბექა შავერდაშვილი, 3. ნიკა ასაბაშვილი, კობა ლაბაძე.



### 1996-1998 წლებში დაბადებულნი

**42 კგ.** 1. ალეკო ქაქუთია, 2. გიორგი კიკნაძე, 3. ნიკოლოზ საბანაშვილი, ლაშა სვანაძე. **46 კგ.** 1. ილია ტყებუჩავა, 2. გიორგი ლვინიანიძე, 3. დემეტრე არჩვაძე, თორნიკე ესებუა; **50 კგ.** 1. ბახვა მიქაძე, 2. დავით ზვიადაური, 3. ნიკა სონღულაშვილი; **54 კგ.** 1. ანზორ ფირუზაშვილი, 2. თენგო კუშტანაშვილი, 3. გიორგი ქოქოშვილი; **58 კგ.** 1. ლევან რამაზაშვილი, 2 გიორგი მუზაშვილი, 3. ლაშა ხარაიშვილი, ბექა ზენაიშვილი; **63 კგ.** 1. გიორგი გუგუნაშვილი, 2. მიშა ჩხაიძე, 3. გიორგი გაბელაია, თორნიკე ცირეკიძე; **69 კგ.** 1. გივი ქართველიშვილი, 2. საბა მახაჭაშვილი, 3. თორნიკე დადუნაშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი; **76 კგ.** 1. ბესლან კუშტანაშვილი, 2. საბა ბუხრიკიძე, 3. ლევან სვანაძე, ვახტანგ მუმლაძე. **85 კგ.** 1. ლევან გადაბაძე, 2. ნუგზარ ჩხეტიანი, 3. ბექა თედიაშვილი; **100 კგ.** 1. თენგო ძებნიაური, 2. დავით ხრდაევი, 3. გიორგი მარშანია, თორნიკე კახობერაშვილი.

მომავალ შაბათ-კვირას თბილისის პირველობაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

## განცხადება

2012 წლის 26 ნოემბრის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ყრილობის გადაწყვეტილებით, 10 დეკემბერს 14.00 საათზე ქ. თბილისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში, ჩატარდება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საანგარიშო საარჩევნო ყრილობა.

### დღის წესრიგი

1. ფედერაციის ანგარიში 2011 წლის აგვისტოდან გაწეული მუშაობის შესახებ.
2. არჩევნები – ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე პრეზიდენტების, გენერალური მდივნის, ალმასკომის წევრების.
3. სხვადასხვა.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატობის მსურველთა განცხადებები წესდების შესაბამისად მიიღება, 2012 წლის 7 დეკემბრის 14.00 საათამდე.

არჩევნების ჩატარების წესების შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვებ გვერდზე: www.gjf.ge - „წესდება".

ფედერაციის მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა № 5

საკონტაქტო პირი: ვლადიმერ ნუცუბიძე – 5 77. 17.80.22

ჭადრაკი



კონსტანტინე შანავა

# შანავა ლიდერთა შორისაა

ყაზახეთის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით პავლოდარი მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. შეჯიბრებაში შვიდი ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორის გახლავთ ქართველი დიდოსტატი **კონსტანტინე შანავა**, რომელმაც სტარტზე ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მესამე ტურში მასპინძელ ანტონ გურკინს სძლია, გუშინ კი სომეხ ზავენ ანდრიასიანს დაუზავდა და 3,5 ქულას მოუყარა თავი. ოთხი მოგებით ერთპიროვნულად ყაზახი ანუარ ისმაგამბეტოვი დაწინაურდა. გუშინ მან შავი ფიგურებით ალექსანდრ ზუბარევს (უკრაინა) სძლია. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი) - ნიკოლაი კაბანოვი (რუსეთი) 1:0, ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) - ვლადისლავ არტემიევი (რუსეთი) 0:1, ალექსეი პრიდოროჟნი (რუსეთი) - კონსტანტინ კაზაკოვი (ყაზახეთი) 0,5:0,5, რუსტამ ხუსნუტდინოვი (ყაზახეთი) - ასლან აიტბაიევი (ყაზახეთი) 0:1, პიოტრ კოსტენკო (ყაზახეთი) - რინატ ჯუმაბაევი (ყაზახეთი) 0,5:0,5, დანიილ პოსტნიკოვი (რუსეთი) - ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) 0:1.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: ანდრიასიანი (3,5) - ისმაგამბეტოვი (4), გაბუზიანი (3,5) - გრიგორიანი (3,5), არტემიევი (3,5) - შანავა (3,5), აიტბაიევი (3,5) - ზუბარევი (3).

**ვაჟა დანელია**

ყრილობა

# GADA-მ ისევ კასრაძე ირჩია

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს (GADA) საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა, რომელმაც მომავალი ოთხი წლით თავმჯდომარედ კვლავ პროფესორი **პავლე კასრაძე** აირჩია (ვრცლად "ლელოს" ხვალინდელ ნომერში).



პავლე კასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● „...აჯობებს, თუ გამორჩევით ქმნელია". გამოხმაურება

## ვინ როგორ ფიქრობს...

გასულ კვირაში „ლელოს" ახალი რუბრიკა: „...აჯობებს, თუ გამორჩევით ქმნელია" სწავლისა და სპორტის შეთავსება-შეუთავსებლობას დაეთმო. კვირის ბოლოს თემა შევაჯამეთ და იქვე ამ კვირისთვის განსახილველად ახალი შემოგთავაზეთ - "ბავშვთა სპორტი". თქვენი აზრისა და წინადადებების რედაქციაში მოსაწოდებლად გამოიყენეთ "ლელოს" ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებები. გთავაზობთ მეორე გამოხმაურებას.

დიდი ხანია მინდოდა როგორმე დამეფიქსირებინა ჩემი წუხილი ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებით და მადლობელი ვარ, რაკი ახლა მეძლევა ამის შესაძლებლობა.

ჯერ იმას გეტყვით, რომ ბავშვთა ფეხბურთი განვითარების არანაირ მიზნობრივ პროგრამაში არაა დაფიქსირებული და თვითდინებით მიდის. შედეგი რაც არის, ყველა ვხედავთ. რატომ არ უნდა გაგვაჩნდეს ბავშვთა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად შემუშავებული. დროს ვკარგავთ, ფეხბურთი წინ მიდის ორგანიზაციულად სწორი მენეჯმენტით, ცხადია, ჩვენ კი წარსულში ვართ ჩარჩენილი.

**ლუკა სანთელაძე**
თბილისი

■ ■ ■

ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი ვარ უკვე 16 წელიწადია. მაპატიეთ, მაგრამ ისეთი რამეები უნდა ვთქვა, ჩემს ნამდვილ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ჩათვალეთ, რომ ვარ ბეგი ბურთელაძე. და აი მე, ბეგი ბურთელაძე ვალიარებ, რომ ბავშვთა ფეხბურთში ბევრი სიბინძურეა. რომელი ერთი გითხრათ. დავიწყებ თუნდაც იმით, რომ ჯერ ბავშვებს თამაში არ აქვთ ხეირიანად შესწავლილი და მწვრთნელები ტურნირებში ათამაშებენ ისე, რომ არც ასაკს დაგიდევენ არც შესაძლებლობებს. „ტურნირი" კარგად ჟღერს, მშობლებსაც მოსწონთ. მოთმენა არავის უნდა. ყოფილა არაერთი შემთხვევა, როცა მამა მოსულა და უთქვამს: მე პრიზს ვიყიდი, მოგიტანთ, თქვენ კი ჩემი შვილი ამ ჯილდოთი გამოყავით რომელ ნომინაციაშიც გსურთ, ოღონდ ბავშვმა არაფერი გაიგოსო. ყოფილა შემთხვევა ასეთნაირ მშობელს პრიზი თვალსაჩინო ადგილზე დაუდგამს და რესტორანში პურმარილით აღუნიშნავს შვილის „წარმატება" მეგობრების წრეში.

ხშირია მიკერძოებული მსაჯობა. ახლა ნახეთ, რა ხდება თამაშზე დამსწრე მოზარდების ახლობლებს შორის. ბევრჯერ ხელჩართულ ჩხუბამდე მისულა საქმე. არაერთხელ გამიგონია, ნახე, იმ შენ დეგენერატ შვილს რომ არ ელორა და ბურთი ჩემი შვილისთვის გადაეწოდებინა, გოლს ხომ გაიტანდაო. უამრავია სხვა ასეთი და უარესი ფაქტიც. ბევრჯერ მიფიქრია, შევეშვა მწვრთნელობას, მაგრამ რა ვქნა, პედაგოგად ვარ დაბადებული, ჩემი დონკიხოტობა კი სასაცილოდ გამოიყურება კოლეგებში.

**ბეგი ბურთელაძე**
თბილისი

■ ■ ■

ფეხბურთის ფედერაცია და „ლია ფეხბურთის ბავშვთა სკოლები" ერთობლივად კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ეს მხოლოდ შეჯიბრებებით არ უნდა შემოიფარგლოს. თუ სკოლაა, იქნებ სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაც შეძლონ, განსაკუთრებით რეგიონებში. ამით კარგი საქმე გაკეთდებოდა.

**სერგო ბრძელიშვილი**
მცხეთა

● ოლიმპიზმი




# ოლიმპიური ჰიმნი ამსტერდამში დაჯილდოვდა

მიმდინარე წლის დასაწყისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდა ლონდონის XXX ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსი „სპორტი და ხელოვნება", რომლის მთავარი მიზანიც იყო მსოფლიოში ოლიმპიური პრინციპებისა და ოლიმპიური ქარტიის იდეალების პოპულარიზაცია. „სპორტი და ოლიმპიური ღირებულებების უპირატესობა, მეგობრობა და პატივისცემა" გახლდათ კონკურსის თემატიკა, ხოლო კატეგორიები გრაფიკული ნამუშევარი და სკულპტურა. სეოკ-ის მიერ ჩატარებული შიდა შერჩევის შედეგად ლოზანაში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა **ლევან ვარდოსანიძის** სკულპტურა „ოლიმპიური ჰიმნი", რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა და ამ ზაფხულს ოლიმპიადის პერიოდში ლონდონის Guildhall-ის ხელოვნების გალერეაში იყო გამოფენილი.

25-27 ნოემბერს ამსტერდამში სოკ-ის „სპორტის, კულტურისა და ხელოვნების" რიგით მერვე მსოფლიო კონფერენცია გაიმართა, სადაც ზემოაღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული მოქანდაკეების დაჯილდოების ცერემონიალი მოეწყო. ჰოლანდიის დედაქალაქში ქართველ მოქანდაკეს ლევან ვარდოსანიძეს სკულპტურული ნამუშევრისთვის „ოლიმპიური ჰიმნი" მეორე პრიზი გადასცეს. კონფერენციას ესწრებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგი.**

საინტერესოა, რომ ლევან ვარდოსანიძემ უკვე მესამედ მიიღო ანალოგიურ კონკურსში მონაწილეობა და სამივეჯერ პრემირებულთა შორის იყო.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

● გინესი

# ლაშა პატარაიამ რეკორდი დაამყარა



ქართველმა სპორტსმენმა - **ლაშა პატარაიამ** 29 ნოემბერს მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. პატარაიამ 8 ტონისა და 280 კილოგრამის წონის სატვირთო მანქანა ცალ ყურზე მობმული თოკით 21 მეტრისა და 50 სმ-ის მანძილზე გასწია.

მსოფილო რეკორდი რუსთავის ავტოდრომზე დამყარდა. სარეკორდო ღონისძიება რეკორდსმენთა კავშირ „გიორგის", ათლეტიზმის ფედერაციისა და ოლიმპიელთა კლუბის ორგანიზებით ჩატარდა, ფირმა - „პლატინუმის" მხარდაჭერით.

რეკორდი სპეციალურმა კომისიამ დაამოწმა, სარეკორდო მასალა კი უახლოეს მომავალში გინესის რეკორდების ორგანიზაციაში გაიგზავნება.

32 წლის ლაშა პატარაიასთვის დღევანდელი რეკორდი რიგით მეშვიდეა. მისი წინა რეკორდებიც მძიმე წონების დაძლევას უკავშირდება. მათ შორის პატარაიას ყურებით გაწეული აქვს ორი მიკროავტობუსი, სამხედრო შვეულმფრენი და ამჯერად უკვე 8-ტონიანი სატვირთო ავტომობილი.

პატარაია საკუთარი შედეგის გაუმჯობესებას და სამომავლოდ არაერთი სანახაობრივი რეკორდების დამყარებას გეგმავს.

**სამინისტროს პრესსამსახური**

● კრივი




## დოკვაძე მეოთხედფინალშია

ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც ერევანი მასპინძლობს, გუშინ მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ. მათ შორის, ვინც წარმატებით გაივლო სამი წრე, გახლავთ ტყავის ხელთათმანის ქართველი ოსტატი **ალექსანდრე დოკვაძე:** 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში გუშინ ჩვენებურმა აშკარად დაჯაბნა თურქი ქემ კილიკი - 18:5 (7:2, 4:2, 7:1) აჯობა მეტოქეს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც დღეს ირანელ სიავაშ ომიდის დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მესამე წრეში ფრედ დაამთავრა (9-9:3-1, 1:3, 5:5) პაექრობა იტალიელ სალვატორე კავალაროსთან, მაგრამ არბიტრებმა უპირატესობა სწორედ მას მიანიჭეს.

დოკვაძეს მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა - **კონსტანტინე ხვისტანმა** (69 კგ) და **ბერიკა მხეცაძემ** (75 კგ). ხვისტანი ორი რაუნდის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა უზბეკ აკმაზბეკ კოსიმოვს, მაგრამ ისინი თითო ქულით მაინც დათმო (1:2, 3:4), მესამე რაუნდი კი შუააზიელის აშკარა უპირატესობით წარიმართა (6:2) და საბოლოოდაც მან გაიმარჯვა კიდეც - 12:6. მხეცაძე ინდოელ სანდიიპანთან დამარცხდა - 8:17 (2:5, 2:6, 4:6). სულ კი ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატში შვიდი ქართველი მოკრივე ჩაება.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ჩვენებურებს ანტალია გაუტკბათ

თურქული ზღვისპირა კურორტი ანტალია ზედიზედ მესამედ მასპინძლობს ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან ტურნირს. საკვალიფიკაციო ეტაპზე სამმა ჩვენებურმა მოსინჯა ძალები: **თამარ ჭალაგანიძემ** რუს ალინა მიხეევას სძლია - 6:7, 6:4, 6:3, მაგრამ მეორე წრეში ასევე ჩრდილოელ მეზობელ ეკატერინა ლავრიკოვასთან დამარცხდა - 2:6, 2:6, **მარიამ ბოლქვაძე** კი სტარტზევე დანებდა ესპანელ ოლგა პარეს აზკოიტიას - 6:1, 4:6, 6:7. ასე რომ, ძირითად ბადეში, როგორც წინა კვირას, ამჯერადაც მხოლოდ **სოფიო ქვაცაბაია** ითამაშებს.

აქვე ქალთა საჩოგბურთო მსოფლიო ასოციაციის განახლებულ რეიტინგში ქართველთა მაჩვენებლებს გაგაცნობთ: 51 (51). **ანა ტატიშვილი** (1140 ქულა), 300 (302). **სოფიო შაფათავა** (160). 403 (403). **მაკა ჩახნაშვილი** (93), 416 (451). **ოქსანა კალაშნიკოვა** (88), 423 (423). **სოფიო ქვაცაბაია** (86), 492 (480). **ეკატერინე გორგოძე** (62), 634 (668). **ნათია გეგია** (37), 1142 (1151). **ანი გოგვაძე** - 3.

ვაჟთა რეიტინგში კი ასეთი მდგომარეობაა: 307 (307). **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (147), 944 (943). **ალექსანდრე მეტრეველი** (10), 1351 (1350). **გიორგი ციცაძე** (3), 1474 (1440). **გიორგი ჯავახიშვილი** (2).

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ანტალიის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში პირველ ნომრადაა განთესილი. სტარტზე იგი შეჯიბრებაზე "ველური ბარათით" დაშვებულ მასპინძელს - სარპ ალაბეგუნს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

### განცხადება

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფედერაციის რიგგარეშე საანგარიშო საარჩევნო ყრილობა ჩატარდება 2012 წლის 17 დეკემბერს სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. №9) 14 საათზე. დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 13 საათიდან. პრეზიდენტობის და აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადაა 2012 წლის 11 დეკემბრამდე წერილობითი ფორმით.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია




● კალათბურთი. U16



# ვილი და რეკორდები: 143, 75, 41

კვირას საქართველოს კადეტთა ჩემპიონატში არაერთი რეკორდი დამყარდა. „შსს აკადემიას" თავდამსხმელმა **ვილი ისიანმა** 75 ქულა და 41 მოხსნა მოაგროვა. იგი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრია და მასთან ერთად 18-წლამდელთა ჩემპიონატშიც ასპარეზობს.

საინტერესოა, რომ ვილიმ მეტოქე გუნდზე თითქმის ოთხჯერ მეტი ქულა მოაგროვა, ხოლო მისი გუნდის ქულების თითქმის ნახევარი. „შსს აკადემიას" უპირატესობა „კაქტუსთან" აშკარა იყო - 143:20.

**2 დეკემბერი**

**TBC თბილისი-AXE 44:57**

**თბილისი:** მაჭავარიანი (12ქ, 14მ)...
**AXE:** ბარათელი (19ქ, 13მ), ყუშიტაშვილი (4ქ, 10მ)...

**აკადემია 2-კარდინალები 2 55:31**

**აკადემია:** ჩხეიძე (17ქ, 13მ), ლეჟავა (11ქ, 9ჩ, 5დ), ლაღონია (7ქ, 12მ)...
**კარდინალები:** ტოროტაძე (7ქ, 10მ), დემეტრაშვილი (15ქ, 6ჩ)...

**მართვე 4-დინამო 44:96**

**მართვე:** ოქრიაშვილი (9ქ, 9მ), კოშაძე (10ქ)...
**დინამო:** თვალაბეიშვილი (20ქ, 12მ), დარბაიძე (11ქ, 10მ), მაჭავარიანი (19ქ, 5მ)...

**შსს აკადემია-კაქტუსი 143:20**

**შსს აკადემია:** ისიანი (75ქ, 41მ, 3პ, 5ჩ, 4დ), გოგალაძე (12ქ, 14პ)...
**კაქტუსი:** ესართია (10ქ, 7მ)...

**კარდინალები-ქუთაისი 64:62**

**კარდინალები:** კვირკველია (11ქ, 6ჩ), ტურაშვილი (18ქ), ალიევი (12ქ, 11მ, 5პ, 5დ)...
**ქუთაისი:** ცქიფურიშვილი (30ქ, 17მ), ვადაჭკორია (19ქ)...

**ჰიუნდაი-რუსთავი 47:83**

**ჰიუნდაი:** ლოლუა (10ქ), აბულაძე (12ქ, 10მ)...
**რუსთავი:** გოგობერიშვილი (26ქ), წიქარიშვილი (19ქ, 19მ, 8პ), ბიწაძე (11ქ, 13მ, 6პ), ალავერდაშვილი (11ქ, 16მ)...

**აკადემია-რუსთავი 2 96:44**

**აკადემია:** გიორგაძე (13ქ, 18მ, 6პ), მამარაშვილი (17ქ), ბულაშვილი (14ქ)...
**რუსთავი 2:** პატაშური (18ქ)...

**მართვე 3-სოხუმი 38:70**

**მართვე 3:** პაპუნიდი (14ქ, 13მ), ბარაჩაშვილი (15ქ)...
**სოხუმი:** ყეინაშვილი (22ქ, 13მ, 9პ, 5ჩ), კვერნაძე (5ქ, 14მ)...

**მართვე 2-იმედი 113:45**

**მართვე:** ძანძავა (14ქ, 11პ), ჭიჭვეიშვილი (8ქ, 11მ, 10პ), ლომიძე (31ქ, 9მ), სანაია (36ქ, 14მ)...
**იმედი:** ბუაჩიძე (14ქ, 15მ), ევგენიძე (11ქ)...

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 5 | 5 | 0 | 590/139 | 10 |
| 2. სოხუმი | 5 | 4 | 1 | 260/243 | 9 |
| 3. ქუთაისი 2 | 4 | 4 | 0 | 402/178 | 8 |
| 4. ჰიუნდაი | 5 | 3 | 2 | 295/255 | 8 |
| 5. რუსთავი 1 | 4 | 4 | 0 | 384/145 | 8 |
| 6. მართვე 3 | 5 | 2 | 3 | 234/357 | 7 |
| 7. მართვე | 5 | 1 | 4 | 281/430 | 6 |
| 8. აკადემია 2 | 5 | 1 | 4 | 235/316 | 6 |
| 9. კარდინალები 2 | 5 | 0 | 5 | 162/395 | 5 |
| 10. მარნეული | 4 | 1 | 3 | 143/237 | 5 |
| 11. კაქტუსი | 4 | 1 | 3 | 147/350 | 5 |
| 12. რუსთავი 3 | 3 | 1 | 2 | 173/261 | 4 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდინალები | 5 | 5 | 0 | 399/233 | 10 |
| 2. აკადემია | 5 | 5 | 0 | 487/187 | 10 |
| 3. მართვე 2 | 5 | 5 | 0 | 567/203 | 10 |
| 4. ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 424/276 | 9 |
| 5. მართვე 4 | 5 | 2 | 3 | 243/387 | 7 |
| 6. ბათუმი | 4 | 3 | 1 | 294/235 | 7 |
| 7. დინამო | 5 | 1 | 4 | 310/376 | 6 |
| 8. ლომები | 4 | 2 | 2 | 239/195 | 6 |
| 9. AXE | 5 | 1 | 4 | 232/434 | 6 |
| 10. იმედი | 5 | 0 | 5 | 225/470 | 5 |
| 11. TBC-თბილისი | 5 | 0 | 5 | 163/430 | 5 |
| 12. რუსთავი 2 | 3 | 0 | 3 | 129/286 | 3 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამალული საიდუმლო საქართველოდან

## უკრაინის ჩემპიონობისთვის

**საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე უკრაინულ „ბუდიველნიკში“ წამყვან კალათბურთელად რომ იქცა, ამის შესახებ ხშირად გვიწევს წერა. მისმა კარგმა გარჯამ ევროთასის ოფიციალური საიტის ჟურნალისტი ხავიერ განცეგოც დააინტერესა და ქართველს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. შესავალში ვკითხულობთ: „ერთწლიანი შესვენების შემდეგ „ბუდიველნიკი“ ევროთასს დაუბრუნდა და კვლავ მაღალ მიზნებს ისახავს - მეოთხედფინალში გასვლას, რაც 2011 წელს უკვე მოახერხა. უკრაინული კლუბის ერთ-ერთი ახალწვეული გიორგი ცინცაძეა. იგი 2005-06 წლების სეზონიდან გვახსოვს, როცა 20 წლის ასაკში მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად ევროთასი (მაშინ ულების თასი ერქვა) მოიგო.**
**მას მერე ცინცაძემ ითამაშა ესტონეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, პოლონეთში, მშობლიურ საქართველოში და 26 წლისა უკრაინულ „ბუდიველნიკში“ ჩაირიცხა. ტრავმების მოშუშების შემდეგ იგი ათამაშდა და გაგვახსენა, რომ ევროპული კალათბურთის კარგად დამალული საიდუმლოა. გიორგი ევროთასზე საშუალოდ 11.8 ქულას, 3.5 პასსა და 1.8 ჩაჭრას აგროვებს. ოთხი მატჩის შემდეგ მისი გუნდი „პრიენაისთან“ ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს (2-2 მოგება-წაგება).**
**მეხუთე მატჩში „ბუდიველნიკი“ ჩეხეთის „ნიმბურკს“ მიიღებს. ამ შეხვედრის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს ქართველი გამთამაშებელი:**

- „ნიმბურკთან“ გადამწყვეტი ბრძოლა გველის. მისი მოგება მეტად მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, საკუთარ თამაშს ვუჩვენებთ და შედეგსაც მივაღწევთ, რაშიც გულშემატკივარიც დაგვეხმარება.

**- გასულ კვირას იერუსალიმის „ჰაპოელი“ დაამარცხეთ. რა იყო წარმატების საიდუმლო?**

- „ჰაპოელთან“ სტუმრად წაგებული გვქონდა და შინ წარუმატებლობის შემთხვევაში მეტოქეს დიდი უპირატესობა გაუჩნდებოდა. მოხარული ვარ, რომ მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. მართალია, ბოლო წუთებზე წინ „ჰაპოელი“ იყო, მაგრამ მობილიზება მოვახერხეთ და გუნდური თამაშის წყალობით მნიშვნელოვანი ორი ქულა მოვიპოვეთ. იმედია, მომავალშიც ასეთივე შეკრულები ვიქნებით.

**- „ბუდიველნიკი“ შინ უკეთესად თამაშობს ვიდრე სტუმრად. რატომ?**

- ჯერჯერობით ასეა. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ კვირის განმავლობაში არაერთი მატჩის ჩატარება გვიწევს. ევროთასის პარალელურად უკრაინის პირველობაზე ვასპარეზობთ და ზოგჯერ კვირაში სამი შეხვედრის გამართვა გვიწევს. რადგან სტუმრად მოგება გვიჭირს, ძალიან მნიშვნელოვანია საშინაო მატჩებში გამარჯვება, რაც მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგ შანსს დაგვიტოვებს.

**- 2006 წელს „დინამოსთან“ ერთად ევროთასი მოიგეთ. მაშინ ცოტა სათამაშო დრო გქონდათ. რას ნიშნავს ის ტიტული თქვენთვის?**

- დიდი გამოცდილება მივიღე. ახალგაზრდა, მაგრამ გუნდის ნაწილი ვიყავი. მაშინ „დინამოში“ ცნობილი კალათბურთელები თამაშობდნენ და დუშან ივკოვიჩი წვრთნიდა. ევროთასის მოგება ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტია. წარმატებაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის. ახლა შედარებით გამოცდილი ვარ, ევროთასზე მეორედ დავბრუნდი და ვცდილობ, წარმატებული სვლა განვაგრძო.

**- 2006 წელს ფინალური მატჩი შარლერუაში შედგა. „დინამომ“ „არისი“ დაამარცხა. რა გახსოვთ ყველაზე უკეთ იმ დღიდან?**

- მახსოვს არისის გიჟი ფანები (კარგი კუთხით). მატჩის დაწყებამდე მოედანი თეთრი ქაღალდებით გაივსო. საოცარი სანახაობა იყო. მოგებით ძალიან გავიხარეთ.

**- 2006 წლის შემდეგ ევროთასის გათამაშება ბევრად შეიცვალა?**

- რა თქმა უნდა. შეიცვალა მთავარი - სახელწოდება! (იცინის) ამჟერად შეჯიბრებაში უფრო მეტი გუნდი მონაწილეობს. მას ხარისხს მატებს რუსეთის, თურქეთისა და ესპანეთის მაღალი დონის კლუბები. ევროლიგის შემდეგ ევროთასი მეორე საკლუბო შეჯიბრებაა.

**- დროთა განმავლობაში ევროთასსა და ევროლიგაზე ქართველი კალათბურთელების რაოდენობა მატულობს. ეს თქვენთვის საამაყოა?**

- ქართველების ხილვა წამყვან შეჯიბრებებში მართლაც სასიამოვნოა. ეს ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის განვითარებისთვის აუცილებელია, რათა მეტი ადამიანი დაინტერესდეს სპორტის ამ სახეობით. რაც მთავარია, ქართველი ლეგიონერები კლუბებში წამყვან პოზიციებზე არიან. წარმატებას ვუსურვებ მათ.

**- სათამაშო დრო საკმარისად გაქვთ. ფიქრობთ, რომ წლეულს შეძლებთ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას?**

- აქამდე ტრავმების გამო არაერთი პრობლემა მქონდა. გუნდების ხშირად გამოცვლაც მიწევდა. ამჟერად ევროთასზე მოასპარეზე გუნდში ვარ და ყველანაირი ხელშეწყობა მაქვს თავის წარმოსაჩენად. მინდა ამისთვის მადლობა ვუთხრა ბუდიველნიკის მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას. მაქსიმუმს გავიღებ და ვნახოთ, რა გამოვა.

**- მიგაჩნიათ, რომ კარიერის საუკეთესო წლები წინაა?**

- ამის იმედი მაქვს. მინდა, ისევე განვაგრძო, როგორც ახლა ვთამაშობ. ტრავმები ჩვენი სამუშაოს ნაწილია, თუმცა როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა სათანადოდ ვშრომობ, რომ თითოეული მატჩისთვისაც მაქსიმალურად მზად ვიყო და საკუთარი თამაში კიდევ უფრო დავხვეწო.

**- 2012-13 წლებში თქვენ და „ბუდიველნიკი“ რა მიზნებს ისახავთ?**

- საკუთარ მიზნებზე ყურადღების გამახვილება არ მსურს. კარგადაც რომ გავისარჯო, მაგრამ გუნდმა წააგოს, მიზანს ვერ მივაღწევთ. რა თქმა უნდა, მინდა მეც მოწოდების სიმაღლეზე ვიყო, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მთლიანად გუნდმა ითამაშოს კარგად. ნიჭიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავს და ნამდვილად შეგვიძლია ევროთასის მეორე რაუნდში გადასვლა. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჩვენი მაქსიმუმი არ არის. თამაშის გაუმჯობესება კიდევ შეგვიძლია. იმის იმედიც მაქვს, რომ ევროთასზე მეოთხედფინალს მივაღწევთ და საუკეთესო რვაეულში ერთ-ერთი გამორჩეულები ვიქნებით. არც იმას დავმალავ, რომ უკრაინის ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. სეზონის მსვლელობისას ერთმანეთს კიდევ უკეთესად გავიცნობთ, შევთამაშდებით და მეორე ნახევრიდან უკეთესი გუნდი გვეყოლება.

ვაჟა სიმონიშვილი




გიორგი ცინცაძე 2011 წელს სლოვენიასთან მატჩისას

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 28.11 | NBA | VS შარლოტი | 94:91 | 21 | 6 | 6 | 0 | 0 | 0 |
| | | 30.11 | NBA | VS კლივლენდი | 111:113 | 21 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 26.11 | NBA | VS ნიუ იორკი | 96:89 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 28.11 | NBA | ბოსტონი VS | 83:95 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 30.11 | NBA | ორლანდო VS | 86:98 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 1.12 | NBA | მაიამი VS | 102:89 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 29.11 | ევროლიგა | ხიმკი (რუს) VS | 77:53 | 31 | 16 | 4 | 2 | 3 | 0 |
| | | 2.12 | იტალიის ჩემპ. | კასერტა VS | 76:74 დ.დ. | 41 | 12 | 3 | 2 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 30.11 | ევროლიგა | VS უნიკახა (ესპ) | 91:72 | 18 | 10 | 6 | 4 | 0 | 0 |
| | | 3.12 | იტალიის ჩემპ | VS აველინო | 101:65 | 20 | 6 | 5 | 2 | 0 | 0 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 29.11 | ევროლიგა | VS შალონი (საფ) | 78:73 | 6 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 2.12 | ისრაელის ჩემპ. | VS ჰაპოელი (თელ-ავივი) | 91:72 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 28.11 | ევროთასი | VS ჰაპოელი (ისრ) | 84:77 | 29 | 12 | 3 | 5 | 2 | 0 |
| | | 30.11 | უკრაინის ჩემპ | VS ფერო | 98:102 | 39 | 9 | 2 | 3 | 0 | 0 |
| | | 2.12 | უკრაინის ჩემპ | VS კრივბასი | 82:66 | 26 | 4 | 3 | 6 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 27.11 | ევროთასი | VS ორლეანი (საფ) | 84:78 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 2.12 | ესპანეთის ჩემპ. | ბარსელონა VS | 78:64 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 28.11 | ევროთასი | ბუდიველნიკი (უკრ) VS | 84:77 | 34 | 22 | 1 | 3 | 4 | 0 |
| | | 2.12 | ისრაელის ჩემპ. | მაქაბი (რიშონი) VS | 81:86 | 29 | 17 | 1 | 9 | 1 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მაჰანი (ირანი) | 29.11 | ირანის ჩემპ. | ქეშმი VS | 65:74 | არ უთამაშია | | | | | |
| სერგო ათუაშვილი | ქეშმი (ირანი) | 29.11 | ირანის ჩემპ. | VS მაჰანი | 65:74 | 45 | 17 | 10 | 0 | 0 | 0 |

ლეგიონერები

# შეყლაშვილის ლელო და გორგოძე სინბინში

## ჟღენტი ოთხ წელიწადს პერპინიანში ითამაშებს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში, ნოემბრის ტესტებით გამოწვეული შესვენების შემდეგ, მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებმა, რომლებიც საპლეიოფო ექვსეულში არიან და სატურნირო ცხრილში პირველი ხუთი ადგილი უკავიათ, პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს.**

გათამაშების ლიდერმა **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" შინ მიიღო მეექვსეადგილოსანი „გრენობლი" და იოლად სძლია - 39:3.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო, მიქაუტაძეს და ჩილაჩავას არ უთამაშიათ. „ტულონს" ახლა 47 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა.

ტულონელებს ხუთი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხური უჭირავს **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზს", რომელმაც შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" - 30:22.

საფრანგეთის ჩემპიონები უპირატესობას მატჩის დასაწყისშივე დაეუფლნენ და ბოლომდე აკონტროლებდნენ თამაშის მსვლელობას. ქართველი მორაგბეები ზირაქაშვილი და კაკოვინი მოედანზე 41-ე წუთზე ერთდროულად გამოჩნდნენ და შერკინებაში ერთმანეთის წინააღმდეგ მოუწიათ თამაშმა. ბრეგვაძე ტრავმირებულია და არ უთამაშია, კოლელიშვილს 20-დღიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

„ვულკანები" ამ მარცხის შემდეგ „ტულუზს" ორი ქულით ჩამორჩნენ და მესამე ადგილზე არიან. მათ სამი ქულით ჩამორჩება და მეოთხეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც მე-12 ტურში სტუმრად დაამარცხა გათამაშების დებიუტანტი და აუტსაიდერი **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი" - 31:15.

არადა, მასპინძლებმა პირველ ტაიმში მეტოქე აშკარად დაჯაბნეს და ცხრა ქულის სხვაობით მოიგეს კიდეც - 15:6. შესვენების შემდეგ, როცა 52-ე წუთიდან თამაშში ფეიქრიშვილი ჩაერთო, „კასტრმა" ანგარიშში დაწინაურება და მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება შეძლო. მჭედლიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ", რომელიც 36 ქულით მე-5 ადგილზეა, შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი" - 29:22. ჩვენებურთა გუნდმა პირველი ტაიმი ხუთი ქულის სხვაობით 11:16 წააგო. თუმცა შესვენების შემდეგ თამაშში გორგოძე ჩაერთო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მამუკა მატჩის არბიტრმა 61-ე წუთზე სინბინში გაუშვა, ნარიაშვილი მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟღენტი განაცხადში არ იყო.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ჟღენტი სეზონის დასრულების შემდეგ „მონპელიეს" ტოვებს. მან უკვე გააფორმა ახალი ოთხწლიანი ხელშეკრულება კატალონიურ „პერპინიანთან".

**ზურაბ ჟვანიას** პარიზის „სტად ფრანსემ", რომელიც 24 ქულით მე-10 ადგილზეა, თანაქალაქელ „მეტრო რასინგთან" წააგო - 15:23. ჟვანია განაცხადში არ იყო.

### I დივიზიონი

პერპინიანი-აჟენი 39:13, ტულუზი-კლერმონი 30:22, მონპელიე-ბაიონი 29:22, ბიარიცი-ბორდო 25:22, ტულონი-გრენობლი 39:3, მონ დე მარსანი-კასტრი 15:31, მეტრო რასინგი-სტად ფრანსე 23:15.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 47 ქულა, 2. ტულუზი - 42, 3. კლერმონი - 40, 4. კასტრი - 37, 5. მონპელიე - 36, 6. გრენობლი - 30, 7. ბიარიცი - 28, 8. პერპინიანი - 26, 9. მეტრო რასინგი - 25, 10. სტად ფრანსე - 24, 11. ბაიონი - 21, 12. ბორდო - 17, 13. აჟენი - 16, 14. მონ დე მარსანი - 6.

### XIII ტური

ბორდო-კლერმონი, გრენობლი-ტულუზი, კასტრი-მეტრო რასინგი, პერპინიანი-მონპელიე, სტად ფრანსე-ბიარიცი, ბაიონი-მონ დე მარსანი, აჟენი-ტულონი.

მე-13 ტურის შეხვედრები გაიმართა ელიტურ, მეორე დივიზიონში. აქ საპლეიოფო ხუთეულში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდია. ესენია: „ლიონი", „ტარბი" და „ბრივი".

ყველაზე უკეთესი შედეგი ჩვენებურთა გუნდებიდან **გურამ კავთიძის** „ლიონს" აქვს, რომელიც 40 ქულით მე-2 ადგილზეა, თუმცა ლიდერ „ოიონაქსს" 13 ქულით ჩამორჩება. ლიონელებმა მე-13 ტურში შინ დაამარცხეს ერთ-ერთი აუტსაიდერი **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი" - 30:13.

კავთიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძეს არ უთამაშია.

„ლიონს" ორი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც შინ მოუგო „ლა როშელს" - 37:26. ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნემსაძე 78-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავა თამაშში მე-9 წუთიდან ჩაერთო, დადუნაშვილი მოედანზე ცხრა წუთის შემდეგ გამოჩნდა.

38 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი". ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა **ალექსანდრე თოდუას, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი" - 24:10.

კობერიძე 50-ე წუთზე შეცვალეს, შვიდ წუთში ერთდროულად დატოვეს მოედანი თოდუამ და მაისურაძემ, შველიძე თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო, ცხრა წუთის შემდეგ ასევე ერთდროულად გამოჩნდნენ მოედანზე ხინჩაგიშვილი და ნატრიაშვილი, ახობაძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„ბრივს" ერთი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც შინ დაამარცხა **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი" - 28:7.

სუთიაშვილმა და დათუნაშვილმა სრულად ითამაშეს, აშვეთია 52-ე წუთზე შეცვალეს, სამ წუთში მოედანი ნაცარაშვილმაც დატოვა, ასეიშვილი მატჩში 69-ე წუთიდან ჩაერთო. პარიზული კლუბი ამ მარცხის შემდეგ 11 ქულით ბოლო ადგილზეა.

მასელებს ხუთი ქულით უსწრებს და ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე", რომელმაც შინ წააგო „ნარბონთან" - 17:34. შეყლაშვილმა 49-ე წუთზე ლელო გაიტანა და 79-ე წუთზე შეცვალეს.

### II დივიზიონი

ორიაკი-მასი 28:7, პო-ექსი 37:0, ლიონი-დაქსი 30:13, კარკასონი-კოლომიე 32:7, ტარბი-ლა როშელი 37:26, ოიონაქსი-ოში 55:3, ბრივი-ალბი 24:10, ბეზიე-ნარბონი 17:34.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 53 ქულა, 2. ლიონი - 40, 3. პო - 39, 4. ტარბი - 38, 5. ბრივი - 38, 6. ლა როშელი - 37, 7. ორიაკი - 37, 8. ლარკასონი - 35, 9. ალბი - 32, 10. ოში - 27, 11. ნარბონი - 25, 12. კოლომიე - 23, 13. დაქსი - 20, 14. ექსი - 16, 15. ბეზიე - 16, 16. მასი - 11.

### XIV ტური

ლა როშელი-ბრივი, ექსი-კარკასონი, ბეზიე-ოიონაქსი, ალბი-დაქსი, პო-ლიონი, კოლომიე-ტარბი, ოში-ორიაკი, ნარბონი-მასი.

მორიგი, მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა „კელტთა ლიგაში". საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა" სტუმრად მოუგო ირლანდიურ „ქონოთს" 34:23 და ახლა 21 ქულით მე-7 ადგილზეა. ბასილაია ტრავმირებულია და არ უთამაშია.

გათამაშებას კი კვლავ ირლანდიური „ალსტერი" ლიდერობს, რომელმაც სტუმრად შეძლო უახლოესი მდევარის, უელსური „ჰლანეჰლის" დამარცხება - 19:12.

### კელტთა ლიგა

### X ტური

ოსფრიზი-კარდიფი 33:12, ბენეტონი-ნიუპორტი 32:13, ქონოთი-ედინბურგი 23:34, ლენსტერი-ზებრე 37:7, მანსტერი-გლაზგო 31:3, ჰლანეჰლი-ალსტერი 12:19.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 43 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 34, 3. ლენსტერი - 31, 4. მანსტერი - 29, 5. გლაზგო - 28, 6. ოსფრიზი - 27, 7. ედინბურგი - 21, 8. ბენეტონი - 19, 9. კარდიფი - 19, 10. ქონოთი - 15, 11. ნიუპორტი - 13, 12. ზებრე - 4.

### XI ტური

ალსტერი-ლენსტერი, გლაზგო-ედინბურგი, ნიუპორტი-ოსფრიზი, ჰანეჰლი-კარდიფი, ზებრე-ბენეტონი, ქონოთი-მანსტერი.



ბურთით მამუკა გორგოძე

მსოფლიოს თასი




# წილი ნაყარია

**ლონდონში 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა გაიმართა. ცნობილი გახდა იმ ჯგუფების შემადგენლობა, რომელშიც სავარაუდოდ შეიძლება საქართველოს ნაკრები მოხვდეს. ესენია A, C და D ჯგუფები.**

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასზე მოთამაშე ოცი გუნდიდან თორმეტის ვინაობა ჯერ კიდევ ახალ ზელანდიაში შარშან გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ გახდა ცნობილი. დანარჩენი რვა ქვეყნის ნაკრების ვინაობას კი შესარჩევი ტურნირები გაარკვევს.

წილისყრის წინ გუნდები კალათებში ასე იყვნენ განაწილებულნი:

**I კალათა:** ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი.

**II კალათა:** ინგლისი, სამოა, არგენტინა, ირლანდია.

**III კალათა:** უელსი, შოტლანდია, ტონგა, იტალია.

**IV კალათა:** ოკეანია 1, აზია 1, ევროპა 1, ამერიკა 1.

**V კალათა:** რეპეშაჟი, ემრიკა 2, აფრიკა 1, ევროპა 2.

ახლა გავაანალიზოთ სამივე შესაძლო ვარიანტი, რომლებიდანაც ერთ-ერთი საქართველოს ნაკრებს ერგება. თუ „ბორჯღალოსნებმა" 2013-14 წლების ერთა თასის გათამაშებაში, ორი წლის ჯამში პირველი ადგილი დაიკავეს, C ჯგუფში მოხვდებიან, სადაც ჩვენი მეტოქეები ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგასა და აფრიკის კონტინენტის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული, სავარაუდოდ ნამიბიის ნაკრებები იქნებიან.

ვფიქრობთ, ეს ჯგუფი სხვებთან შედარებით ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია. ახალი ზელანდია არათუ ჯგუფის, არამედ ტურნირის უმთავრესი ფავორიტი იქნება და, ცხადია, ამ ქვეყნის ნაკრებთან მოგებაზე ფიქრი დღესდღეობით უტოპიაა. სამაგიეროდ, „ოლ ბლექსთან" მსოფლიოს თასზე თამაში უდიდესი პატივია და ვინც იმ დროისთვის ჩვენს ეროვნულ ნაკრებში იქნება, ჩათვალეთ, რომ ძალიან მაგრად გაუმართლათ.

ჯგუფში მეორე ნომერი არგენტინაა, რომელსაც კარგად ვიცნობთ. ამ გუნდთან ზედიზედ მესამედ მოგვიწევს მსოფლიოს თასზე თამაში. 2007 და 2011 წლებში გამარჯვება „პუმებს" დარჩათ. პოდა ნათქვამია, ღმერთი სამობითააო და ვინ იცის? მით უფრო, რომ ახალ ზელანდიაში არგენტინელებს პირველი ტაიმი მოვუგეთ და შეგვეძლო მატჩიც ჩვენ სასარგებლოდ დაგვესრულებინა. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრებს მომავალ წელს ივნისის ტესტებზე სტუმრად დავუპირისპირდებით.

მესამე ნომერია ტონგას ნაკრები, რომელთან გამარჯვებაზე ფიქრი სრულიად რეალურია, თუმცა, ცხადია, ეს იოლი არ იქნება. ტონგელები შესანიშნავად გაისარჯნენ ნოემბრის ტესტებზე. მათ ედინბურგში შოტლანდიის ნაკრები დაამარცხეს, თუმცა რომში იტალიასთან წააგეს. ტონგის ნაკრებთან ჩვენს ეროვნულ გუნდს აქამდე ორჯერ უთამაშია. 1999 წელს, მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში სტუმრად წავაგეთ, შინ კი მოვუგეთ, თუმცა საგზური კუნძულელებს ერგოთ.

მეოთხე ნომერი ჩვენი ნაკრები იქნება. მეხუთე კი, აფრიკის კონტინენტის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული, სავარაუდოდ ნამიბიის ეროვნული გუნდი. ეს ის ნაკრებია, რომელთან გამარჯვებაც აუცილებლად გვმართებს. ნამიბიელებთან 2007 წლის მსოფლიოს თასზე ვითამაშეთ და მშრალი ანგარიშით - 30:0 დავამარცხეთ.

სხვა ვარიანტების დეტალურად განხილვა, ვფიქრობთ, არც ღირს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, შესარჩევ ტურნირში „ბორჯღალოსნებმა" მეორე ან მესამე ადგილი დაიკავონ. მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ჩვენი გუნდი D ჯგუფში საფრანგეთის, ირლანდიის, იტალიის და ამერიკის კონტინენტზე გამარჯვებულს შორის მოხვდება.

მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს ჯერ რეპეშაჟის დაძლევა მოუწევს. იქ გამარჯვების მერე კი უმძიმეს A ჯგუფში მოვხვდებით, სადაც მეტოქეები ავსტრალიის, ინგლისის, უელსის და ფიჯის ნაკრებები იქნებიან.

### მსოფლიოს თასი - 2015

**A ჯგუფი:** ავსტრალია, ინგლისი, უელსი, ოკეანეა1, რეპეშაჟი

**B ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, სამოა, შოტლანდია, აზია 1, ამერიკა 2.

**C ჯგუფი:** ახალი ზელანდია, არგენტინა, ტონგა, ევროპა 1, აფრიკა 1.

**D ჯგუფი:** საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ამერიკა 1, ევროპა 2.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. 2012 წლის სეზონი

# კურიოზული, სახალისო, საინტერესო...

**საჩოგბურთო სეზონის შემდეგ, ვიხსენებთ 2012 წლის კურიოზულ, სახალისო და უბრალოდ, საინტერესო ციფრებს...**



იაროსლავა შვედოვა

### სარა ერანის 7 წამი

უიმბლდონის პირველ წრეში, **სარა ერანისა** და **კოკო ვანდევეგეს** შეხვედრაში ორი კურიოზი მოხდა. ერანი დამაჯერებლად იგებდა – 6:1, 5:3 და მოგებამდე ერთი ქულა აშორებდა (იტალიელს მატჩბოლი ჰქონდა), მაგრამ აქ საქმეში ტრადიციული ბრიტანული წვიმა ჩაერია და შეხვედრის გადატანა გახდა საჭირო.

ერანის აღიარებით, მომდევნო დღეს კორტზე გასვლამდე ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ საბოლოოდ, სარასთვის ყველაფერი კარგად დასრულდა. მეტოქეებმა კორტზე მხოლოდ 7 (!) წამი გაატარეს, იტალიელს კი გამარჯვებისთვის ბურთზე შეხებაც არ დასჭირდა – ვანდევეგემ ორმაგი შეცდომა დაუშვა.

### იაროსლავა შვედოვას ოქროს სეტი

იმავე სარა ერანისა და **იაროსლავა შვედოვას** მატჩი უიმბლდონზე ისტორიაში შევიდა იმით, რომ "დიდ სლემზე" პირველად ჩატარდა "ოქროს სეტი". ყაზახმა ჩოგბურთელმა ისე მოიგო პირველი პარტია, რომ არც ერთი ქულა არ დაუთმო მეტოქეს. ამ ბრწყინვალე 15 წუთის განმავლობაში, შვედოვამ შეასრულა ოთხი ეისი და 14 "ვინერსი". საინტერესო ის არის, რომ ერანიმ პარტიაში მხოლოდ ერთი უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამან ისე ალაფრთოვანა ყველა, რომ შვედოვასთან მატჩის წინ, თვით **სერენა უილიამსმა** განაცხადა, რომ ერთი ქულის აღების იმედი აქვს.

ამერიკის ღია პირველობაზე **სამანტა სტოსური** ახლოს იყო შვედოვას მიღწევის გამეორებასთან. ტურნირის პირველ დღეს მან **პეტრა მარტიჩის** წინაალმდეგ ზედიზედ 19 ქულა აიღო, მაგრამ შემდეგ, როგორც თავად აღიარა, "ოქროს სეტზე" ფიქრი დაიწყო და ორმაგი შეცდომა დაუშვა.

### რადვანსკას 0 შეცდომა

ისევ უიმბლდონი – იქ უშეცდომო თამაშით მხოლოდ შვედოვა არ ბრწყინავდა. **აგნიეშკა რადვანსკამ** კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ შეუძლია უშეცდომოდ თამაში. ტურნირის მეორე წრეში **ელენა ვესნინას** წინაალმდეგ მატჩში პოლონელს არც ერთი უნებლიე შეცდომა არ დაუშვია, სამაგიეროდ, რუსი შეცდა 18-ჯერ.

### პირველი მშრალი ნოვაკსა და როჯერს შორის

ცინცინატის მასტერსის ფინალამდე **როჯერ ფედერერი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** 27-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ყველაფერი უჩვენეს მაყურებელს - დაძაბული ბრძოლები, ბრწყინვალე "ქამბექები", მუდმივი დაძაბულობა. ერთადერთი, რაც მათ თამაშში არ იყო - განადგურება. ამიტომაც, როცა ჯოკოვიჩმა პირველი პარტია "მშრალი" ანგარიშით დათმო, შვეიცარიელის ყველაზე ერთგული გულშემატკივრებიც გაოგნებულნი დარჩნენ. მანამდე მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგანს ერთმანეთში 82 სეტი ჰქონდათ ნათამაშები, მაგრამ ნულზე არც ერთი დასრულებულა.

ფედერერმა ის მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და ამ ორის მეტოქეობას კიდევ ერთი საგულისხმო სტატისტიკური დეტალი დაუმატა – სერბის წინაალმდეგ მოგებულ 16-ივე მატჩში ის პირველ სეტს იღებდა. საერთოდ, 2012 წელს, ფედერერმა მხოლოდ ორი მატჩი წააგო იმ დროს, როცა პირველ პარტიას იღებდა - **რაფა ნადალთან** ავსტრალიის ღიაზე და **ჯონ ისნერთან** დევისის თასზე.

### ოთხი ნული რობერტა ვინჩისგან

იტალიელი **რობერტა ვინჩი** აგვისტოში ძალიან კარგ ფორმაში იყო და ზედიზედ იგებდა სეტებს "მშრალი" ანგარიშით. თავიდან მონრეალში არც ერთი გეიმი არ დაუთმო **ანა ივანოვიჩს**, რითაც თავადაც დიდად გაკვირვებული დარჩა. შემდეგ, დალასის ტურნირის ნახევარფინალში გაანადგურა სერბი **ბოიანა იოვანოვსკი**. საინტერესო გამოვიდა მისი მატჩი **ოლგა გოვორცოვასთან** ლუქსემბურგის ტურნირზე - იქაც ორი სეტი ნულზე მოიგო, თუმცა მეორე სეტი 2:6 დათმო. სულ სეზონში იტალიელმა 11 პარტია მოიგო ანგარიშით - 6:0, თავად კი მხოლოდ ერთი სეტი წააგო "მშრალად".

### განახლებული ბრიტანეთი

2012 წელს, ბრიტანული ჩოგბურთი, როგორც იქნა, წამყვან როლებზე გავიდა. **ჯონათან მიურეიმ** მოიგო უიმბლდონი წყვილებს შორის, **ენდი მიურეი** პირველი ბრიტანელი მამაკაცი იყო, ვინც 1936 წლის შემდეგ გაიმარჯვა "დიდი სლემის" ტურნირზე, **ლორა რობსონი** კი ამერიკის ღიაზე პირველი ბრიტანელი ქალი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც "დიდი სლემის" ტურნირზე (აშშ-ის ღია) მეორე კვირამდე მიაღწია, შემდეგ გუანგჯოუში კი WTA-ის ტურნირის პირველი ბრიტანელი ფინალისტი გახდა 1990 წლის შემდეგ.

ამიტომაც მაშინ, როცა ოსაკას ტურნირის ნახევარფინალამდე მიაღწია, ბევრს ეგონა, რომ ლორა საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანდა და პირველი ბრიტანელი გახდებოდა ბოლო 24 წლის განმავლობაში, ვინც WTA-ის ტიტულს დაისაკუთრებდა. მაგრამ მას ეს არ გამოუვიდა. სამაგიეროდ, ეს გააკეთა მისმა თანამემამულემ და მეგობარმა **ჰიზერ უოტსონმა**, რომელმაც **კან-ჩენ ჩანთან** ფინალში ოთხი მატჩბოლი მოიგერია.

### ენდი მიურეის 8 განიავებული მატჩბოლი

ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვებით ენდი მიურეიმ დაამტკიცა, რომ ის ნამდვილი ჩემპიონია და მისმა მწვრთნელმა **ივან ლენდლმა** "მკვლელის ინსტინქტი" შესძინა ბრიტანელს. მაგრამ, ამერიკაში ტრიუმფის შემდეგ, ენდიმ თამაშს უკლო, ბევრს აგებდა ადრეულ სტადიებზე, შემდეგ ისეთი სერია "გამოაცხო", უფრო ქალთა ჩოგბურთისთვის რომ არის დამახასიათებელი.

ტოკიოში ის ბევრს ებრძოდა **მილოშ რაონიჩს**, ტურნირზე პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც კანადელს ბრეიკი გაუკეთა, ბრეიკით იგებდა მესამე სეტს, მილებაზე ორი მატჩბოლიც მოიპოვა, მაგრამ დათმო შეხვედრა. ამის შემდეგ დაიწყო უცნაურობები. შანხაის მასტერსის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩის წინაალმდეგ, ენდიმ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრაში ხუთი მატჩბოლი გააფუჭა და წააგო, შემდეგ კი პარიზში ასევე მატჩბოლიდან დაუთმო შეხვედრა **ერჟი იანოვიჩს**.

ასე რომ, როცა წლის შემაჯამებელი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე პირველ მატჩში **ტომაშ ბერდიხის** წინაალმდეგ პირველ მატჩბოლზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, მისი გულშემატკივრები სერიოზულად ანერვიულდნენ, მაგრამ იმ მატჩში ენდიმ მოიგო.

### ვიქტორია აზარენკას საპრიზო რეკორდი

წელს, **ვიქტორია აზარენკამ** თავისი საუკეთესო სეზონი ჩაატარა – მოიგო კარიერაში "დიდი სლემის" პირველი ტურნირი, ბრინჯაო და ოქრო ოლიმპიადაზე და წელი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა. მან 17 ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ხუთში წააგო ნახევარფინალურ ეტაპზე ადრე. ამ ყველაფერმა მას უდიდესი შემოსავალი მოუტანა – მარტო კორტზე ბელარუსმა 7 820 000 დოლარი გამოიმუშავა, რაც ყველაზე დიდი მონაგარია ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში. სხვათა შორის, პირველად ჩოგბურთის ისტორიაში, ქალმა მოთამაშემ 7 მილიონზე მეტი გამოიმუშავა - თანაც, ამ სეზონში ეს არა მხოლოდ აზარენკამ, არამედ სერენა უილიამსმა გააკეთა.

### ამერიკელების ნული

ATP-ის სარეიტინგო სისტემა 1973 წელს შემოიღეს. მას შემდეგ, ყველა სეზონი ისე მთავრდებოდა, რომ ტოპ-ათეულში მინიმუმ ერთ ამერიკელს ვხედავდით. მაგრამ ამ სეზონში ეს სერია შეწყდა – საუკეთესო ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** წელი მხოლოდ მე-14 ადგილზე დაასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ რეიტინგის მხრივ, ყოველთვის ყველაზე წარმატებული ერი იყო. ამ ქვეყანას ექვსი პირველი ჩოგანი ჰყავდა - **ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი, ჯიმ კურიე, პიტ სამპრასი, ანდრე აგასი** და **ენდი როდიკი** - ისინი ჯამში 896 კვირა ედგნენ სათავეში კლასიფიკაციას. ამ სიაში მეორე ადგილზე მოდის შვეიცარია - ერთადერთი ჩოგბურთელის როჯერ ფედერერის წყალობით. ეს ქვეყანა მსოფლიო რეიტინგს 302 კვირის განმავლობაში ლიდერობდა.

### კიმიკო დატეს მუდმივი ძრავა

იაპონელი **კიმიკო დატე** ჯერ კიდევ 1995 წელს იყო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, 90-იან წლებში "დიდი სლემის" ყველა ტურნირზე გადიოდა ნახევარფინალში ამერიკის ღიას გარდა, თანაბრად ებრძოდა **შტეფი გრაფსა** და სხვა დიად ჩოგბურთელებს. 2012 წელს იაპონელი 42 წლის შესრულდა, მაგრამ აგრძელებს თამაშს, თან ბევრ ახალგაზრდას სჯობია.

### ჩეხური პატრიოტიზმი

ეს წელი განსაკუთრებული გამოდგა ჩეხური ჩოგბურთისთვის - ამ ქვეყნის მოთამაშეებმა გუნდური სული გამოავლინეს სპორტის ყველაზე "ეგოისტურ" სახეობაში (ანდრე აგასის სიტყვებით).

სეზონი დაიწყო იმით, რომ იანვარში **პეტრა კვიტოვამ** და ტომაშ ბერდიხმა ჰოპმანის თასი მოიგეს. შემდეგ, კვიტოვამ და ლუსი საფაროვამ ტიტული დაიცვეს ფედერაციის თასზე, ბოლოს კი ბერდიხმა და **რადეკ შტეპანეკმა** დევისის თასი აიღეს. ასე რომ, ჩეხეთი გახდა პირველი ერი, რომელმაც სამი უმთავრესი გუნდური ტურნირი მოიგო ერთ სეზონში.

გარდა ამისა, ჩეხეთი პირველი ქვეყანაა 1990 წლის შემდეგ, რომელმაც ფედერაციის თასი და დევისის თასი ერთ სეზონში მოიგო - 22 წლის წინ, ეს მოახერხა ამერიკამ. ახლა ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც ამგვარი დუბლი აქვთ შესრულებული, სამამდე ავიდა - ადრე ეს შვიდჯერ გააკეთა აშშ-მ და სამჯერ ავსტრალიამ.

### ფედერერი თავისუფალია

ბევრი ცდილობს როჯერ ფედერერის შემოქმედებითი დღეგრძელობის საიდუმლოს ამოხსნას. შვეიცარიელი 31 წლის ასაკში მსოფლიოს მეორე ჩოგანი და უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონია. ისე ჩანს, რომ ასაკი როჯერს ხელს უნდა უშლიდეს, მაგრამ ახლა პირიქით მოხდება – წლების მატება მას დაეხმარება.

საქმე ისაა, რომ ამიერიდან, შვეიცარიელს შეუძლია მშვიდად გამოტოვოს ყველასთვის აუცილებელი "მასტერსის" სერიის ტურნირები. ATP-ში არსებობს სამი პირობა, რომელიც ამის გაკეთების უფლებას იძლევა – 600 მატჩი კარიერაში, 12 წელი ტურში და 31 წელზე მაღალი ასაკი. როჯერი უკვე სამივე პირობას აკმაყოფილებს – 31 წლის, 14-წლიანი კარიერა და 1074 მატჩი ტურში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ATP. 2012 წლის ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| **იანვარი** | |
| ბრისბენი. ავსტრალია. ენდი მიურეი (ბრიტ)-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) | 6:1, 6:3 |
| ჩენაი. ინდოეთი. მილოშ რაონიჩი (კან)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 6:7(4), 7:6(4), 7:6(4) |
| დოჰა. კატარი. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)-გაელ მონფილსი (საფ) | 7:5, 6:3 |
| სიდნეი. ავსტრალია. იარკო ნიემინენი (ფინ)-ჟულიან ბენეტონი (საფ) | 6:2, 7:5 |
| ოკლენდი. ზელანდია. დავიდ ფერერი (ესპ)-ოლივიე როხუსი (ბელ) | 6:3, 6:4 |
| ავსტრალიის ღია. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-რაფაელ ნადალი (ესპ) | 5:7, 6:4, 6:2, 6:7(5), 7:5 |
| მონპელიე. საფრანგეთი. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)-გაელ მონფილსი (საფ) | 6:2, 4:6, 6:3 |
| ზაგრები. ხორვატია. მიხაილ იუჟნი (რუს)-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) | 6:2, 6:3 |
| ვინია დელ მარი. ჩილე. ხუან მონაკო (არგ)-კარლოს ბერლოკი (არგ) | 6:3, 6:7(1), 6:1 |
| **თებერვალი** | |
| როტერდამი. ჰოლანდია. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 6:1, 6:4 |
| სან ხოსე. აშშ. მილოშ რაონიჩი (კან)-დენის ისტომინი (უზბ) | 7:6(3), 6:2 |
| სან პაულუ. ბრაზილია. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)-ფილიპო ვოლანდრი (იტა) | 6:3, 4:6, 6:4 |
| მემფისი. აშშ. იურგენ მელცერი (ავსტრია)-მილოშ რაონიჩი (კან) | 7:5, 7:6(4) |
| მონპელიე. საფრანგეთი. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)-მიკაელ ლოდრა (საფ) | 6:4, 6:4 |
| ბუენოს აირესი. არგენტინა. დავიდ ფერერი (ესპ)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 4:6, 6:3, 6:2 |
| დუბაი. საემიროები. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ენდი მიურეი (ბრიტ) | 7:5, 6:4 |
| აკაპულკო. მექსიკა. დავიდ ფერერი (ესპ)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 6:1, 6:2 |
| დელრეი ბიჩი. აშშ. კევინ ანდერსონი (ს. აფრ)-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) | 6:4, 7:6(2) |
| **მარტი** | |
| ინდიან უელსი. აშშ. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ჯონ ისნერი (აშშ) | 7:6(7), 6:3 |
| მაიამი. აშშ. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ენდი მიურეი (ბრიტ) | 6:1, 7:6(4) |
| **აპრილი** | |
| ჰიუსტონი. აშშ. ხუან მონაკო (არგ)-ჯონ ისნერი (აშშ) | 6:2, 3:6, 6:3 |
| კასაბლანკა. მაროკო. პაბლო ანდუხარი (ესპ)-ალბერტო რამოსი (ესპ) | 6:1, 7:6(5) |
| მონტე კარლო. მონაკო. რაფაელ ნადალი (ესპ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6:3, 6:1 |
| ბარსელონა. ესპანეთი. რაფაელ ნადალი (ესპ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 7:6(1), 7:5 |
| ბუქარესტი. რუმინეთი. ჟილ სიმონი (საფ)-ფაბიო ფონინი (იტა) | 6:4, 6:3 |
| მიუნხენი. გერმანია. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)-მარინ ჩილიჩი (ხორ) | 7:6(8), 6:3 |
| ბელგრადი. სერბეთი. ანდრეას სეპი (იტა)-ბენუა პერი (საფ) | 6:3, 6:2 |
| ესტორილი. პორტუგალია. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)-რიშარ გასკე (საფ) | 6:4, 6:2 |
| **მაისი** | |
| მადრიდი. ესპანეთი. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 3:6, 7:5, 7:5 |
| რომი. იტალია. რაფაელ ნადალი (ესპ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 7:5, 6:3 |
| დიუსელდორფი. გერმანია. სერბეთი-ჩეხეთი | 3:0 |
| ნიცა. საფრანგეთი. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)-ბრაიან ბეიკერი (აშშ) | 6:3, 6:2 |
| როლან გაროსი. რაფაელ ნადალი (ესპ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6:4, 6:3, 2:6, 7:5 |
| **ივნისი** | |
| ჰალე. გერმანია. ტომი ჰაასი (გერ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7:6(5), 6:4 |
| ლონდონი. ბრიტანეთი. მარინ ჩილიჩი (ხორ)-დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 6:7(3), 4:3 უარი |
| ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. დავიდ ფერერი (ესპ)-ფილიპ პეტცშნერი (გერ) | 6:3, 6:4 |
| ისტბურნი. ბრიტანეთი. ენდი როდიკი (აშშ)-ანდრეას სეპი (იტა) | 6:3, 6:2 |
| უიმბლდონი. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ენდი მიურეი (ბრიტ) | 4:6, 7:5, 6:3, 6:4 |
| **ივლისი** | |
| ნიუპორტი. აშშ. ჯონ ისნერი (აშშ)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 7:6(1), 6:4 |
| შტუტგარტი. გერმანია. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)-ხუან მონაკო (არგ) | 6:4, 5:7, 6:3 |
| ბასტადი. შვედეთი. დავიდ ფერერი (ესპ)-ნიკოლას ალმაგრო (ჰოლ) | 6:2, 6:2 |
| უმაგი. ხორვატია. მარინ ჩილიჩი (ხორ)-მარსელ გრანოლერსი (ესპ) | 6:4, 6:2 |
| ჰამბურგი. გერმანია. ხუან მონაკო (არგ)-ტომი ჰაასი (გერ) | 7:5, 6:4 |
| ატლანტა. აშშ. ენდი როდიკი (აშშ)-ჟილ მიულერი (ლუქ) | 1:6, 7:6(2), 6:2 |
| გშტაადი. შვეიცარია. ტომაშ ბელუჩი (ბრა)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 6:7(6), 6:4, 6:2 |
| ლოს ანჯელესი. აშშ. სემ კუერი (აშშ)-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) | 6:0, 6:2 |
| კიცბუელი. ავსტრია. რობინ ჰაასე (ჰოლ)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 6:7(2), 6:3, 6:2 |
| ოლიმპიადა. ლონდონი. ენდი მიურეი (ბრიტ)-როჯერ ფედერერი (ესპ) | 6:2, 6:1, 6:4 |
| ვაშინგტონი. აშშ. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)-ტომი ჰაასი (გერ) | 6:7(7), 6:4, 6:1 |
| **აგვისტო** | |
| ტორონტო. კანადა. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-რიშარ გასკე (საფ) | 6:3, 6:2 |
| ცინცინატი. აშშ. როჯერ ფედერერი (შვეიც)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6:0, 7:6(7) |
| უინსტონ-სალემი. აშშ. ჯონ ისნერი (აშშ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 3:6, 6:4, 7:6(9) |
| აშშ-ის ღია. ენდი მიურეი (ბრიტ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (აშშ) | 7:6(10), 7:5, 2:6, 3:6, 6:2 |
| **სექტემბერი** | |
| მეცი. საფრანგეთი. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)-ანდრეას სეპი (იტა) | 6:1, 6:2 |
| სტ. პეტერბურგი. რუსეთი. მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)-ფაბიო ფონინი (იტა) | 6:2, 6:3 |
| ბანგკოკი. ტაილანდი. რიშარ გასკე (საფ)-ჟილ სიმონი (საფ) | 6:2, 6:1 |
| კუალა ლუმპური. მალაიზია. ხუან მონაკო (საფ)-ჟულიენ ბენეტო (საფ) | 7:5, 4:6, 6:3 |
| **ოქტომბერი** | |
| პეკინი. ჩინეთი. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 7:6(4), 6:2 |
| ტოკიო. იაპონია. კეი ნიშიკორი (იაპ)-მილოშ რაონიჩი (კან) | 7:6(5), 3:6, 6:0 |
| შანხაი. ჩინეთი. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ენდი მიურეი (ბრიტ) | 5:7, 7:6(11), 6:3 |
| მოსკოვი. რუსეთი. ანდრეას სეპი (იტა)-ტომაშ ბელუჩი (ბრა) | 3:6, 7:6(3), 6:3 |
| სტოკჰოლმი. შვედეთი. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4:6, 6:4, 6:4 |
| ვენა. ავსტრია. ხუან-მარტინ დელ პოტრო (არგ)-გრეგა ჟემლია (სლოვენ) | 7:5, 6:3 |
| ვალენსია. ესპანეთი. დავიდ ფერერი (ესპ)-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) | 6:1, 3:6, 6:4 |
| ბაზელი. შვეიცარია. ხუან-მარტინ დელ პოტრო (არგ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6:4, 6:7(5), 7:6(3) |
| პარიზი. საფრანგეთი. დავიდ ფერერი (ესპ)-იერჟი იანოვიჩი (პოლ) | 6:4, 6:3 |
| **ნოემბერი** | |
| ლონდონი. ბრიტანეთი. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7:6(6), 7:5 |

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნაგება ყოფილ გუნდთან



სუპერმენმა ჯარიმის სროლა არ იცის

პირველად 1992-93 წლების სეზონის შემდეგ, "ნიუ იორკმა" მოიგო სტარტზე ზედიზედ შვიდი საშინაო მატჩი. ერთი მხრივ, "ნიქსი" თავიდანვე თავდაჯერებული ჩანდა და მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მეორე მხრივ, კინაღამ დაისაჯა ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო. საერთო ჯამში, მასპინძლებმა ჩვეული ხარისხიანი თამაში აჩვენეს: მხოლოდ 7-ჯერ დაკარგეს ბურთი და მეტოქეს 17 შეცდომა დააშვებინეს, რაც 23 ქულაში გარდაისახა. **ენტონი** და **ფელტონი** ტრადიციულად კარგად უძლვებოდნენ შეტევებს, **ჩენდლერმა** შეინარჩუნა სამქულიანიდან სროლის მაღალი პროცენტი, **ნოვაკი** კი სამქულიანებს აგდებდა. ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმით მიდიოდა მესამე მეოთხედის შუამდე, როცა "ნიქსის" მოდუნება იქამდე მივიდა, რომ "ფინიქსმა" სერიოზული ტემპი აკრიფა. თუმცა, როგორც ჩანს, არიზონელებს ბოლომდე არ სჯეროდათ სასწაულის, ამიტომაც ძალიან დიდი ხანი მოუნდნენ 20-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილებას.

მხოლოდ ბოლო წუთზე შემცირდა "ნიქსის" უპირატესობა ოთხ ქულამდე – ეს იყო მაქსიმუმი, რასაც სტუმრებმა მიაღწიეს. მეტის გაკეთება "სანზმა" ვერ შეძლო.

გამოიჩინა თავი **რაშიდ უოლასმა**, მაგრამ არა სამქულიანებით ან ფარქვეშ კარგი თამაშით. მოედანზე გამოსვლიდან წუთნახევრის შემდეგ, მან მსაჯთან წაიჩხუბა და სწრაფად მიიღო კარიერაში 316-ე და 317-ე ტექნიკური ჯარიმები.

■ ■ ■

"დენვერთან" დამაჯერებელი თამაშის შემდეგ ყველას ეგონა, რომ "ლეიკერსის" საქმეები წინ წავიდოდა, მაგრამ კალიფორნიულ გრანდს მორიგი ფიასკო საკუთარ მოედანზე ელოდა. ამჯერად **მაიკ დ'ენტონის** გუნდმა წააგო აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუტსაიდერთან "ორლანდო მეჯიქთან".

თავიდან "ლეიკერსი" კარგად აკონტროლებდა შეხვედრას და ყოველ ჯერზე ახერხებდა გაქცევას, როგორც კი მეტოქე მიუახლოვდებოდა. თუმცა მასპინძლების უპირატესობა დაახლოებით ათი ქულის ფარგლებში მერყეობდა.

მესამე მეოთხედში მასპინძლების დაცვამ აშკარად ვერ შეაფასა **აფლალოს** მონდომება, რომელიც მეთოდურად სჯიდა "ლეიკერსს" მისი კლასისადმი ამგვარი უპატივცემულობის გამო. მას არ ჩამორჩებოდა **ჯამირ ნელსონი**, რომლის შემჩერებელი არავინ აღმოჩნდა, ამიტომაც გამთამაშებელმა თავისი სიამოვნებისთვის ითამაშა და თანაგუნდელებს 13 შედეგიანი პასით დაეხმარა.

"ორლანდომ" მშვენივრად იცოდა, რომ თავისი ყოფილი ცენტრისთვის - **დუაიტ ჰოვარდისთვის** ჯარიმების შესრულება პრობლემაა, ამიტომაც ბოლოსკენ სტუმრებმა "სუპერმენზე" ჯარიმების ტაქტიკა აირჩიეს და დუაიტმაც ტრადიციას არ უღალატა – 21-დან მხოლოდ 9 თავისუფალი ტყორცნა მოათავსა კალათში. გარდა ამისა, მასპინძლებმა დაკარგეს მატჩის ტემპი და ვერაფრით უპასუხეს ბოლო წუთებზე ფლორიდელების ორ გაქცევას (ორივე ერთნაირი ანგარიშით – 13:4 დასრულდა). **პაუ გასოლი** მეოთხე მეოთხედის დიდი ნაწილი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მის ნაცვლად მოთამაშე **ანტუან ჯეიმისონი** დაცვაში ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. **ჯოდი მიქსმა**, რომელმაც "დენვერთან" მატჩში რვიდან შვიდი სამქულიანი გამოიყენა, ამ მატჩში მხოლოდ ცხრა წუთი ითამაშა, სამაგიეროდ, ნახევარი საათი გაატარა მოედანზე **კრის დუჰონმა**, მაგრამ მხოლოდ ორჯერ ისროლა და ერთი ბურთი მოათავსა კალათში.

**ნიუ იორკი-ფინიქსი 106:99**

**24:20, 35:22, 30:30, 17:27**

**ნ-ი:** ენტონი (34+6 მოხსნა), ფელტონი (23+7 პასი), ჩენდლერი (15+13 მოხსნა), ნოვაკი (12).

**ფ:** გორტატი (18+10 მოხსნა), ბრაუნი (17+7 მოხსნა), ტელფეირი (11), ტაკერი (10+5 მოხსნა), დადლი (10).

**ლეიკერსი-ორლანდო 103:113**

**27:23, 25:29, 25:21, 26:40**

**ლ:** ბრაიანტი (34+7 მოხსნა+5 პასი), ჰოვარდი (21+15 მოხსნა), უორლდ პისი (15+5 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (11+7 მოხსნა), ჯეიმისონი (10 + 5 მოხსნა).

**ო:** აფლალო (30+5 მოხსნა+5 პასი), დევისი (23+12 მოხსნა), ნელსონი (19+5 მოხსნა+13 პასი), ვუჩევიჩი (17+12 მოხსნა+4 დაფარება), რედიკი (14+7 პასი).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## NBA დეკემბრის კალენდარი

**3 დეკემბერი**
შარლოტი-პორტლენდი
დეტროიტი-კლივლენდი
ნიუ ორლეანი-მილუოკი
დენვერი-ტორონტო
იუტა-კლიპერსი
გ. სტეიტი-ორლანდო

**4 დეკემბერი**
ფილადელფია-მინესოტა
ვაშინგტონი-მაიამი
ბრუკლინი-ოკლაჰომა
ჩიკაგო-ინდიანა
მემფისი-ფინიქსი
ჰიუსტონი-ლეიკერსი

**5 დეკემბერი**
შარლოტი-ნიუ იორკი
ინდიანა-პორტლენდი
ბოსტონი-მინესოტა
ატლანტა-დენვერი
დეტროიტი-გ. სტეიტი
კლივლენდი-ჩიკაგო
ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
სან ანტონიო-მილუოკი
იუტა-ორლანდო
საკრამენტო-ტორონტო
კლიპერსი-დალასი

**6 დეკემბერი**
მაიამი-ნიუ იორკი
ფინიქსი-დალასი

**7 დეკემბერი**
ფილადელფია-ბოსტონი
ინდიანა-დენვერი
ბრუკლინი-გ. სტეიტი
ატლანტა-ვაშინგტონი
დეტროიტი-ჩიკაგო
ნიუ ორლეანი-მემფისი
მინესოტა-კლივლენდი
მილუოკი-შარლოტი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
იუტა-ტორონტო
ოკლაჰომა-ლეიკერსი
საკრამენტო-ორლანდო
კლიპერსი-ფინიქსი

**8 დეკემბერი**
ვაშინგტონი-გ. სტეიტი
შარლოტი-სან ანტონიო
ბოსტონი-ფილადელფია
მაიამი-ნიუ ორლეანი
კლივლენდი-დეტროიტი
ჩიკაგო-ნიუ იორკი
მემფისი-ატლანტა
ჰიუსტონი-დალასი
პორტლენდი-საკრამენტო
კლიპერსი-ტორონტო

**9 დეკემბერი**
ბრუკლინი-მილუოკი
ოკლაჰომა-ინდიანა
ნიუ იორკი-დენვერი
ფინიქსი-ორლანდო
ლეიკერსი-იუტა

**10 დეკემბერი**
ჰიუსტონი-სან ანტონიო
დალასი-საკრამენტო
პორტლენდი-ტორონტო
ფილადელფია-დეტროიტი
შარლოტი-გ. სტეიტი
მაიამი-ატლანტა

**11 დეკემბერი**
ბრუკლინი-ნიუ იორკი
კლივლენდი-ლეიკერსი
დეტროიტი-დენვერი
ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-კლიპერსი

**12 დეკემბერი**
ტორონტო-ბრუკლინი
ორლანდო-ატლანტა
ინდიანა-კლივლენდი
ფილადელფია-ჩიკაგო
შარლოტი-კლიპერსი
მაიამი-გ. სტეიტი
ბოსტონი-დალასი
მილუოკი-საკრამენტო
ჰიუსტონი-ვაშინგტონი
ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი
მინესოტა-დენვერი
ფინიქსი-მემფისი
იუტა-სან ანტონიო

**13 დეკემბერი**
ატლანტა-შარლოტი
ნიუ იორკი-ლეიკერსი
პორტლენდი-სან ანტონიო

**14 დეკემბერი**
ტორონტო-დალასი
ვაშინგტონი-ლეიკერსი
ინდიანა-ფილადელფია
ბრუკლინი-დეტროიტი
კლივლენდი-მილუოკი
ორლანდო-გ. სტეიტი
ნიუ ორლეანი-მინესოტა
ჰიუსტონი-ბოსტონი
ოკლაჰომა-საკრამენტო
ფინიქსი-იუტა
დენვერი-მემფისი

**15 დეკემბერი**
ატლანტა-გ. სტეიტი
შარლოტი-ორლანდო
ნიუ იორკი-კლივლენდი
მაიამი-ვაშინგტონი
დეტროიტი-ინდიანა
ჩიკაგო-ბრუკლინი
მინესოტა-დალასი
მილუოკი-კლიპერსი
სან ანტონიო-ბოსტონი
იუტა-მემფისი
ტორონტო-ჰიუსტონი

**16 დეკემბერი**
ფილადელფია-ლეიკერსი
საკრამენტო-დენვერი
პორტლენდი-ნიუ ორლეანი

**17 დეკემბერი**
ორლანდო-მინესოტა
ნიუ იორკი-ჰიუსტონი
დეტროიტი-კლიპერსი
მემფისი-ჩიკაგო
ოკლაჰომა-სან ანტონიო
ფინიქსი-საკრამენტო

**18 დეკემბერი**
გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი
ვაშინგტონი-ატლანტა
კლივლენდი-ტორონტო
ბრუკლინი-იუტა
მაიამი-მინესოტა
ჩიკაგო-ბოსტონი
მილუოკი-ინდიანა
დალასი-ფილადელფია
დენვერი-სან ანტონიო
ლეიკერსი-შარლოტი

**19 დეკემბერი**
ტორონტო-დეტროიტი
ნიუ იორკი-ბრუკლინი
ორლანდო-ვაშინგტონი
ინდიანა-იუტა
ბოსტონი-კლივლენდი
ატლანტა-ოკლაჰომა
ჰიუსტონი-ფილადელფია
ფინიქსი-შარლოტი
მემფისი-მილუოკი
საკრამენტო-გ. სტეიტი
კლიპერსი-ნიუ ორლეანი

**20 დეკემბერი**
მინესოტა-ოკლაჰომა
დალასი-მაიამი
პორტლენდი-დენვერი

**21 დეკემბერი**
ტორონტო-ორლანდო
ფილადელფია-ატლანტა
ბოსტონი-მილუოკი
ნიუ იორკი-ჩიკაგო
დეტროიტი-ვაშინგტონი
კლივლენდი-ინდიანა
მემფისი-დალასი
სან ანტონიო-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-საკრამენტო
გ. სტეიტი-შარლოტი

**22 დეკემბერი**
ვაშინგტონი-დეტროიტი
ატლანტა-ჩიკაგო
მაიამი-იუტა
ნიუ ორლეანი-ინდიანა
ჰიუსტონი-მემფისი
მილუოკი-კლივლენდი
დენვერი-შარლოტი
პორტლენდი-ფინიქსი
გ. სტეიტი-ლეიკერსი
ბრუკლინი-ფილადელფია

**23 დეკემბერი**
ნიუ იორკი-მინესოტა
ორლანდო-იუტა
სან ანტონიო-დალასი
ფინიქსი-კლიპერსი
საკრამენტო-პორტლენდი

**24 დეკემბერი**
ბრუკლინი-ბოსტონი
ლეიკერსი-ნიუ იორკი

**25 დეკემბერი**
მაიამი-ოკლაჰომა
ჩიკაგო-ჰიუსტონი
კლიპერსი-დენვერი

**26 დეკემბერი**
ვაშინგტონი-კლივლენდი
შარლოტი-მაიამი
ორლანდო-ნიუ ორლეანი
ინდიანა-ჩიკაგო
ატლანტა-დეტროიტი
მილუოკი-ბრუკლინი
მემფისი-ფილადელფია
მინესოტა-ჰიუსტონი
სან ანტონიო-ტორონტო
დენვერი-ლეიკერსი
იუტა-გ. სტეიტი
ფინიქსი-ნიუ იორკი
პორტლენდი-საკრამენტო

**27 დეკემბერი**
ოკლაჰომა-დალასი
კლიპერსი-ბოსტონი

**28 დეკემბერი**
კლივლენდი-ატლანტა
ნიუ ორლეანი-ტორონტო
დალასი-დენვერი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
იუტა-კლიპერსი
საკრამენტო-ნიუ იორკი
ლეიკერსი-პორტლენდი
გ. სტეიტი-ფილადელფია
ვაშინგტონი-ორლანდო
ინდიანა-ფინიქსი
ბრუკლინი-შარლოტი
დეტროიტი-მაიამი

**29 დეკემბერი**
შარლოტი-ნიუ ორლეანი
ატლანტა-ინდიანა
ორლანდო-ტორონტო
ბრუკლინი-კლივლენდი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
მემფისი-დენვერი
ჰიუსტონი-ოკლაჰომა
მინესოტა-ფინიქსი
მილუოკი-მაიამი
პორტლენდი-ფილადელფია
გ. სტეიტი-ბოსტონი

**30 დეკემბერი**
დეტროიტი-მილუოკი
დალასი-სან ანტონიო
საკრამენტო-ბოსტონი
კლიპერსი-იუტა
ინდიანა-მემფისი
ჩიკაგო-შარლოტი

**31 დეკემბერი**
ორლანდო-მაიამი
ჰიუსტონი-ატლანტა
სან ანტონიო-ბრუკლინი
ოკლაჰომა-ფინიქსი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-უიგანი | 3:0 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ჩელტენემი-ჰერეფორდი | 1:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| რეჯინა-კროტონე | 1:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ბენევენტო-ფროსინონე | 0:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სევილია-ვალიადოლიდი | 1:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-ჰერტა | 1:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გინგამი-ისტრი | 1:0 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დორდრეჰტი-აპელდოორნი | 2:0 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა B-მარიტიმუ B | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-აგფ ორჰუსი | 0:3 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-ვოლენი | 1:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| აეკ-იანინა | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი (ე)-ნიკი ვოლუ | 1:2 |
| ერგოტელისი-კალითეა | 2:1 |
| პანაიტოლიკოსი-ეთნიკოსი | 2:2 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ტრაბზონი | 0:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ადანა დემირი-ქართალი | 2:1 |
| ერჩიესი-ადანა | 1:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ომონია-ოლიმპიაკოსი | 2:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მორდოვია-ამკარი | 1:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პიასტი-პოლონია | 1:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ოცელული-ლაში | 0:3 |
| ასტრა-გლორია | 4:0 |
| დინამო-ტურნუ | 4:2 |

**ბულგარეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნომორეცი | 3:1 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| აკადემია-სპერანტა | 2:5 |
| მილსამი-რაპიდი | 2:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| აშდოდი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:2 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ნიუელსი-ატ. რაფაელა | 3:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-არისი | 100:65 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-სპარტაკი | 7:4 |
| იუგრა-დინამო (მნ) | 5:7 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-პელიკანსი | 1:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| როგლე-ტიმრა | 1:3 |

## TV პროგრამა

**4 დეკემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ნიუკასლი-უიგანი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ლევერკუზენი-ნიურნბერგი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. აიაქსი-ეინდჰოვენი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ბაიერნი-დორტმუნდი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ.
23:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-აიაქსი (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-ზენიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ლანუსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ორლანდო.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-მანჩესტერ იუნ.
17:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ახალი ზელანდია.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 საკალათბურთო გადაცემა - ოვერტაიმი.
21:00 კალათბურთი. NBA. 1984-85 წლები. ფინალი. ლეიკერსი-ბოსტონი. IV მატჩი.
22:55 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
13:10 სპორტ-NEWS.
13:30 რაგბი. ტესტ მატჩი. ინგლისი-სამხრეთ აფრიკა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბრუკლინი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-ზენიტი (LIVE).

**I არხი**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 19 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 10 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 10 | 18 | (წვიმა) |
| გორი | -3 | 18 | (წვიმა) |
| თელავი | 3 | 16 | (მზე) |
| სიღნაღი | 7 | 15 | (მზე) |
| ბაკურიანი | -1 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | 1 | 15 | (მზე) |
| მესტია | 1 | 10 | (წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1638 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6599 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6671 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3829 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი



მარიუშ ვახი

# ვახს დოპინგით უბრძოლია

პოლონელმა სუპერმძიმეწონოსანმა **მარიუშ ვახმა**, რომელმაც 10 ნოემბერს საჩემპიონო ორთაბრძოლა ჩაატარა **ვლადიმერ კლიჩკოს** წინააღმდეგ, დოპინგ-ტესტი ჩააგდო. დადებითი შედეგი აჩვენა სინჯმა, რომელიც ვახს უკრაინელთან ბრძოლის შემდეგ აუღეს. სპორტსმენის შარდში აღმოჩნდა აკრძალული ანაბოლური სტეროიდების კვალი. ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა "ბილდი" აქვეყნებს.

დადებითი დოპინგ-ტესტის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა გერმანიის პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა **ტომას პიუტცმა**. ახლა, ვახს უფლება აქვს მოითხოვოს "B" სინჯის შემოწმება. თუ ისიც დადებით შედეგს აჩვენებს, ვახს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და სოლიდური ფულადი ჯარიმა ელოდება.

კლიჩკოსა და ვახის ორთაბრძოლა ჰამბურგში შედგა. უკრაინელს მსაჯებმა ერთსულოვანი გამარჯვება მიანიჭეს. ამ ბრძოლაში ვლადიმერმა დაიცვა IBF-ის, WBA-სა და WBO-ის ტიტულები.

გია თვალაბეიშვილი

● ჩოგბურთი

# ავსტრალიის ღიას ნაცვლად დევისის თასი

არგენტინელმა ჩოგბურთელმა **დავიდ ნალბანდიანმა** უარი თქვა ავსტრალიის ღია პირველობაში მონაწილეობაზე. მან ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სურს უკეთ მოემზადოს დევისის თასის პირველი რაუნდის მატჩისთვის, რომელშიც არგენტინა გერმანიას შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობა 14-31 იანვარს გაიმართება, უკვე 1-3 თებერვალს კი დევისის თასის მერვედფინალია დაგეგმილი. ამიტომაც, ნალბანდიანმა გადაწყვიტა მთლიანად მოახდინოს კონცენტრაცია გერმანელებთან მატჩზე, რომელსაც ბუენოს აირესი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში ნალბანდიანმა ავსტრალიის ღიაზე მეორე წრემდე მიაღწია, სადაც ხუთ სეტში წააგო ამერიკელ **ჯონ ისნერთან.**

გია თვალაბეიშვილი

● ჭადრაკი

# უშენინა მე-14 ჩემპიონი

ქალთა ჭადრაკის მსოფლიოს ისტორიაში ღირსეული ფურცლები ჩაწერეს ქართველმა დიდოსტატებმა - **ნონა გაფრინდაშვილმა** და **მაია ჩიბურდანიძემ,** რომლებსაც სამი ათეული წლის განმავლობაში მყარად ეპყრათ კვერთხი. 1927 წლიდან დღემდე მსოფლიოს ქალებში 13 ჩემპიონი ჰყავდა: **ვერა მენჩიკი** (1927-1944), **ლუდმილა რუდენკო** (1950-1953), **ელიზავეტა ბიკოვა** (1953-1956, 1958-1962), **ოლგა რუბცოვა** (1956-1958), **ნონა გაფრინდაშვილი** (1962-1978), **მაია ჩიბურდანიძე** (1978-1991), **სიე ჟუნი** (1991-1997, 1999-2001), **ჟუჟა პოლგარი** (1997-1999), **ჟუ ჩენი** (2001-2004), **ანტოანეტა სტეფანოვა** (2004-2006), **სიუ იუჰუა** (2006-2008), **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2008-2010), **ჰოუ იფანი** (2010-2012). და აი, მსოფლიოს ახალი, მე-14 ჩემპიონი ჰყავს - უკრაინელი **ანა უშენინა.** რუსულ ხანტი მანსიისკში მან წარმატებით განვლო ხუთი რაუნდი, ფინალში (კლასიკურ პარტიები - 2:2, სწრაფი ჭადრაკი - 1,5:0,5) **ანტოანეტა სტეფანოვა** დაამარცხა და დედოფლის სავარძელში მოკალათდა. გაისად ტიტულისთვის მისი გამოწვევა ჩინელ **ჰოუ იფანს** შეუძლია, რადგან ექსჩემპიონმა ფიდეს გრან პრი მოიგო, რაც მას ამის უფლებას აძლევს.


ანა უშენინა

ვაჟა დანელია

● ავტოსპორტი

# წელი დასრულდა - პირველი ფეტელია

ბრაზილიის გრანპრიმ დაასრულა ავტოსპორტის მორიგი სეზონი, ამიტომაც შესაძლებელია 2012 წლის შეჯამება. ამისთვის ზედგამოჭრილია Castrol-ის რეიტინგი, რომლის მონაცემებსაც მთელი სეზონის განმავლობაში განვდიდით.

სწორედ ეს კლასიფიკაცია გვაძლევს ყველაზე ობიექტურ სურათს, რადგან გამოთვლებისას ითვალისწინებენ ყველა პილოტის მიღწევას გასულ სეზონში - რა სერიაშიც არ უნდა ასპარეზობდეს ავტომრბოლი და რამდენჯერაც არ უნდა იყოს გასული ტრასაზე.

ბოლო სარბოლო უქმეებზე განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ფორმულა 1-ის წარმომადგენლებმა – "დიდი პრიზის" პილოტებმა პირველი შვიდი ადგილიდან ექვსი დაისაკუთრეს. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ იყო ცნობილი იმის შესახებ, რომ წლის პილოტი **სებასტიან ფეტელი** გახდებოდა (თუმცა გერმანელის შარშანდელი 31 ათასი ქულიდან მხოლოდ მოგონება დარჩა). ამჟამად ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, შეძლებდა თუ არა ფორმულა 1-ის რომელიმე პილოტი მეორე ადგილიდან **სებასტიან ლოების** ჩამოგდებას.

ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა. ფორმულა 1-ის პილოტები ისე ხშირად ართმევდნენ წელს ქულებს ერთმანეთს, რომ ვერაფერი დაუპირისპირეს მსოფლიოს საუკეთესო რალისტს. რაღაცის შეცვლის შანსი ჰქონდა **ლუის ჰემილტონს,** მაგრამ **ნიკო ჰიულკენბერგთან** ავარიამ მხოლოდ მეოთხე ადგილი მოუტანა ბრიტანელს.




უფრო ქვემოთ კი სერიოზული ცვლილებები მოხდა. მორიგი შედეგიანი რბოლა ჩაატარა **კიმი რაიკონენმა** და საბოლოოდ, "ლოტუსის" პილოტმა, რომელიც ერთი წლის წინ მეოთხე ასეულში იმყოფებოდა, **ჯენსონ ბატონსა** და IndyCar-ის პილოტ **უილ პაუერს** გაასწრო და ერთბაშად ორი საფეხური მოიგო. ფინელი სან პაულუში ოდნავ უკეთ რომ გამოსულიყო, **მარკ უებერის** ჩამოტოვების შანსიც ექნებოდა.

ივლისის შემდეგ პირველად დაბრუნდა საუკეთესო ოცეულში **ფელიპე მასა** - საშინაო გრანპრიზე პოდიუმი სეზონის წარმატებულ დასასრულად უნდა ჩაითვალოს "ფერარის" პილოტისთვის. **ნიკო როსბერგი** კი, რომელიც ორი თვის წინ პირველ ათეულში შედიოდა, მორიგი უფერული გამოსვლის შემდეგ 21 პოზიციამდე დაეშვა.

2012 წლის საბოლოო რეიტინგი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 22 587 |
| 2. ს. ლოები (რალი) | 20 327 |
| 3. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 105 |
| 4. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 18 702 |
| 5. მ. უებერი (ფორმულა 1) | 16 977 |
| 6. კ. რაიკონენი (ფორმულა 1) | 16 594 |
| 7. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 16 515 |
| 8. უ. პაუერი (IndyCar) | 16 305 |
| 9. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 921 |
| 10. მ. ჰირვონენი (რალი) | 15 131 |

გია თვალაბეიშვილი

● სამთო თხილამურები



ლინდსი ვონი

# დუბლი ჰეთ თრიკი გახდა

ჩრდილოამერიკულ კურორტებზე დასრულდა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი. გუშინდელ ნომერში ვწერდით კანადის ლეიკ ლუისში ამერიკელი **ლინდსი ვონის** წარმატებაზე, რომელმაც ორი დღის განმავლობაში ორი სწრაფდაშვება მოიგო. თუმცა მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა ეს არ იკმარა და კვირას, სუპერგიგანტშიც არავის დაუთმო პირველობა, რითაც ერთგვარი ჰეთ-თრიკი შეასრულა. სხვათა შორის, ამერიკელს ლეიკ ლუისში სამმაგი მოგება ადრეც ჰქონდა, საერთოდ კი ამ ტრასაზე ზედიზედ მეშვიდედ, კარიერაში კი მეთოთხმეტედ გაიმარჯვა.

ვონი ერთადერთი იყო იმ დღეს, ვინც დისტანცია წუთსა და 23 წამზე ნაკლებ დროში დაფარა. ახლა, ლინდსის კარიერაში მსოფლიოს თასზე 56 მოგება დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე იმყოფება. მასზე წინ მხოლოდ ლეგენდარული ავსტრიელი **ანემარი მოზერ-პრიოდლია,** რომლის რეკორდი 62 მოგებას უდრის. თუ ვონმა ასეთ სტილში გააგრძელა გამოსვლა, ავსტრიელის რეკორდი, სავარაუდოდ, ამ სეზონშივე დაემხობა.

რაც შეეხება მეორე ადგილისთვის ბრძოლას, აქ გაცილებით დაძაბული ბრძოლა მიდიოდა და საბოლოოდ, ამერიკელ **ჯულია მანკუზოსა** და ავსტრიელ **ანა ფენინგერს** შორის სხვაობა მხოლოდ 0,02 წამი იყო. ისე გამოვიდა, რომ ამერიკელებს ლეიკ ლუისში ფანტასტიკური უქმეები ჰქონდათ – ორივე სწრაფდაშვებაში აშშ-მ პირველი ორი ადგილი დაიკავა და ასევე მოხდა სუპერგიგანტშიც.

მეოთხე ადგილი დაიკავა სლოვენიელმა **ტინა მაზემ,** რომელმაც გაიმყარა ლიდერობა საერთო ჩათვლაში. მის ანგარიშზე 397 ქულაა, შემდეგ მოდის გერმანელი **მარია რიში** (319), მესამეა ვონი 300 ქულით.

მომავალ უქმეებზე ქალი მოთხილამურეები ევროპაში გადაინაცვლებენ - შვეიცარიის სენტ მორიტცში დაგეგმილია გიგანტური სლალომი და ორი სუპერგიგანტი.

**სუპერგიგანტი**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1.22,82; 2. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1.23,25; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1.23,27; 4. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1.23,44; 5. **მარია რიში** (გერმანია) - 1.23,98; 6. **ლარა გუტი** (შვეიცარია) - 1.24,07...

■ ■ ■

არანაკლებ წარმატებით გამოვიდნენ ამერიკელი მამაკაცები ბივერ კრიკის საშინაო ტრასაზე. აქ ბოლო სტარტი - გიგანტური სლალომი **ტედ ლიგეტიმ** მოიგო, რომელიც დომინირებდა ტრასაზე.

მასპინძელმა ორივე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა და საბოლოოდ, თითქმის ორი წამი მოუგო უახლოეს მდევრებს – **მარსელ ჰირშერსა** და **დავიდე სიმონჩელის.** სწორედ ლიგეტი ხსნიდა უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლას და მისი დრო ვერავინ გააუმჯობესა. მეორე ცდაზე კი ამერიკელი ბოლოს დაეშვა და უკვე შუა დისტანციაზე აშკარა იყო, პირველობა მას ვერავინ შეეცილებოდა.

ტედმა ამ დისციპლინაში მე-13 ეტაპი მოიგო, მათ შორის მესამე ბივერ კრიკში.

**გიგანტური სლალომი**

1. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:25.59 (1:13.49+1:12.10); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:27.35 (1:14.27+1:13.08); 3. **დავიდე სიმონჩელი** (იტა) - 2:27.66 (1:14.59+1:13.07); 4. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 2:28.15 (1:14.97+1:13.18); 5. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 2:28.19 (1:14.93+1:13.26); 6. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 2:28.34 (1:16.04+1:12.30)...

გია თვალაბეიშვილი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:37

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608